მშვიდობიანი მოსახლეობა ცეცხლის ხაზზე

ქართულ-რუსული კონფლიქტი

AMNESTY INTERNATIONAL

Amnesty International-ი არის გლობალური მოძრაობა, რომელიც აერთიანებს ადამიანთა უფლებებისათვის მებრძოლ 2.2 მილიონ ადამიანს 150-ზე მეტ ქვეყანასა და ტერიტორიაზე. ჩვენი ხედვა ითვალისწინებს ყველა ადამიანის მიერ ყველა იმ უფლების გამოყენებას, რომლებიც აღწერილია ადამიანის უფლებების უნივერსალურ დეკლარაციაში და ადამიანთა უფლებების სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებში. ჩვენ ვსწავლობთ, ვიბრძვით, ვეწევით ადვოკატირებას და მობილიზაციას, რათა ბოლო მოვუღოთ ადამიანთა უფლებების ხელყოფას. Amnesty International-ი არის ყველა მთავრობისაგან, პოლიტიკური იდეოლოგიისაგან, ეკონომიკური ინტერესისა თუ რელიგიისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაცია. ჩვენი მოღვაწეობა ძირითადად დაფინანსებულია ჩვენი საწევროებიდან და შემოწირულობებიდან.

AMNESTY
INTERNATIONAL

Amnesty International Publications

პირველად გამოიცა 2008 წელს
Amnesty International Publications-ის მიერ
International Secretariat
Peter Benenson House
1 Easton Street
London WC1X 0DW
United Kingdom
www.amnesty.org

© Amnesty International Publications 2008

ინდექსი: EUR 04/005/2008
ორიგინალის ენა: ინგლისური
დაბეჭდილია Amnesty International,
International Secretariat, United Kingdom

ყველა უფლება დაცულია. ამ გამოცემის არცერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირება ან ჩაწერა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წინასწარი ნებართვის გარეშე

ფოტო გარეკანზე: სახლი სამხრეთ ოსეთის სოფელში, რომელიც განადგურდა საქართველოს მხრიდან დაბომბვის შედეგად, 2008 წლის 30 აგვისტო.
© Amnesty International

s a r C e v i

1. Sesava l i 5

1.1 საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი.....10

1.2 საომარი მოქმედებების გამომწვევი ფონი.....11

1.3 ომი და მისი შედეგები.....13

2. კონფლიქტის და მისი შედეგების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართალი.....16

2.1 საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.....16

2.2 სამოქალაქო მოსახლეობასა და სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმების აკრძალვა – "გარჩევის" პრინციპი.....18

2.3 განურჩეველი და არაპროპორციული თავდასხმების აკრძალვა.....19

2.4 სიფრთხილის ზომები თავდასხმის დროს.....20

2.5 სიფრთხილის ზომები თავდაცვის დროს.....22

2.6 იარაღის ტიპები.....23

2.7 იძულებითი გადაადგილება.....24

2.8 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი.....25

2.9 საერთაშორისო სისხლის სამართალი.....27

2.10 დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.....29

2.11 რეპარაციები და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა.....30

2.12 შეიარაღებული დაჯგუფებები და რეპარაციები..... 30

3. სამხედრო მოქმედებების წარმოების ფორმები 32

3.1 ქართული შეიარაღებული ძალების თავდასხმები 33

3.2 რუსეთის შეიარაღებული ძალების თავდასხმები 39

3.3 "კასეტური" ბომბების გამოყენება 45

3.4 ნაღმები 47

3.5 სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების და სამხედრო დაჯგუფებების ქცევის ფორმები საომარი მოქმედებების დროს 48

4. სამხედრო და სამოქალაქო ტყვეები..... 58

4.1 სამხედრო ტყვეები..... 58

4.2 სამოქალაქო ტყვეები..... 59

5. იძულებით გადაადგილება 61

5.1 იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობა..... 61

5.2 იძულებით გადაადგილება რუსეთის ფედერაციაში..... 61

5.3 გადაადგილება საქართველოში..... 63

6. საერთაშორისო მონიტორინგის მისიები 69

7. პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის გამო..... 71

7.1 სახელმწიფო გამოძიების და მოკვლევის საკითხები..... 71

7.2 საერთაშორისო გამოძიებები 72

7.3 საერთაშორისო სასამართლოში აღძრული საქმეები..... 73

8. დასკვნები და რეკომენდაციები.....76

რეკომენდაციები.....78

saqarTvelos ruqa

© texasis universitetis biblioTekebis nebarTviT

1. Sesava l i

დაშავებულები ჩაყავდათ სარდაფში; ისინი მოდიოდნენ არა ცალცალკე, არამედ მებრძოლებისა და მოქალაქეებისგან შემდგარ 5- ან 15-კაციან ჯგუფებად. ყველაზე მძიმედ დაშავებულებს ოპერაციებს დერეფანშივე ვუკეთებდით. სისხლის დაკარგვა ყველაზე სერიოზული პრობლემა იყო. დაბომბვის დროს შეუძლებელი იყო დაშავებულთა ქვემოთ ჩამოყვანა, მათ უხდებოდათ საათების განმავლობაში სადღაც ჯდომა, სადაც სისხლისგან იცლებოდნენ. სისხლის დაკარგვა გახდა ბევრი ადამიანის გარდაცვალების მიზეზი. დერეფანში ეტეოდა ორი საოპერაციო მაგიდა; დანარჩენი ჩაყავდათ სარდაფში. ჩვენ გვიკვდებოდა ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებით მძიმედ იყვნენ დაშავებულები, ერთი მათგანი გარდაიცვალა მუცლის კედლის გაგლეჯით. მე მახსოვს ქალი, თავის გარდაცვლილ ქალიშვილთან ერთად, რომელიც თავშესაფრის ძებნაში ჭურვზე აფეთქდა... ქალიშვილი ამ თვეში დაოჯახებას აპირებდა.

- Amnesty International-ის ინტერვიუ ექიმთან, ცხინვალი, 2008 წლის 29 აგვისტო.

დაგვმბომბეს. ჩვენ გამოვედით სახლიდან, სადაც ნათესავებთან ერთად ვიმალებოდით, ჩავჯექით მანქანაში და გავუდექით ტყისკენ მიმავალ გზას. თბილისში ჩასვლა გვინდოდა. სწორედ ამ დროს დაგვმბომბეს. სოფელ ერედვთან მიახლოვებისას ბომბი ჩვენს წინ მიმავალ მანქანას დაეცა. მანქანაში მჯდომი ოთხი ადამიანი გარდაიცვალა. მანქანიდან ვხედავდით, როგორ იბომბებოდა სახლები სოფელ ერედვში.

- ქართული სოფლის მაცხოვრებელი ესაუბრება Amnesty International-ის წარმომადგენელს ქ. თბილისში, 2008 წლის 20 აგვისტო

2008 წლის აგვისტოში, საქართველოსა და რუსეთს შორის სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში მომხდარი ხუთდღიანი ომის დროს, მოწინააღმდეგე მხარეებმა ვერ შეძლეს მიეღოთ საჭირო უსაფრთხოების ზომები მშვიდობიან მოქალაქეთა საომარი მოქმედებებისგან დასაცავად. იბომბებოდა სოფლები და ქალაქების საცხოვრებელი რაიონები. კონფლიქტის ზონაში მცხოვრებმა რამდენიმე მოსახლემ გვითხრა, რომ მათ ბომბავდნენ სოფლების დატოვებისას. დაღუპულ სამოქალაქო პირთა საერთო რაოდენობა აღემატება დაღუპულ კომბატანტთა რაოდენობას, დაინგრა და განადგურდა კონფლიქტის ზონაში არსებული საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები, სკოლები და სხვა მნიშვნელოვანი სამოქალაქო ობიექტები. სამხრეთ ოსეთის მიმართ ლოიალურად განწყობილი არაფორმალური სამხედრო დაჯგუფებების მიერ განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა მაროდიორობამ და შენობებისათვის ცეცხლის წაკიდებამ სერიოზული ზიანი მიაყენა იმ დროისთვის რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ კონტროლირებად და ძირითადად ქართველებით დასახლებულ ტერიტორიას. კონფლიქტის შედეგად დევნილთა მაქსიმალურმა რაოდენობამ 200,000-ს მიაღწია. კონფლიქტმა

გამოიწვია ათობით ათასი ადამიანის გრძელვადიანი გადაადგილება, რომელთა შინ დაბრუნება ახლო მომავალში შეუძლებელია.

Amnesty International-ის მიერ აღნიშნულ რეგიონში 2008 წლის აგვისტოში მოძიებული, და აგრეთვე სხვა წყაროებიდან მიღებული, ინფორმაციის საფუძველზე, არსებობს სერიოზული ვარაუდი, რომ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარემ უხეშად დაარღვია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, როგორც შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობის დროს, ისე მის შემდგომ. მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია აღნიშნული საფუძვლები.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი სამართლებრივ ვალდებულებებს აკისრებს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს - სახელმწიფოებს თუ შეირაღებულ დაჯგუფებებს. აღნიშნული ვალდებულებები ძალაშია მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის დროს და, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება იმ მხარეების დაცვას, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, განსაკუთრებით სამოქალაქო მოსახლეობის. თუმცა ის ასევე ემსახურება დაჭრილი ან ტყვედ აყვანილი კომბატანტების დაცვასაც. ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი ქმედუნარიანია როგორც საომარი მოქმედებების, ისე მშვიდობიანი მდგომარეობის დროს. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია Amnesty International-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიზანი იყო შეესწავლა საქართველოს, რუსეთის და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების დარღვევის სავარაუდო ფაქტები.

კონფლიქტის მიმდინარეობის დროს და მის შემდგომ, ორგანიზაცია Amnesty International-ი საჯარო მიმართვებში მოუწოდებდა კონფლიქტის მხარეებს, დაეცვათ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და ჰუმანიტარული სამართლის მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებები და მიეღოთ სამოქალაქო საზოგადოების დასაცავად საჭირო ზომები. საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ Amnesty International-ის წარმომადგენლები ჩავიდნენ სამხრეთ ოსეთისა და მის გარშემო ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტის ზონაში. მოცემული ანგარიში ეფუძნება Amnesty International-ის წარმომადგენლების მიერ აღნიშნულ ტერიტორიებზე განხორციელებული ოთხი ვიზიტის დროს ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებულ მონაცემებს. ეს ვიზიტები განხორციელდა სამხრეთ ოსეთში (24-28 აგვისტოს, 29-30 აგვისტოს), რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთში (21-28 აგვისტო), საქართველოს დედაქალაქ თბილისში და მის ახლომდებარე ტერიტორიებზე (15-23 აგვისტო), აგრეთვე, კონფლიქტის ზონის მახლობელ, საქართველოს ქალაქში გორში (29-30 აგვისტო). Amnesty International-ი უფლებამოსილი იყო შესულიყო კონფლიქტის ზონაში მდებარე უმეტეს ადგილებში, თუმცა რუსმა სამხედროებმა აგვისტოს ბოლოს, ზედიზედ ორი დღის განმავლობაში, ორგანიზაციის წარმომადგენლები არ შეუშვეს გორის ჩრდილოეთით არსებულ ეგრეთ-წოდებულ "ბუფერულ ზონაში". კვლევის პროცესში Amnesty International-ის წარმომადგენლები შეხვდნენ დაჭრილებს და კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს,

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და სახელმწიფო მოხელეებს თბილისში, ცხინვალში და ვლადიკავკაზში, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჟურნალისტებს და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს. მათ აგრეთვე მოაგროვეს კონფლიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ამსახველი ფოტომასალა. ანგარიშში გამოყენებულია Amnesty International-ის ფოტოები, ახალ ამბებში გადმოცემული სხვადასხვა ინფორმაცია, ოფიციალური განცხადებები და მიმართვები, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები, აგრეთვე ინფორმაცია, რომელიც ეყრდნობა სატელიტური მასალის ანალიზს, რომელიც Amnesty International-ისათვის მოამზადა სამეცნიერო განვითარების ამერიკულმა ასოციაციამ.

ამ კონფლიქტისათვის დასაწყისშივე დამახასიათებელი იყო დეზინფორმაცია, ბრძოლის მასშტაბებისა და დაღუპულთა რაოდენობის გაზვიადება, და ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე მოვლენების სრულიად საწინააღმდგო სახით წარმოჩენა. კონფლიქტის ყველა მხარე ცდილობდა გაემართლებინა მათ მიერ ძალის გამოყენება და წარმოებული საომარი მოქმედებების ხასიათი. 7 აგვისტოს საომარი მოქმედებების დაწყების გამომწვევი მიზეზი კვლავაც დავის საგნად რჩება და ყველა მხარე ამტკიცებს, რომ მათ მიერ განხორციელებული ქმედებები ატარებდა "თავდაცვით" ხასიათს, მაშინ, როდესაც საწინააღმდეგო მხარის სამოქალაქო მოსახლეობას მოუხდა თავის მხრებზე მათ მიერ წარმოებული საომარი მოქმედებების სისასტიკის გადატანა. Amnesty International-ი შეძლებისდაგვარად ყველგან ცდილობდა მოეძია დამოუკიდებელი ინფორმაცია და მტკიცებულებები არსებული ეჭვის მინიმუმამდე დასაყვანად. თუმცა, ძალზე რთული აღმოჩნდა დიდი რაოდენობის მტკიცებულებების, ფაქტების და რიცხობრივ მონაცემთა დამოუკიდებელი შეფასება და დამტკიცება. მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს ხელისუფლების მიერ 7 ოქტომბერს, და რუსეთის ხელისუფლების მიერ 10 ოქტომბერს გაცემული პასუხები მიმართვებზე, რომლებშიც ასახულია Amnesty International-ის წუხილები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

Amnesty International-ს არ აქვს გამოკვეთილი პოზიცია ფართო პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც უკავშირდება საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს, ან საქართველოსა და რუსეთს შორის საომარი დაპირისპირების გამომწვევ მიზეზებს. წინამდებარე ანგარიშში მოცემული ტერმინების გამოყენება, როგორიცაა "სამხრეთ ოსეთი" და "საკუთრივ საქართველოს ტერიტორია", არ გამოხატავს ორგანიზაციის მხარდაჭერას კონფლიქტში მონაწილე რომელიმე პოლიტიკური მხარის მიმართ, და გამოიყენება მხოლოდ უკეთესი ენობრივი აღქმის მიზნით.

Amnesty International-ი კონფლიქტის დაწყებიდან მასში მონაწილე ყველა მხარისგან მოითხოვდა, დაეცვათ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები. ეს ეხებოდა როგორც თავდამსხმელებს, ისე მათ, ვინც თავს იცავდა, აღიარებული სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებს და არაფორმალურ, ორგანიზებულ სამხედრო დაჯგუფებებს, რომლებიც არ მიეკუთვნებოდა რომელიმე სახელმწიფოს.

მოცემული ანგარიშისთვის Amnesty International-მა შეისწავლა ყველა მხარის მიერ განხორციელებული ქმედებები, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინების ფონზე. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, Amnesty International-ი მოუწოდებს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს და საერთაშორისო საზოგადოებას უზრუნველყონ სამართალი და რეპარაცია საერთაშორისო სამართლის დარღვევის მსხვერპლთათვის, აღნიშნული ნორმების დამრღვევ პირთა პასუხისმგებლობა და მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით საჭირო პრევენციული ზომების მიღება.

1.1 საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი

"სამხრეთ ოსეთის" სტატუსი იყო სუვერენიტეტთან დაკავშირებული ორი საკითხიდან ერთ-ერთი, რომელიც აქტუალური გახდა საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისთანავე, 1991 წელს. მეორე ასეთი საკითხი უკავშირდებოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე "აფხაზეთს". სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა 1923 წელს და რომელიც 1990 წელს გაუქმებულად გამოაცხადა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, ცნობილია როგორც "ცხინვალის რეგიონი" (ან არაოფიციალურად მისი ისტორიული სახელით, "სამაჩაბლო"). ორწლიანი (1990-1992 წწ.) კონფლიქტი დასრულდა სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* გამოყოფით.[1] ამას 1992 წელს დაემატა კონფლიქტი აფხაზეთთან, რომელიც 1993 წელს დასრულდა საქართველოს სამხედრო დამარცხებით და აფხაზეთის *დე ფაქტო* გამოყოფით. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობა არ უღიარებია არც ერთ სახელმწიფოს ბოლოდროინდელ კონფლიქტამდე. 2004 წლის აგვისტოს სამხრეთ ოსეთში კვლავ მოხდა, მართალია, ხანმოკლე, მაგრამ სერიოზული შეტაკებები.

2003 წელს საქართველოს მთავრობა დაემხო "ვარდების რევოლუციის" შედეგად, რომელიც ფართო მასშტაბით გაყალბებულ არჩევნებს მოჰყვა; 2004 წელს ჩატარებულ არჩევნებში გაიმარჯვა ოპოზიციის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავისი ადმინისტრაციის პრიორიტეტულ საკითხად გამოაცხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ინიციატივა შემდგომში განახლდა ძალზე მცირე უმრავლესობით მოგებულ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც 2007 წლის ნოემბერში საქართველოს დედაქალაქ თბილისში მასობრივი საპროტესტო აქციების შედეგად დაინიშნა.[2]

ცხინვალის რეგიონის დედაქალაქში მოქმედი *დე ფაქტო* ხელისუფლება აღნიშნულ რეგიონს უწოდებს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას, თუმცა ის არც ერთ სახელმწოფოს არ უღიარებია მიმდინარე წლის 26 აგვისტომდე, როდესაც მისი დამოუკიდებლობა ცნო რუსეთმა. ნიკარაგუა ერთადერთი სახელმწიფოა რუსეთის გარდა, რომელმაც ცნო სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა.[3] მოცემულ ანგარიშში გამოყენებული ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" გამოიყენება მხოლოდ ყოფილი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონის ტერიტორიის აღსანიშნავად. ცხინვალს (Tskhinvali) ოსები მოიხსენიებენ როგორც "ცხინვალ" (Tskhinval).

1992 წლიდან სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ინარჩუნებდა *დე ფაქტო* დამოუკიდებლობას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ვერ აკონტროლებდა სამხრეთ ოსეთის მთლიან ტერიტორიას, ვინაიდან, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიები, რომლებიც უმეტესწილად დასახლებული იყო ქართველებით, რჩებოდა საქართველოს კონტროლის ქვეშ. საქართველოს სახელისუფლებო წყაროს მიხედვით, აგვისტოს კონფლიქტამდე 21 სოფელი იყო პრო-ქართული *დე ფაქტო* ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ.[4] 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე სამხრეთ ოსეთი წარმოადგენდა ცალკეული ტერიტორიების ერთიანობას, რომლებიც კონტროლდებოდა *დე ფაქტო* საქართველოს და *დე ფაქტო* სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციების მიერ.

1990-იანი წლების დასაწყისიდან რუსეთი უწევდა სხვადასხვა სახის მხარდაჭერას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* ადმინისტრაციებს, გასცემდა რუსეთის პასპორტებს აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის დიდ ნაწილზე. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას აღნიშნული პასპორტების გარდა არ გააჩნიათ სხვა ოფიციალური დოკუმენტი (ქართული პასპორტების მიღებას პოლიტიკური ელფერი აქვს), რომელიც მისცემდა მათ საზღვრებს გარეთ მგზავრობის საშუალებას. აღნიშნული "პასპორტიზაციის" პროცესი დაედო საფუძვლად რუსეთის განცხადებას, რომ მის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული სამხედრო მოქმედებები საჭირო იყო "რუსეთის მოქალაქეების" დასაცავად.

2001 წლიდან სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში მოქმედ *დე ფაქტო* ხელისუფლებას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი. 2006 წლიდან, თბილისის მხარდაჭერით სამხრეთ ოსეთში შეიქმნა *დე ფაქტო* ადმინისტრაცია, დიმიტრი სანაკოევის მეთაურობით. ეთნიკური წარმოშობით ოსი, ადრე სეპარატისტულ ხელისუფლებასთან ასოცირებული დიმიტრი სანაკოევი, მოგვიანებით კონფლიქტის მოგვარების საკითხში საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის დამცველი გახდა.[5] მისი ადმინისტრაცია დაფუძნდა ძირითადად ქართველებით დასახლებულ სოფელ ქურთაში, რომელსაც აკონტროლებდა პრო-ქართული *დე ფაქტო* ადმინისტრაცია.

1.2 საომარი მოქმედებების გამომწვევი ფონი

2008 წლის აპრილში, ქართულ-რუსული ურთიერთობების ხანგრძლივი გაუარესების ფონზე, სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით დაიწყო დაძაბულობის ესკალაცია. მიუხედავად იმისა, რომ დაძაბული სიტუაცია ბევრად უფრო სერიოზული ჩანდა აფხაზეთში, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მეორე კონფლიქტურ ტერიტორიას, სამხრეთ ოსეთში, ივლისში, ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებებს, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს სამხედრო პირების მოტაცების ფაქტებს, სპორადულ სროლებს და ჭურვების გამოყენებას ცხინვალში და რეგიონის ქართულ სოფლებში, რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალების მიერ

ქართული საჰაერო სივრცის სავარაუდო დარღვევებს და მიმდინარე წლის ივლისის განმავლობაში სროლებს სამხრეთ ოსეთში.[6] 3 ივლისს დიმიტრი სანაკოევზე განხორციელდა თავდასხმა მკვლელობის მიზნით. აღნიშნული მოვლენები განვითარდა კონფლიქტის მოსაგვარებლად წარმოებული მოლაპარაკებების ჩავარდნის ფონზე. რუსეთის წინადადება, ორი წლის განმავლობაში პირველად შეკრებილიყო შერეული საკონტროლო კომისია (JCC),[7] არ მიიღო საქართველომ, ხოლო წინადადება ქართული-ოსური ორმხრივი მოლაპარაკებების შესახებ არ მიიღო სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* ხელისუფლებამ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უმეტესობა, როგორც ქართველები, ისე ოსები, Amnesty International-თან ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ კონფლიქტის წინა თვეებში გაუარესდა სიტუაცია უსაფრთხოების თვალსაზრისით, და რომ აღნიშნულ წინმსწრებ პერიოდში ადგილი ჰქონდა შეტაკებებს ქართველებით და ოსებით დასახლებულ სოფლებს შორის.

დაძაბულობის ესკალაცია აშკარა გახდა აგვისტოს პირველ დღეებში, რამაც გამოიწვია საომარი მოქმედებების დაწყება. 31 ივლისის ინფორმაციის მიხედვით, სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალებმა თავდასხმის შედეგად ააფეთქეს ქართული სამხედრო ავტომანქანა, რომლითაც გადაჰყავდათ ქართველი სამშვიდობოები.[8] 1 აგვისტოს მომხდარი სროლების შემდეგ, სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ მათი მხრიდან მსხვერპლი იყო 6 გარდაცვლილი და 15 დაჭრილი, და რომ უმეტესობა დაჭრილი იყო სნაიპერების მიერ, ხოლო საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა 9 დაჭრილი.[9] ორივე მხარე ადანაშაულებდა ერთმანეთს ნაღმტყორცნების გამოყენებაში.[10] *დე ფაქტო* ხელისუფლებამ დაიწყო მოსახლეობის ნაწილის ევაკუირება ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში, რომელიც რუსეთის ფედერაციაში შედის და მჭიდრო კავშირი აქვს სამხრეთ ოსეთთან. ქართული მოსახლეობის ნაწილმაც დატოვა აღნიშნული ტერიტორია, რათა თავი შეეფარებინა საქართველოს სხვა რაიონებისთვის.[11] Amnesty International-ის მიერ გამოკითხული სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა აღნიშნავდა, რომ მათ აგვისტოს პირველი კვირის განმავლობაში ეძინათ სარდაფებში, რადგან ელოდნენ საომარი მოქმედებების დაწყებას.

©Amnesty International - ბელა ხარიბოვა და მისი ქალიშვილი, სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილი ვლადიკავკაზში, რუსეთის ფედერაცია, 2008 წლის 25 აგვისტო.
მისი ქმარი ვალერი ძიოევი დაიღუპა საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვართან ახლოს მომხდარი აფეთქების დროს 2008 წლის 25 ივლისს.

1.3 ომი და მისი შედეგები

ხუთდღიანი ომი დაიწყო 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამეს. რუსეთის შუამავლობით მიმდინარე ქართულ-ოსური მოლაპარაკებები ჩაიშალა 7 აგვისტოს. რუსეთის ინიციატივით გამართულ გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო შეხვედრაზე ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება რუსეთის მომზადებულ დოკუმენტზე ორივე მხარის მიერ ძალის არგამოყენების შესახებ. საღამოს 7 საათზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტელევიზიით გამოსვლის დროს გააკეთა განცხადება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. დაახლოებით ოთხი საათის შემდეგ, 11 საათსა და 30 წუთზე საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეუტიეს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალს.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები თავიდანვე აცხადებდნენ, რომ ცხინვალზე იერიში იყო ოსური შეიარაღებული ძალების ქართულ სოფლებზე, ფრისსა და თამარაშენზე, მუდმივ შეტევებზე პასუხი. რეგიონში ქართული სამშვიდობო ძალების სარდლის, მამუკა ყურაშვილის თქმით, საქართველომ "გადაწყვიტა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა

სამხრეთ ოსეთის მთელ რეგიონში".[12] თუმცა, 13 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ "ჩვენ პირდაპირ ვუპასუხეთ რუსულ შეიარაღებულ ძალებს. საქმე იმაშია, რომ დაახლოებით საღამოს 11 საათზე რუსულმა ტანკებმა, 150 ერთეულის რაოდენობით, დაიწყეს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა. ეს იყო ნათლად გამოხატული სამხედრო ინტერვენცია. სწორედ ამ მომენტში ჩვენ გავხსენით საარტილერიო ცეცხლი."[13] რუსეთის ოფიციალური პირები ამ განცხადებას უარყოფენ და ამტკიცებენ, რომ რუსული შეიარაღებული ძალების საქართველოში შემოსვლა დაიწყო საქართველოს მიერ ცხინვალზე მიტანილი იერიშის საპასუხოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა თავდაპირველად კონტროლი დაამყარეს ცხინვალის გარკვეულ ნაწილსა და მის გარშემო მდებარე რამდენიმე სოფელზე, რუსულმა სამხედრო ძალებმა, რომლებიც სამხრეთ ოსეთში ჩრდილოეთ ოსეთიდან შემოვიდნენ როკის გვირაბის გავლით (გვირაბი გადის კავკასიონის ქედის ქვეშ და აკავშირებს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს) ისინი სწრაფად გამოდევნეს. რუსული ჯარის მიერ სამხრეთ ოსეთის დაკავების პარალელურად შეტევა ასევე იქნა მიტანილი საქართველოს რამდენიმე სხვა რეგიონზეც, სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ. ეს რეგიონები იყო სამხრეთ ოსეთთან ახლოს მდებარე ქალაქი გორი, შავი ზღვის პორტი ფოთი, დასავლეთ საქართველოს ორი ქალაქი ზუგდიდი და სენაკი და საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი აფხაზეთის ერთადერთი ნაწილი, კოდორის ხეობა. საჰაერო ძალების მხარდაჭერით რუსულმა სამხედრო შენაერთებმა სწრაფად მოახდინეს ამ რაიონების ოკუპირება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონიდან საკმაოდ დაშორებულია.

12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი დათანხმა საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის (რომელიც ამჟამად ევროკავშირის მოქმედი თავმჯდომარეა) შუამავლობით შემოთავაზებულ ზავს და გამოაცხადა რუსეთის სამხედრო ოპერაციის დასრულება საქართველოში. მიუხედავად ამისა, რუსული შეიარაღებული ძალები მაინც რჩებოდნენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორიებზე.[14] პრეზიდენტ სარკოზის მიერ შემოთავაზებულ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიან შეთანხმებას პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა 15 აგვისტოს, ხოლო პრეზიდენტმა მედვედევმა - 16 აგვისტოს.

ექვსპუნქტიანი სამშვიდობო გეგმის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის და ზოგი პუნქტის მნიშნელობის შესახებ რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე კამათის ფონზე რუსული შეიარაღებული ჯარები დარჩნენ საქართველოს ტერიტორიაზე სექტემბრის დასაწყისში, და სამხრეთ ოსეთის ფარგლებს გარეთ მდებარე საქართველოს გარკვეულ ტერიტორიებს, რომლებიც არ ყოფილა აქამდე სადავო, დემარკაციას უკეთებდნენ როგორც "უსაფრთხოების" და "ბუფერულ ზონებს." 8 სექტებერს რუსეთი პირობითად დათანხმდა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ფარგლებს გარეთ დისლოცირებული შეიარაღებული ძალების სრულ გაყვანას 10 ოქტომბრისთვის, ევროკავშირის 200 მონიტორის საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ.

მიუხედავად იმისა, რომ აქტიური საომარი მოქმედებების დროს გარკვეული ხარისხით გაუგებრობის და ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის გავრცელება პრაქტიკულად გარდაუვალია, ჩანს, რომ კონფლიქტის მიმდინარეობის პროცესში, განსაკუთრებით კი მის ადრეულ სტადიაში სპეციალურად ხდებოდა დეზინფორმაციის გავრცელება და მონაცემების გაზვიადება. მხარეების მიერ დამოუკიდებელი დამკვირვებლების კონფლიქტის ზონაში შესვლის ბლოკირება ხელს უშლიდა სანდო ინფორმაციის მოძიებას, რათა დაზუსტებულიყო მხარეების მიერ გაცხადებული და საერთაშორისო მედიაში გაჟღერებული მონაცემები მოსახლეობაში მსხვერპლის შესახებ.

ცხინვალზე ქართული მხარის შეტევის შემდგომ, რუსული საინფორმაციო წყაროები - ზოგ შემთხვევაში საქართველოში რუსეთის ელჩზე დაყრდნობით - იტყობინებოდნენ რომ იერიშის დროს დაიღუპა 2,000 სამოქალაქო პირი.[15] 20 აგვისტოს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დაღუპული იყო 1,492 ადამიანი.[16] 21 აგვისტოს რუსული საინფორმაციო წყაროების მიერ გამოცხადებული დაღუპულთა რაოდენობა შემცირდა 133 მშვიდობიან მოქალაქემდე და 64 სამხედრომდე.[17] 12 ოქტომბრის ინტერვიუში რუსეთის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რეგისტრირებული იყო 159 გარდაცვლილი სამოქალაქო პირი.[18] 12 სექტემბრის მონაცემებით, ცხინვალის საავადმყოფოში იმყოფებოდა 220, ხოლო ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ვლადიკავკაზში - 255 დაჭრილი.[19]

რაც შეეხება დანაკარგებს ქართული მხრიდან, Amnesty International-ის მიერ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებული ინფორმაციით, 7 ოქტომბრის მონაცემებით დაფიქსირებული იყო 405 გარდაცვლილი (220 სამოქალაქო პირი, 169 სამხედრო მოსამსახურე, რომელთაგანაც 41 ამოუცნობი იყო, და 16 პოლიციელი).[20] ასევე, სექტემბრის შუა რიცხვების მონაცემებით, იყო 2,234 დაჭრილი, რომელთაგან 1,964 იყო კომბატანტი, ხოლო 170 სამოქალაქო პირი და 100 ამოუცნობი იყო.[21] მთლიანობაში აღმოჩნდა, რომ მსხვერპლი იყო ასეულობით და არა ათასობით, როგორც თავიდან იყო გაცხადებული.

რუსული შეიარაღებული ძალების გაყვანა ეგრეთ წოდებული "ბუფერული ზონებიდან" დაიწყო სამხრეთ ოსეთთან ახლოს შექმნილი საკონტროლო-გამშვები პუნქტების დაშლასთან ერთად ოქტომბრის დასაწყისში. 3 ოქტომბერს ცხინვალში აფეთქდა ავტომანქანაში ჩამონტაჟებული ბომბი. დაიღუპა შვიდი და დაიჭრა რამდენიმე რუსი ჯარისკაცი. აფეთქებაზე პასუხისმგებლობა არავის აუღია. რუსული ჯარების გაყვანა "ბუფერული ზონებიდან" დასრულდა 10 ოქტომბერს, თუმცა რუსეთი კვლავ ტოვებს მნიშვნელოვანი რაოდენობით სამხედრო ძალებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

2. konf l iqt is da misi Sedegebis maregul i rebe l i saerTaSoriso samarTa l i

საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის მიმართ მოქმედებს საერთაშორისო სამართლის გარკვეული ნორმები. ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი მოქმედებს როგორც მშვიდობის პირობებში, ისე შეიარაღებული კონფლიქტის დროს და სამართლებრივ ვალდებულებებს აკისრებს კონფლიქტში მონაწილე ყველა სახელმწიფოს, მათ შეიარაღებულ ძალებს და სხვა უფლებამოსილ წარმომადგენლებს. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, რომელიც აგრეთვე ცნობილია როგორც ომის კანონთა კრებული, სამართლებრივ ვალდებულებას აკისრებს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარეს, არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებების ჩათვლით. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი, რომელიც შედგება სამართლებრივი ნორმებისგან, და ეფუძნება სახელმწიფოების მუდმივ ქმედებებს, სამართლებრივად ავალდებულებს შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს. საერთაშორისო სისხლის სამართალი აკისრებს ინდივიდუალურ პირებს პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გარკვეულ დარღვევებზე, როგორიცაა წამება და იძულებითი გაუჩინარება, გენოციდი, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულები, ასევე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უხეშ დარღვევებზე, რომლებიც მიეკუთვნება სამხედრო დანაშაულებს. საერთაშორისო სამართალში აგრეთვე არსებობს სამართლებრივი სტრუქტურა, რომელიც არეგულირებს დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვის და რეპარაციის უფლების საკითხებს.

ზოგიერთ შემთხვევასთან დაკავშირებით, Amnesty International-მა ნათლად განსაზღვრა კონფლიქტის მხარეების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სტანდარტების დარღვევის ფაქტები და მოითხოვს, რომ კონფლიქტის მონაწილე ყოველი მხარის მიერ განხორციელებული საომარი ქმედებები გახდეს საერთაშორისო გამოკვლევის საგანი, როგორც განსაზღვრულია წინამდებარე ანგარიშის ბოლოს მოცემულ რეკომენდაციებში.

2.1 საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გამოიყენება მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის დროს. მისი ძირითადი მიზანია შეძლებისდაგვარად შეზღუდოს შეიარაღებული კონფლიქტების დროს ადამიანთა ტანჯვის ფაქტები. ჰუმანიტარული სამართალი აყალიბებს ადამიანური ქცევის ნორმებს და ზღუდავს სამხედრო ოპერაციების განხორციელების დროს გამოყენებულ საშუალებებსა და მეთოდებს. მასში შემავალი ნორმები და სტანდარტები ძირითადად გამოიყენება იმ პირთა

დასაცავად, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, სამოქალაქო მოსახლეობის, კომბატანტების, დაჭრილებისა და მძევლად ან ტყვედ აყვანილი პირების ჩათვლით.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენს ჟენევის 1949 წლის ოთხი კონვენცია და დამატებითი 1977 წლის პროტოკოლები. ორივე მხარე - საქართველო და რუსეთი, წარმოადგენენ მხარეებს, რომლებიც სამართალვალდებულნი არიან, შეასრულონ მათში წარმოდგენილი დებულებები. ჟენევის ოთხივე კონვენციის ზოგადი მესამე მუხლი და II პროტოკოლი ვრცელდება არასაერთაშორისო კონფლიქტზე, და არ მოიცავს საომარი მოქმედებების ჩატარების დეტალურ წესებს. საომარი მოქმედებების ჩატარების წესები წარმოდგენილია I პროტოკოლში, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის განხორციელების წესებს. საომარი ქმედებების ჩატარების წესები განიხილება როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილი და მათი დაცვა სავალდებულოა კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარისთვის. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) მიერ ჩვეულებითი სამართლის საკითხის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ აღნიშნული წესების უმეტესობის დაცვა სამართლებრივად სავალდებულოა როგორც არასაერთაშორისო, ისე საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს.[22] მოცემული წესების უხეში დარღვევა შესაძლოა გაუტოლდეს სამხედრო დანაშაულის კატეგორიას. არასაერთაშორისო და საერთაშორისო კონფლიქტებში ასეთი ტიპის დანაშაულების საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრებები მოცემულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) რომის წესდებაში.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად, კომბატანტის სტატუსის მქონეა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყველა წევრი (და მათი მონაცვალეები, მაგალითად, გასამხედროებული შენაერთების წარმომადგენლები). არასაერთაშორისო კონფლიქტში მებრძოლი ორგანიზებული არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებების წარმომადგენლები არ განისაზღვრებიან კომბატანტებად, ისინი არიან მოქალაქეები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საომარ მოქმედებებში, რის გამოც ვერ სარგებლობენ თავდასხმებისგან დაცვისთვის საჭირო სამოქალაქო იმუნიტეტით, იმ დროის განმავლობაში, სანამ მონაწილეობენ დაპირისპირებებში. შეიარაღებული ძალების წევრები, რომლებსაც საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს ტყვედ აიყვანენ მოწინააღმდეგე სამხედრო ძალები, სარგებლობენ სამხედრო ტყვეების სტატუსით (POWs). არასაერთაშორისო კონფლიქტში, ტყვედ ჩავარდნილი უშიშროების ძალების ან არაფორმალური შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებზე არ ვრცელდება ასეთი სტატუსი, თუმცა ჟენევის კონვენციების ზოგადი მესამე მუხლის და II პროტოკოლის თანახმად, ასეთ ტყვეებთან ნებისმიერ დროს ადამიანური მოპყრობა წარმოადგენს სავალდებულო ნორმას. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად, მოქალაქეების სტატუსით სარგებლობენ ის პირები, რომლებიც არ წამოადგენენ კომბატანტებს.

2.2 სამოქალაქო მოსახლეობასა და სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმების აკრძალვა – "გარჩევის" პრინციპი

I პროტოკოლის 48-ე მუხლში ჩამოყალიბებულია სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის "ძირითადი წესი" – "*გარჩევის*" პრინციპი. მოცემული პრინციპი წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ქვაკუთხედს:

> *"სამოქალაქო მოსახლეობისა და სამოქალაქო ობიექტების უსაფრთხოებისა და თავდასხმებისგან დაცვის მიზნით, კონფლიქტში მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან სამოქალაქო მოსახლეობისა და კომბატანტების, სამოქალაქო ობიექტებისა და სამხედრო ობიექტების გარჩევის პრინციპი, და შესაბამისად, მიმართონ სამხედრო ოპერაციები მხოლოდ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ."*

©Amnesty International- სამხრეთ ოსეთში, ცხინვალში, GRAD-ის ჭურვით დანგრეული სახლი

რომის წესდების I ოქმის 51(3) მუხლის თანახმად, თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე ან ინდივიდუალურ სამოქალაქო პირებზე, რომლებიც არ ღებულობენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში, განისაზღვრება როგორც სამხედრო დანაშაული.[23] მოქალაქეები რჩებიან დაცულნი "იქამდე, სანამ ისინი უშუალო მონაწილეობას არ იღებენ სამხედრო მოქმედებებში". I ოქმის 52(1) მუხლის თანახმად:

"სამოქალაქო ობიექტი არის ყველა ის ობიექტი, რომელიც არ არის სამხედრო დანიშნულების ობიექტი"

52(2) მუხლის თანახმად, სამხედრო დანიშნულების ობიექტებად მოიაზრება:

> *"ობიექტები, რომლებიც თავისი ხასიათით, ადგილმდებარეობით, დანიშნულებით და გამოყენების ფორმით ეფექტურ მხარდაჭერას უწევენ საომარ მოქმედებებს და რომელთა ნაწილობრივი ან მთლიანი განადგურება, ხელში ჩაგდება ან ნეიტრალიზება, მოცემული დროისთვის მოქმედ პირობებში, განაპირობებს სამხედრო უპირატესობას."*

ობიექტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მოცემულ კრიტერიუმებს, არის სამოქალაქო ობიექტები. ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაუდგენელია სამიზნე ობიექტის სამხედრო დანიშნულება, მაშინ "ის უნდა ჩაითვალოს არასამხედრო დანიშნულების ობიექტად" (52(3) მუხლი).[24] სამოქალაქო ობიექტებზე განზრახ თავდასხმა, თვითნებური, უკანონო და დაუნდობელი გზით საკუთრების განადგურება, რომელიც არ წარმოადგენს სამხედრო საჭიროებას, ითვლება სამხედრო დანაშაულად.

დაუშვებელია სამხედრო უპირატესობის ისეთი ფართო ინტერპრეტაცია, რომელიც ამ წესს არაეფექტურს გახდის. ისეთი შეტევის გამართლება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის ეკონომიური კეთილდღეობის მოშლით ან მოწინააღმდეგის მომხრე მოქალაქეების დემორალიზაციით ცდილობს მოწინააღმდეგის ბრძოლისუნარიანობის შესუსტებას, სრულიად ცვლის სამხედრო უპირატესობის ცნების სამართლებრივ მნიშვნელობას, არღვევს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოქალაქეებს.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს მოწინააღმდეგე მხარის საკუთრების განადგურებას ან მიტაცებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული ძალზე მნიშვნელოვანი სამხედრო საჭიროებით არის განპირობებული. საკუთრების გადამეტებული ძალის გამოყენებით, უკანონო და დაუნდობელი გზით განადგურება, რომელიც არ წარმოადგენს სამხედრო საჭიროებას, განისაზღვრება, როგორც სამხედრო დანაშაული (8(2) მუხლი (ბ) (xiii)

2.3 განურჩეველი და არაპროპორციული თავდასხმების აკრძალვა

I პროტოკოლი 51(4) მუხლი კრძალავს განურჩეველ თავდასხმებს, როგორიცაა:

> *"სამხედრო ობიექტებზე, სამოქალაქო მოსახლეობაზე და სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმა 'გარჩევის' გარეშე."*

არაპროპორციულია თავდასხმა, რომელიც წარმოადგენს განურჩეველი თავდასხმის ტიპს და:

"შედეგად შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო პირების შემთხვევითი სიკვდილი ან დაშავება, სამოქალაქო ობიექტების დაზიანება, ან წარმოადგენს ისეთი სახის კომბინაციას, რომელიც კონკრეტულ და უშუალოდ გამიზნულ სამხედრო უპირატესობისთვის მოისაზრება გადამეტებულად." (51(5) მუხლი)

არაპროპორციული თავდასხმის განზრახ განხორციელება[25] წარმოადგენს სამხედრო დანაშაულს, ისევე, როგორც განურჩეველი სახის თავდასხმა, რომელიც გამოიწვევს სამოქალაქო პირების დაშავებას ან სიკვდილს, ან ზიანს მიაყენებს სამოქალაქო ობიექტებს.[26] საკუთრების გადამეტებული ძალით უკანონო და დაუნდობელი გზით განადგურების ან მიტაცების აქტი, რომელიც არ იქნება სამხედრო საჭიროებით გამართლებული, აგრეთვე არის სამხედრო დანაშაული.[27]

© Amnesty International- ქალი დგას თავისი სახლის ნანგრევებთან ტელმანის ქუჩაზე, ცხინვალი, სამხრეთ ოსეთი, 2008 წლის 24 აგვისტო

2.4 სიფრთხილის ზომები თავდასხმის დროს

57-ე მუხლის თანახმად, ყველა მხარემ უნდა მუდმივად იზრუნოს, რომ "დაინდოს სამოქალაქო მოსახლეობა, სამოქალაქო პირები და სამოქალაქო ობიექტები." 57(2) მუხლის თანახმად, ის პირები, რომლებიც გეგმავენ ან გადაწყვეტენ თავდასხმას, ვალდებულნი არიან:

(i) მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმის დასადგენად, რომ სამიზნეები, რომლებზეც აპირებენ თავდასხმას, არ არიან სამოქალაქო პირები, სამოქალაქო ობიექტები და არ წარმოადგენენ ობიექტებს, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას, არამედ 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წარმოადგენენ სამხედრო დანიშნულების ობიექტებს, და მოცემული პროტოკოლის დებულებებით არ იკრძალება მათზე თავდასხმა;

(ii) თავდასხმის საშუალებების და ფორმების შერჩევისას მიიღონ წინასწარი ზომები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რათა თავიდან აიცილონ და უკიდურეს შემთხვევაში მინიმუმამდე შეამცირონ სამოქალაქო პირთა შემთხვევითი სიკვდილი, დაშავება და სამოქალაქო ობიექტების დაზიანება;

(iii) თავი შეიკავონ ისეთი თავდასხმების განხორციელებისგან, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ სამოქალაქო პირთა შემთხვევითი გარდაცვალება, დაშავება და სამოქალაქო ობიექტების დაზიანება, ან ყოველივე ერთად, რაც გადამეტებულად აღიქმება ისეთი ოპერაციისთვის, რომელიც განკუთვნილია კონკრეტული და უშუალო სამხედრო უპირატესობის მოსაპოვებლად;

ბ) გაუქმდეს ან შეჩერდეს ნებისმიერი თავდასხმა, როდესაც აშკარაა, რომ სამიზნე ობიექტი არ არის სამხედრო დანიშნულების მქონე ან წარმოადგენს ობიექტს, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას, ან თავდასხმამ შესაძლოა გამოიწვიოს სამოქალაქო პირის შემთხვევითი სიკვდილი, სამოქალაქო მოსახლეობის დაშავება, სამოქალაქო ობიექტების დაზიანება, ან ყოველივე ერთად, რაც გადამეტებულად აღიქმება ისეთი ოპერაციისთვის, რომელიც განკუთვნილია კონკრეტული და უშუალო სამხედრო უპირატესობის მოსაპოვებლად;

გ) იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილმა თავდასხმამ შეიძლება ზიანი მოუტანოს მოსახლეობას, მათთვის ეფექტური გაფრთხილებების უზრუნველყოფა წარმოადგენს სავალდებულო პირობას, ისეთი გარემოებების გარდა, როდესაც არსებული მდგომარეობა არ იძლევა აღნიშნულის საშუალებას.

© Amnesty International- დაბომბილი კაფე ცხინვალის ცენტრში, სამხრეთ ოსეთი, 2008 წლის აგვისტო

2.5 სიფრთხილის ზომები თავდაცვის დროს

მეომარი მხარეები სამართალვალდებულნი არიან, მიიღონ ყველა საჭირო ზომა მათი კონტროლის ქვეშ მყოფი მოქალაქეებისა და სამოქალაქო ობიექტების მოწინააღმდეგე მხარის შესაძლო ქმედებებისგან დასაცავად. I პროტოკოლი ავალდებულებს ყველა მხარეს, თავი შეიკავონ სამხედრო ობიექტების მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ ადგილას განთავსებისგან (58(ბ) მუხლი). 50(3) მუხლის თანახმად, "სამოქალაქო მოსახლეობაში იმ პირთა ყოფნა, რომლებიც არ ფლობენ სამოქალაქო სტატუსს, არ უკარგავს მოსახლეობას სამოქალაქო სტატუსის უფლებას".

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) ოფიციალური კომენტარი:

> *"საომარი მდგომარეობის დროს გარდაუვალია კომბატანტის სტატუსის მქონე პირების სამოქალაქო მოსახლეობასთან შერევა, მაგ.: შვებულებაში მყოფი ჯარისკაცები, რომლებიც ეწვევიან საკუთარ ოჯახებს. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი შემთხვევები არ ხასიათდება დიდი სიხშირით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ასეთი ტიპის შერევა ვერ შეცვლის სამოქალაქო მოსახლეობის სტატუსის ხასიათს."*

© Amnesty International- რუსული სამხედრო-სატრანსპორტო საშუალება ცხინვალში, სამხრეთ ოსეთი, 2008 წლის 26 აგვისტო

2.6 იარაღის ტიპები

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს განურჩეველი ტიპის იარაღის გამოყენებას ან ისეთი იარაღის გამოყენებას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს განსაკუთრებული დაზიანება და ტანჯვა. ICRC-ს განურჩეველი ტიპის იარაღის ნიმუშად მოყავს "დიდი რადიუსით მოქმედი რაკეტები, რომელთა აბსოლუტური სიზუსტით დამიზნება სამიზნე ობიექტებზე შეუძლებელია".

კონფლიქტის დროს თავდასხმებისას გამოყენებულ სხვა იარაღებში, რომლებიც განისაზღვრება როგორც განურჩეველი ტიპის იარაღი, აგრეთვე მოისაზრება "კასეტური" ბომბები. "კასეტური" ბომბის ან ჭურვის აფეთქების შედეგად ხდება მასში განთავსებული ათასობით პატარა ბომბების გაბნევა ფართო, დაახლოებით ერთი ან ორი ფეხბურთის მოედნის შესატყვის მასშტაბზე. მათი ჩამოყრა შესაძლებელია საფრენი აპარატიდან, აგრეთვე შესაძლებელია მათი გასროლა საარტილერიო ან სარაკეტო დანადგარიდან. იმის მიხედვით, თუ "კასეტური" იარაღის რომელი ტიპის გამანადგურებელი იქნება გამოყენებული, დაახლოებით 5-დან 20 პროცენტამდე კასეტური პატარა ბომბი არ ფეთქდება და რჩება ხანგრძლივი საფრთხე იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც შესაძლოა მომავალში აფეთქდნენ აღნიშნულ ბომბებზე.

დუბლინში, 2008 წლის მაისში ხელი მოეწერა კასეტური ბომბების ამკრძალავ საერთაშორისო კონვენციას, თუმცა იგი ჯერ არ შესულა

ძალაში. კასეტური იარაღის შესახებ კონვენციის 1(1) მუხლის თანახმად, "ყოველი მხარე კისრულობს ვალდებულებას, არანაირ სიტუაციაში (ა) არ გამოიყენოს კასეტური იარაღი; (ბ) შექმნას, აწარმოოს, შეიძინოს, მოაგროვოს, შეინახოს ან გადასცეს სხვას ასეთი ტიპის იარაღი, უშუალოდ ან შუამავლის გამოყენებით; (გ) ხელი შეუწყოს, წაახალისოს და ჩააბას ვინმე ისეთი ტიპის ნებისმიერ საქმიანობაში, რომელიც მოცემული კონვენციის საფუძველზე აკრძალულია სახელმწიფო მხარისათვის".

აღსანიშნავია, რომ რუსეთი უკვე არის ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ კონვენციის მონაწილე მხარე და ამ კონვენციის 2006 წელს ძალაში შესული V პროტოკოლის "ომის ფეთქებადი ნარჩენების შესახებ" - მონაწილე. აღნიშნული პროტოკოლის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აკონტროლებენ ტერიტორიას ფეთქებადსაშიში ნარჩენებით, პასუხისმგებლები არიან ასეთი ტიპის ნარჩენების გაუვნებელყოფაზე. პროტოკოლი ვრცელდება ისეთ იარაღზე, როგორიცაა საარტილერიო ჭურვები, ყუმბარები და კასეტური ბომბის შემადგენელი ბომბები, რომლებიც დანიშნულებისამებრ არ ფეთქდება, აგრეთვე ნებისმიერი გამოუყენებელი ფეთქებადი საშუალება, რომელიც რჩება შეიარაღებული ძალების კონტროლის მიღმა.

2.7 იძულებითი გადაადგილება

მეომარ მხარეებს ეკრძალებათ მოქალაქეების იძულებითი გადაადგილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული განპირობებულია სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოებით ან ძალზე მნიშვნელოვანი სამხედრო მიზნებით. კონფლიქტის მხარეები ვალდებულები არიან მიიღონ ზომები, რომ მათ მიერ აკრძალული ქმედებების განხორციელების გამო მოსახლეობას არ მოუხდეს იძულებითი გადაადგილება. რომის წესდების მე-7 მუხლის თანახმად, გადაადგილების იძულება არის დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

იძულებითი გადაადგილება ხდება მაშინ, როდესაც მოქალაქეები იძულებულნი არიან დატოვონ საცხოვრებელი ადგილები, რადგან კონფლიქტის მონაწილეები მათ ამყოფებენ ტერორში და სჩადიან სხვა სახის დარღვევებს, ან თუ ისინი განიცდიან ფიზიკურ ზეწოლას/დევნას. აღნიშნულ სიტუაციას არეგულირებს იძულებითი გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები,[28] რომლებიც აღიარებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, როგორც მნიშვნელოვანი საერთაშორისო ნორმები იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისათვის.[29] მე-5-ე პრინციპის თანახმად: "ყველა ხელისუფლება თუ საერთაშორისო აქტორი ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას მათთვის საერთაშორისო საზოგადოების მიერ დაკისრებული ვალდებულებები, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების ჩათვლით, ნებისმიერ სიტუაციაში, ისე, რომ უზრუნველყოს პირთა იძულებითი გადაადგილების გამომწვევი პირობების პრევენცია."

ზემოთ აღნიშნულის გარდა, 28-ე და 29-ე პრინციპებში ჩამოყალიბებულია ძირითადი დებულებები იძულებით გადაადგილებულ

პირთა მშობლიურ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების შესახებ.[30] პირველ რიგში, სახელმწიფოები ვალდებულები არიან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის უზრუნველყონ სამი საკითხის მოგვარება: მშობლიურ სახლებში დაბრუნება, ადგილზე ინტეგრაცია, და ქვეყნის სხვა ნაწილში დასახლება; მეორე რიგში, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, სხვა ნებისმიერი მოქალაქის მსგავსად, თავისუფალი მოძრაობის და საცხოვრებელი ადგილის საკუთარი სურვილისამებრ შერჩევის უფლება. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მოცემულ ვარიანტებს შორის გააკეთონ თავისუფალი არჩევანი, ხოლო კომპეტენტური ორგანოები ვალდებულნი არიან იძულებით გადაადგილებულ პირებს შეუქმნან ნებისმიერ ადგილას ხელახალი ცხოვრების დაწყებისთვის საჭირო პირობები და უზრუნველყონ ასეთი პირების, მათივე დაბრუნების, განსახლების და რეინტეგრაციის პროცესებში სრული მონაწილეობა. გარდა ამისა, გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ უნდა იყოს ნებაყოფლობითი, და არა იძულებითი, არჩევანი უნდა გაკეთდეს სრული ინფორმირების საფუძველზე, და დაბრუნების პროცესი უნდა განხორციელდეს უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში, რაც საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებულებს გარანტიას მისცემს, იცხოვრონ უსაფრთხო გარემოში, ხოლო ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური პირობები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ღირსების დამაკმაყოფილებელ მოთხოვნებს. იძულებით გადაადგილებული და უკან დაბრუნებული პირები დაცულნი უნდა იყვნენ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან, და საკუთრების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში სარგებლობდნენ საკუთრების აღდგენისა და ქონების კომპენსაციის უფლებით.

2.8 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი

საქართველო და რუსეთი არიან ადამიანის უფლებების შესახებ დადებული რიგი მსოფლიო ხელშეკრულებების მონაწილე მხარეები. მათ შორისაა საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR), საერთაშორისო კონვენცია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ICESCR), კონვენცია წამების, და სხვა ნებისმიერი სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ და საერთაშორისო კონვენცია ნებისმიერი ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. საქართველო და რუსეთი ასევე არიან ადამიანის უფლებების რიგი საერთაშორისო ინსტრუმენტების მონაწილე მხარეები, მათ შორისაა კონვენცია ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების შესახებ (ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ, ECHR). აღნიშნული საყოველთაო და რეგიონული ხელშეკრულებები, ისევე, როგორც შესაბამისი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი ორივე მხარეს აკისრებს სამართლებრივ ვალდებულებას, მიიღონ ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატივისცემისთვის საჭირო ზომები.

გაეროს საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანახმად, ადამიანის უფლებების სამართალი გამოიყენება, როგორც შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ისე მშვიდობიან პირობებში. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადასტურა

მოცემული პრინციპი და ICCPR-ში (საერთაშორისო კონვენცია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ) განსაზღვრულ უფლებებს დაუმატა დებულება:

"კონვენციით გათვალისწინებული უფლებების ინტერპრეტაციისთვის შესაძლოა უფრო კონკრეტულად შესაფერისი აღმოჩნდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კონკრეტული ნორმები. ასეთ შემთხვევებში ორივე ფორმის სამართალი ერთმანეთის შემვსებია და არა ურთიერთგამომრიცხავი."[31]

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ნათლად ჩამოაყალიბა, რომ ICCPR-ით (საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ) სახელმწიფოებისთვის დაკისრებული ვალდებულებები ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ნებისმიერ პიროვნებასთან მიმართებაში, რომელიც იმყოფება სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის და ძალაუფლების ქვეშ, არის ექსტრატერიტორიალური მნიშვნელობის,[32] ხოლო ICESCR-ი (საერთაშორისო კონვენცია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ) ტერიტორიულ იურისდიქციასთან მიმართებაში არ ითვალისწინებს აშკარა შეზღუდვებს.

ამ ანგარიშში წარმოდგენილია ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული წუხილები, მათ შორის, სიცოცხლის უფლების დარღვევა, (ICCPR-ის მე-6 მუხლი და ECHR-is მე-2 მუხლი), აგრეთვე დარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია წამების და სხვა არაადამიანური მოპყრობის აკრძალვასთან (ICCPR-ის მე-7 მუხლი და ECHR-ის მე-3 მუხლი), თვითნებური დაკავების და იძულებითი გაუჩინარების აკრძალვასთან (ICCPR-ის მე-9 მუხლი და ECHR-ის მე-5 მუხლი), სათანადო საკვების და საცხოვრებელი ადგილის ქონის უფლების დარღვევა (ICESCR-ის მე-11 მუხლი) და განათლების მიღების უფლების დარღვევა (ICESCR-ის მე-13 მუხლი). სახელმწიფომ შესაძლოა პასუხი აგოს ისეთ ქმედებებზე, რომელთა განხორციელებამ შეიძლება მოშალოს ან გაანადგუროს ინფრასტრუქტურა, რომელიც მოცემულ ტერიტორიაზე აღნიშნული უფლებებით სარგებლობისთვის არის საჭირო, და ზიანი მოუტანოს ეფექტური სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებს და ობიექტებს, საავადმყოფოებისა და სკოლების ჩათვლით. ქართული თუ რუსული შეიარაღებული ძალების მიერ ასობით საცხოვრებელი სახლის განადგურებამ, რასაც თან სდევდა მაროდიორობის მრავალი ფაქტი, განაპირობა ადამიანთა უკანონო და იძულებითი განდევნა, რაც არღვევს ICESCR-ის მე-11 მუხლს. ეკონომიკის, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის განმარტებით, "იძულებითი განდევნა" არის:

"ინდივიდუალური პირების, ოჯახების და/ან თემების მუდმივი ან დროებითი განდევნა მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლებიდან და/ან მიწებიდან, მათი ნების წინააღმდეგ, სათანადო სამართლებრივი და სხვა სახის დაცვის უფლებით სარგებლობის გარეშე."[33]

კომიტეტი ამ სახის განდევნაში მოიაზრებს იმ შემთხვევებსაც, რომლებიც განპირობებულია "საერთაშორისო შეიარაღებული

კონფლიქტების, შიდა დაპირისპირების და კომუნალური ან ეთნიკური ძალადობის" შედეგად.[34]

2.9 საერთაშორისო სისხლის სამართალი

ჟენევის კონვენციების და I პროტოკოლის უხეში დარღვევა, ასევე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სხვა სერიოზული სახის დარღვევები მოისაზრება სამხედრო დანაშაულებად. ICC-ის რომის წესდების მე-8 მუხლის სამხედრო დანაშაულთა სია წესდების მიღების დროს ძირითადად დაეფუძნა საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს, თუმცა ეს სია არ არის სრული და მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამხედრო დანაშაულები არ არის მასში დაფიქსირებული. I პროტოკოლის 86-ე მუხლის თანახმად, "კონფლიქტის მხარეები ვალდებულნი არიან აღმოფხვრან უხეში სამართალდარღვევები და მიიღონ საჭირო ზომები კონვენციის ან აღნიშნული პროტოკოლის (ჟენევა, 1949 წ.) სხვა სახის დარღვევების აღსაკვეთად, რაც შეიძლება განაპირობოს ვალდებულების შეუსრულებლობამ".

ასეთი დარღვევებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ სამოქალაქო ან სამხედრო პირებს. მეთაურებმა და სხვა ზემდგომმა პირებმა შესაძლოა პასუხი აგონ მათდამი დაქვემდებარებული პირების ქმედებებზე. I პროტოკოლის 86(2) მუხლი, რომელიც აწესებს ერთ საერთო სტანდარტს სამხედრო მეთაურებისა და სამოქალაქო ზემდგომი პირებისთვის, ეფუძნება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს. აღნიშნულის თანახმად:

"ის ფაქტი, რომ კონვენციები ან მოცემული პროტოკოლი დაირღვა დაქვემდებარებული პირის მიერ, არ ათავისუფლებს მის ხელმძღვანელებს სისხლის სამართლის ან დისციპლინარული პასუხისმგებლობისგან, თუკი, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ისინი ფლობდნენ სათანადო ინფორმაციას იმის შესახებ, რომ დაქვემდებარებული პირი აპირებდა ან ახორციელებდა სამართალდარღვევას და მათ არ მიიღეს ყველა საჭირო ზომა აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად ან აღსაკვეთად."

ზემდგომი პირების მიერ გაცემული ბრძანებები არ შეიძლება გახდეს საფუძველი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის მოსახსნელად, თუმცა შესაძლებელია მათი მხედველობაში მიღება სასჯელის შემსუბუქების მიზნით. აღნიშნული პრინციპი აღიარებულია II მსოფლიო ომის შემდგომ ნიურნბერგის სასამართლო საქმეების დაწყებიდან, და ამჟამად წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილს.

არსებობს რამდენიმე მექანიზი, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ჩადენილი დანაშაულების შესახებ სინამდვილის დასადგენად და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დამრღვევების მართლმსაჯულების წინაშე წარსადგენად, ისეთი პროცედურების გამოყენებით, რომლებიც ეთანხმება სამართლიანობის პრინციპების საერთაშორისო სტანდარტებს და არ სრულდება ბრალდებულის სიკვდილით დასჯით. სახელმწიფო აგრეთვე ვალდებულია უზრუნველყოს

დაზარალებულთა და მათი ოჯახების უფლება მოითხოვონ და მიიღონ სრული რეპარაცია:

ა. საქართველოს, რუსეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში: კონფლიქტის ყველა მხარე ვალდებულია მართლმსაჯულებას წარუდგინოს პირი, რომელიც ეჭვმიტანილია, საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზულ დარღვევაში.

ბ. სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში: სხვა სახელმწიფოები არ არიან ვალდებულნი ჩაატარონ სისხლის სამართლის გამოძიება იმ პირთან მიმართებაში, რომელიც ეჭვმიტანილია კონფლიქტის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ან სხვა საერთაშორისო სამართლის დარღვევაში. საკმარისი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, ასეთი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ეჭვმიტანილი წარუდგინონ მართლმსაჯულებას ან უზრუნველყონ მისი ექსტრადირება სხვა ქვეყანაში, რომელიც გამოთქვამს სურვილს და ქმედუნარიანია განახორციელოს აღნიშნული სასამართლო პროცესი, სიკვდილით დასჯის განაჩენის გარეშე ან გადასცეს იგი შესაბამისი იურისდიქციის მქონე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. ჟენევის კონვენციების და I პროტოკოლის ნორმების უხეშ დარღვევებზე პასუხისგებისთვის საყოველთაო იურისდიქციის გამოყენებასთან ერთად, სახელმწიფოები ვალდებულები არიან, მიმართონ საყოველთაო იურისდიქციას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა სერიოზული დარღვევებისთვის. საკმარისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ეჭვმიტანილები წარუდგინონ მართლმსაჯულებას ან უზრუნველყონ მათი ექსტრადირება სხვა ქვეყანაში, რომელიც გამოთქვამს სურვილს და ქმედუნარიანია განახორციელოს აღნიშნული სასამართლო საქმე ან გადასცეს ისინი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს.

გ. ICC–სთან მიმართებაში: 2003 წლის 5 სექტემბერს საქართველომ მოახდინა რომის წესდების რატიფიცირება. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მე-12 მუხლის თანახმად, სამხედრო დანაშაულებრივი ქმედებები ან კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საქართველოს ტერიტორიაზე, იმის მიუხედავად, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა დანაშაულის ჩამდენი პირი, ექვემდებარება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას. რუსეთმა ხელი მოაწერა რომის წესდებას 2000 წლის 13 სექტემბერს; მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ჯერ არ მოუხდენია მისი რატიფიცირება, ის ვალდებულია არ დაარღვიოს წესდება სამხედრო დანაშაულებრივი ქმედებისა და კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩადენით.

2.9.1 სარდლობის პასუხისმგებლობა

სარდლებმა და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა (სამოქალაქო ლიდერების ჩათვლით) შესაძლოა პასუხი აგონ მათი ქვეშევრდომების ქმედებებზე, თუკი მათ იცოდნენ, ან ჰქონდათ მიზეზი სცოდნოდათ, რომ მათი ქვეშევრდომები ახორციელებდნენ, ან აპირებდნენ განეხორციელებინათ კანონის დარღვევა, და თუ მათ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ, ან აღეკვეთათ ასეთი კანონდარღვევა და ეს ვერ შეძლეს. I პროტოკოლის 86(2) მუხლის შესაბამისად:

> *"ის ფაქტი, რომ კონვენციები ან მოცემული პროტოკოლი დაირღვა დაქვემდებარებული პირის მიერ, არ ათავისუფლებს მის ხელმძღვანელებს სისხლის სამართლის ან დისციპლინარული პასუხისმგებლობისგან, თუკი, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ისინი ფლობდნენ სათანადო ინფორმაციას იმის შესახებ, რომ დაქვემდებარებული პირი აპირებდა ან ახორციელებდა სამართალდარღვევას და მათ არ მიიღეს ყველა საჭირო ზომა აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად ან აღსაკვეთად."*

87-ე მუხლი აკონკრეტებს სარდლობის პასუხისმგებლობას "მათი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი სამხედრო მოსამსახურეების და მათი კონტროლის ქვეშ მყოფი სხვა პიროვნებების მიმართ, რომ თავიდან აიცილონ და საჭიროებისამებრ აღკვეთონ და მოახსენონ კომპეტენტურ ხელმძღვანელ პირებს მოცემული პროტოკოლის კონვენციების დარღვევების შესახებ". სარდლობის პასუხისმგებლობა ასევე ასახულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) რომის წესდებაში (რომის წესდება, მუხლი 28).

ICRC-ის (წითელის ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი) მიერ ჩატარებული ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კვლევის დასკვნაში მითითებულია, რომ სარდლობის პასუხისმგებლობის პრინციპი ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმაა, რომელიც უნდა გამოიყენებოდეს როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტების შემთხვევაში (წესები 152 და 153).

2.10 დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ

ომის დანაშაულებთან და გენოციდთან ერთად, ICC-ის იურისდიქციაში შედის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები. რომის წესდების მიხედვით, ზოგიერთი ქმედება, რომელიც წარმოადგენს ფართომასშტაბიანი, ან სისტემატური შეტევის, ან სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკის ნაწილს, მიმართულია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, შეიძლება ჩაითვალოს კაცობრიობის წინაშე დანაშაულად. ასეთ ქმედებებად ითვლება მკვლელობა, განადგურება, დამონება, დეპორტაცია, ან მოსახლეობის იძულებით გადაადგილება, დაპატიმრება, ან ფიზიკური თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური წესების დარღვევით, წამება, გაუპატიურება და სხვა სექსუალური დანაშაულები და იძულებითი გაუჩინარება. კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული შეიძლება იყოს ჩადენილი როგორც მშვიდობიან დროს, ისე შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

2.11 რეპარაციები და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესები საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში "საერთაშორისო სამართალდარღვევის ქმედებებისათვის" შესულია საერთაშორისო საკანონმდებლო კომისიის 2001 წლის საერთაშორისო სამართალდარღვევის ქმედებებისათვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის მუხლებში. ამ მუხლებს, რომლებიც განმარტავს კანონმდებლობას სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რეკომენდაცია გაუწია სახელმწიფოების წინაშე 2002 წელს.[35] მუხლში 31 ნათქვამია:

> *"პასუხისმგებელი სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს საერთაშორისო სამართალდარღვევის აქტის შედეგად მიყენებული ზარალის სრული რეპარაცია. ზარალში შედის ყველანაირი ზიანი, მატერიალურის და მორალურის ჩათვლით, რომელიც მიყენებული იქნა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართალდარღვევის აქტის განხორციელების შედეგად."*

საერთაშორისო სამართალდარღვევის აქტში იგულისხმება სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ჩვეულებითი და სახელშეკრულებო სამართლით აღებული ვალდებულებების დარღვევა.

ინდივიდუალურად დაზარალებულთა რეპარაციის უფლება მკაფიოდ არის განსაზღვრული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალშიც, როგორც ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო და რეგიონულ შეთანხმებებშია გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის უფლების საკვანძო ელემენტი.[36] ICRC-ის მერ საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართლის[37] კვლევის შედეგებში წარმოდგენილი წესის 150 თანახმად, "სახელმწიფო, რომელიც დაარღვევს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს, ვალდებულია მოახდინოს მიყენებული ზარალის, ან ზიანის სრული რეპარაცია". გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2005 წელს (2005 წლის 15 დეკემბერი, რეზოლუცია 60/147) მიღებული ძირითადი ნორმები და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც განკუთვნილია იმ პირთა დაცვისა და რეპარაციისთვის, რომლებიც გახდნენ ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების უხეში და სერიოზული დარღვევების მსხვერპლნი, ადგენს სახელმწიფოებრივ ვალდებულებებს, აღნიშნული პირებისთვის უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კომპენსაცია ან სხვა სახის რეპარაცია. მოცემულ ინსტრუმენტებში ჩამოყალიბებულია რეპარაციის სათანადო ფორმა, 19-23 პრინციპების ჩათვლით, რესტიტუცია, კომპენსაცია, რეაბილიტაცია, დაკმაყოფილება და იმის გარანტია, რომ აღარ განმეორდება ის სამართალდარღვევები, რომლებიც მათ გამოსცადეს საკუთარ თავზე.

2.12 შეიარაღებული დაჯგუფებები და რეპარაციები

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის კანონის მიხედვით, შეიარაღებულ ჯგუფს შეიძლება მოეთხოვოს რეპარაციის უზრუნველყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გახდება სახელმწიფოს ახალი მთავრობა, ან დაარსებს ახალ სახელმწიფოს ადრე არსებული სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნით, ან მისი ადმინისტრაციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი ძირითადად აქცენტებს აკეთებს სახელმწიფოებრივ ვალდებულებებზე და აღნიშნულის გამო არ ითვალისწინებს სამართალვალდებულებების შეიარაღებული დაჯგუფებებისთვის დაკისრებას, იმ ვალდებულების გარდა, რომლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს შეიარაღებული დაჯგუფების წარმომადგენლთა მხრიდან სამართალდარღვევების პრევენცია. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება პასუხისმგებელია მის მიერ კონტროლირებადი სამხედრო დაჯგუფებების ქმედებებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ ხანძრის გაჩენასა და მაროდიორობაში და თავს ესხმოდნენ სამოქალაქო მოსახლეობას საკუთრების წართმევის მიზნით; რუსეთიც, როგორც ოკუპანტი ძალა, რომელიც პასუხისმგებელი იყო მისი კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, პასუხისმგებელია აღნიშნულ ქმედებებზე.

3. samxedro moqmedebebis warmoebis formebi

კონფლიქტი გრძელდებოდა ხუთი დღე, დაწყებული ცხინვალზე საქართველოს შეტევიდან და დამთავრებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით, თუ არ ჩავთვლით აფხაზეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე დაფიქსირებულ ცალკეულ შემთხვევებს მაქსიმუმ 30 კმ სიგანის და 60 კმ სიგრძის ზონაში.

კონფლიქტის ზონაში და მის გარშემო ტერიტორიებზე განხორციელებული მისიების შედეგად, Amnesty International-ის წარმომადგენლებმა შეძლეს მოეპოვებინათ ინფორმაცია, რომელიც სერიოზული მტკიცებულებაა იმისა, რომ ადგილი ჰქონდა კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარის მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას. Amnesty International-ი განსაკუთრებით შეშფოთებულია აშკარა განურჩეველი თავდასხმებით, რამაც შედეგად მოიტანა ისეთი სამოქალაქო ობიექტების განადგურება, როგორიცაა სკოლები, საავადმყოფოები და საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე რამოდენიმე ინციდენტის გამო, როდესაც სავარაუდოდ ხდებოდა სამოქალაქო პირებზე პირდაპირი თავდასხმა.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია Amnesty International-ის მიერ მოპოვებული მასალა. ინფორმაცია ეფუძნება Amnesty International-ის წამომადგენლების მიერ ფიზიკურად განადგურებულ ობიექტებზე წარმოებულ უშუალო დაკვირვებას, ქ. ცხინვალში, ქ. გორში და მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგებულ ზოგიერთ ქართულ და ოსურ სოფლებში, აგრეთვე ინტერვიუებს, რომლებიც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ჩაატარეს კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ სამოქალაქო პირებთან.

ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელდა მცდელობა, შეგროვებულიყო მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია თვითმხილველების მიერ ნანახი ნგრევების, ან მათ მიერ აღწერილი მოვლენების გამომწვევი მიზეზების შესახებ, განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ ცნობილი გამხდარიყო შეტევის დაწყების ზუსტი დრო, ადგილი და წყარო, გამოყენებული შეიარაღების და საბრძოლო მასალის ტიპები, და კომბატანტების, ან სხვა სამხედრო ობიექტების ახლომახლო არსებობის ფაქტები. თუმცა, მატერიალური დაზიანების და თვითმხილველთა მონაყოლის მიხედვით საკმაოდ რთულია მოვლენების ზუსტი აღდგენა, რადგან ეს პროცესი მიმდინარეობდა მომხდარიდან უკვე რამდენიმე დღის შემდეგ. მატერიალური ზიანი მიანიშნებს მხოლოდ შეტევის შედეგზე და არა მის მიზეზზე ან შემტევი ძალის გადაადგილებაზე, მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე, ან მიზანზე. თვითმხილველთა მონაყოლი ქმნის მხოლოდ ნაწილობრივ და, ზოგიერთ შემთხვევაში, დამაბნეველ სურათს იმისთვის, რომ შეფასდეს კონკრეტული შეტევის კანონიერება.

ყოველივე ამის გამო, არსებობს გადუდებელი საჭიროება იმისა, რომ გაგრძელდეს გამოძიება და ყველა მონაწილე მხარემ გაამჟღავნოს ინფორმაცია დაგეგმილი სამიზნეების, საშუალებების და მეთოდების შესახებ, რომლებიც გამოყენებული იყო კონკრეტული შეტევების დროს და რომელთა განხორციელებამაც გავლენა იქონია მშვიდობიან მოსახლეობაზე. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი გაკეთდეს ზუსტი დასკვნები იმ მხარეების პასუხისმგებლობის სახის და ხარისხის შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ, ან ხელმძღვანელობდნენ სამხედრო ოპერაციებს. ასევე საჭიროა ინფორმაცია დაცვითი ღონისძიებების შესახებ, ანუ იმის შესახებ, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად საომარი მოქმედებების შედეგებისაგან.

3.1 ქართული შეიარაღებული ძალების თავდასხმები

3.1.1 დაბომბვა და სარაკეტო თავდასხმები ქართული მხრიდან

ქართული ჯარი სამხრეთ ოსეთში შევიდა 7 აგვისტოს, დაახლოებით საღამოს 11 საათზე, სამი ძირითადი მიმართულებიდან. ქართული ჯარის ნაწილი დაიძრა პირდაპირ ცხინვალისკენ მთავარი გზით გორიდან. ქართული შენაერთები ასევე შეეცადნენ სამხრეთ ოსეთში შესვლას და ცხინვალის ორივე მხარეს სიმაღლეების დაკავებას ცხინვალის დასავლეთით მუგუთის, დიდმუხას და ხეთაგუროვოს გავლით და ცხინვალის აღმოსავლეთით დმენისის და სარაბუქის გავლით. ამ სოფლებში და თვითონ ცხინვალში ქართული ქვეითი ჯარის შესვლას წინ უძღოდა რამდენიმე-საათიანი საარტილერიო და სარაკეტო შეტევა და, გარკვეული ხარისხით, საჰაერო დაბომბვა. ცხინვალში უმეტესი ნგრევა გამოიწვია გრადლარ–ის (GRADLAR MLRS - GRAD) რაკეტებმა, რომელთა ზუსტი დამიზნებაც, როგორც ცნობილია, საკმაოდ ძნელია. თვითმხილველთა მონაყოლი, საბრძოლო მასალის ტიპი და განფენილი დაზიანების ფაქტები მჭიდროდ დასახლებულ სამოქალაქო არეალებში აშკარად ამტკიცებს, რომ ქართულმა საჯარისო ნაწილებმა განახორციელეს განურჩეველი შეტევები ცხინვალზე იერიშის დროს 7 აგვისტოს ღამით, რამაც გამოიწვია სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაში მსხვერპლი და სამოქალაქო ობიექტების სერიოზული ნგრევა.

23 აგვისტოს ინტერვიუში ვლადიკავკაზში ოსი ეროვნების ქალბატონმა "ანამ"[38], გაუზიარა Amnesty International-ს, თუ რა გადახდა თავს:

მე და სხვა მშვიდობიანი მოქალაქეები, ჩემი მეზობლები, ვიმალებოდით ძველი, ორ-სართულიანი შენობის სარდაფში. ჩემი სახლი ამ შენობიდან მხოლოდ რამოდენიმე მეტრით იყო დაშორებული, მაგრამ ჩემი სარდაფი ძალიან სუსტი და პრიმიტიული იყო დაბომბვისგან თავის შესაფარებლად. დაბომბვა დაიწყო 7 აგვისტოს, გვიან საღამოს - დაბომბვა, ტანკები, თვითმფრინავები. ჩემს ოჯახს (ორი, 12 და 14 წლის შვილი მყავს) ეძინა, როდესაც დაბომბვა დაიწყო; ჩვენ წამოვხტით საწოლებიდან ღამის ტანსაცმელში და თავი შევაფარეთ ახლოს მდგომ იმ დიდ შენობის სარდაფს. ის ღამე სარდაფში გავატარეთ სინათლისა და წყლის გარეშე.

ბავშვები წყალს თხოულობდნენ და სარდაფში მყოფმა ერთ-ერთერთმა მოქალაქემ, დაახლოებით 50 წლის კაცმა ვასილი ბაზაევმა გადაწყვიტა წყალი მოეტანა. მან მოიტანა ერთი ბოთლი წყალი, მაგრამ როდესაც სარდაფში ჩამოდიოდა, ის მოკლეს როდესაც ბავშვებმა ისევ მოითხოვეს წყალი, მე ვიფიქრე, რომ ვედარ გავაგზავნიდი სხვას სიკვდილზე და გადავწყვიტე წავსულიყავი მე თვითონ. სარდაფში მყოფმა ერთ-ერთმა ქალბატონმა მითხრა, რომ სახლში პური და ნამცხვარი ჰქონდა და მთხოვა საჭმელი მომეტანა. მე ამოვედი სარდაფიდან დაახლოებით მეორე დილის 10 საათზე და დავინახე ჩემი სახლი (ტელმანის ქუჩაზე) რომელიც დამწვარი იყო - მხოლოდ კედლებიღა იყო დარჩენილი.

გარშემო მდებარე ოსური სოფლებიდან განსაკუთრებულად დაზიანდა ხეთაგუროვო. სოფლის გამგებლის განცხადებით, შეტევის შედეგად დაიღუპა ექვსი მოქალაქე და ფიზიკური დაზიანები მიიღო ბევრად მეტმა ადამიანმა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა განუცხადეს Amnesty International-ს, რომ ხეთაგუროვოში მძიმე ნგრევების მიზეზი გახდა სოფელში და მის გარშემო სამხედრო აღჭურვილობის და ცოცხალი ძალის სერიოზული კონცენტრაცია.[39] სოფელ ხეთაგუროვოს ახალგაზრდა მკვიდრმა გიორგი მამიევმა მოუყვა Amnesty International-ს, თუ როგორ დაიღუპა სოფლის დაბომბვის დროს მამამისი:

მათ სოფელს ცეცხლი გაუხსნეს 7 აგვისტოს. თავდაპირველად ესროდნენ სოფლის ბოლოს და შემდგომ შეუტიეს მის ცენტრსაც. არავის ეგონა თუ ისინი სოფლის ცენტრსაც ესროდნენ. მამაჩემი ჩვენზე ნერვიულობდა და გარეთ გამოვიდა. ის გამოვიდა მხოლოდ იმისთვის, რომ ენახა, რა ხდებოდა. მის შორიახლოს ორი ბომბი დაეცა და ბომბის ნამსხვრევებმა ის მოკლა. ჩვენ იქ დავრჩით კიდევ ორი დღე, რათა დაგვესაფლავებინა. სროლა გრძელდებოდა. 8-ში ქართველები შემოვიდნენ ტანკებით. მეორე ღამეს დაბომბვა განსაკუთრებით სასტიკი იყო "გრად"-ებით და არტილერიით. ორი ჭურვი ჩვენს სახლს დაეცა, როდესაც ჩვენ პირველ სართულზე ვიყავით.

© Amnesty International- ჭურვის ნარჩენები, რომელიც მოხვდა სახლს ტელმანის ქუჩაზე, ცხინვალი, სამხრეთ ოსეთი

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ოსებით დასახლებული სხვა სოფლები, რომლებიც ქართული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა 8 აგვისტოს შემდეგ, სერიოზულად არ დაზიანებულა. ასევე არ ჰქონია ადგილი მაროდიორობას და ცეცხლის გაჩენას. ის, რომ სხვა ოსურ სოფლებში მხოლოდ მცირე ნგრევას ჰქონდა ადგილი, ასევე დასტურდება სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების და მოსახლეობის მიერ Amnesty International-ისთვის მიწოდებული ინფორმაციით. ხეთაგუროვის მკვიდრმა "სოსლანმა" განუცხადა Amnesty International-ს:

ყველაფერი დამე დაიწყო. დილით მე ქართველი ჯარისკაცები დავინახე სოფელში. ისინი არ შესულან სახლებში და ხელი არ უხლიათ არაფრისთვის. მე მათთან მივედი და მათ მკითხეს, სხვა ვინ იყო სახლში ჩემს გარდა. შემდეგ ისინი შევიდნენ სახლში და ისევ გამოვიდნენ. ისინი დაბრუნდნენ ნახევარ საათში და მე დამაკავეს, მაგრამ ისევ გამიშვეს, რადგან ალბათ მიიღეს ბრძანება, წასულიყვნენ ისინი არ შეხებიან ჩემს მშობლებს. შეიძლება ისინი ჩემს შვილს ეძებდნენ, რომელიც სამხედროა.

ცხინვალის დაბომბვა დაიწყო დაახლოებით საღამოს 11 საათსა და 30 წუთზე და რამოდენიმე საათი გაგრძელდა. Amnesty International-ის მიერ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაციით, ქართული არტილერიის ცეცხლი მიმართული იყო სამ ძირითად მიზანზე:

- ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე ქართველ მშვიდობისმყოფელებსა და ქართული კონტროლის ქვეშ მყოფ

სოფლებზე განხორციელებული საარტილერიო შეტევების წარმოშობის წერტილები;
- უშიშროების ინფორმაციაზე დაყრდნობით წინასწარ განსაზღვრული სამხედრო სამიზნეები;
- ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდგომ განხორციელებული საარტილერიო შეტევების წარმოშობის წერტილები.

ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა ცხინვალსა და მის გარშემო მდებარე სოფლებზე შეტევის დროს, რომელთა შორის იყო 122 მმ-იანი ჰაუბიცები, 203 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო სისტემა DANA, ტანკები და GRAD-ის რაკეტები. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა განუცხადეს Amnesty International-ს, რომ GRAD-ის რაკეტები გამოყენებული იყო ხეთაგუროვოსა და ცხინვალში სამ წერტილზე იერიშის დროს.

ერთ-ერთი ასეთი წერტილი ცხინვალში იყო ქალაქის სამხრეთ კიდეზე მდებარე "ვერხნი გარადოკი" სადაც ბაზირებული იყვნენ რუსი მშვიდობისმყოფელები, და საიდანაც საქართველოს ხელისუფლების ვარაუდით, ხდებოდა საარტილერიო ცეცლის გახსნა რუსი მშვიდობისმყოფელების მრავალი გაფრთხილების მიუხედავად, რომ მათი პოზიციები არ ყოფილიყო გამოყენებული შეტევების განსახორციელებლად. რუსული მხარის განცხადებით, ამ შეტევის და ცხინვალის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მეორე ბაზაზე იერიშის შედეგად დაიღუპა 10 და დაიჭრა 30 რუსი მშვიდობისმყოფელი.

ქართულმა მხარემ ასევე აღიარა GRAD-ის რაკეტების გამოყენება სამხედრო საწყობების და საწვავის დეპოებზე შეტევისას ქალაქის დასავლეთ ნაწილში და სამხედრო ბარაკებზე იერიშისას ჩრდილო-დასავლეთით. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერიტორიები ცხინვალის პერიფერიებზე იმყოფება, ისინი მაინც ესაზღვრება მჭიდროდ დასახლებულ სამოქალაქო დასახლებებს. ბევრი რაკეტა, რომელიც აცდა მიზანს, დაეცა სამოქალაქო დასახლებებს და სერიოზულად დააზიანა საკუთარი სახლები და გამოიწვია მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. Amnesty International-ის წარმომადგენლებმა ნახეს სამოქალაქო საკუთრების სერიოზული დაზიანება ამ წერტილებიდან 100-150 მეტრის რადიუსში, განსაკუთრებით კი ქალაქის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში. აშკარაა, რომ GRAD-ის გამოყენება მოცემული წერტილების დასაბომბად შეუფერებელი იყო.

Amnesty International-ის წარმომადგენლებმა ასევე იხილეს 7 აგვისტოს ღამით GRAD-ის რაკეტებით მიყენებული ნგრევები ამ წერტილებიდან მინიმუმ ნახევარი კილომეტრის დაშორებით. ტელმანის ქუჩა, რომელიც მდებარეობს ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, განსაკუთრებით სასტიკად იყო დაბომბილი. თითქმის სრულად დანგრეულია 50 მეტრზე გაშლილი 10 სახლი. სხვა ქუჩები, რომლებიც დაიბომბა საარტილერიო ცეცხლით, მათ შორის GRAD-ის რაკეტებით, არის ლენინის ქუჩა, გამარჯვების ქუჩა, გმირთა ქუჩა, კალინინის ქუჩა და კომაროვის ქუჩა.

ცხინვალში კაზბეკ ჯიოევმა ანახა Amnesty International-ს მისი სრულიად დანგრეული სახლი, რომელიც მდებარეობს ქალაქის სამხრეთში განლაგებულ საცხოვრებელ უბანში. მან ასევე აჩვენა Amnesty International-ს GRAD-ის ტიპის ოთხი რაკეტის ნარჩენები, რომლებიც, მისი თქმით, მის სახლს მოხვდა 7 აგვისტოს დამეს:

ჩვენ ვუსმენდით სააკაშვილს, რომელიც ამბობდა, რომ მზად არის ყველანაირი მოლაპარაკებებისთვის. თავს მშვიდად ვგრძნობდით ჩაის ვსვამდი, როდესაც უცბათ სროლის ხმა გავიგე, შემდეგ ტანკების და არტილერიის... ჩვენი ყველანი ქვევით ჩავედით. ორი საათის შემდეგ აფეთქებების ხმა გავიგე, სახლი შეზანზარდა, სახურავი აფეთქდა და ეს ოთხი GRAD-ის ჭურვი ჩვენ სახლს დაეცა. ტახტს და სხვა ავეჯს ცეცხლი მოეკიდა. ჩვენ გავიგონეთ თვითმფრინავის ხმა, რომელმაც ჩვენ დაგვიმიზნა და გაგვიხსნა ავტომატური იარაღის ჯერი.

მე და ჩემი ძმა ისევ ქვემოთ დავიმალეთ. ცოტა ხანში კიდევ ერთი GRAD-ი ჩამოვარდა და ნახევარი სახლი გაანადგურა. მე შოკში ვიყავი. ქართველები ამტკიცებენ, რომ ისინი რუსი ჯარისკაცების პოზიციებს უტევდნენ. ეს ტყუილია. აქ არც ერთი ჯარისკაცი არ იყო. ისინი მშვიდობიან მოსახლეობას ესროდნენ. აქ არაფერი სამხედრო დანიშნულების არ ყოფილა. აქ ვიყავით მე, ჩემი ძმა და დედაჩემი მე ახლა სახლი აღარ მაქვს. ახლა კარგი ამინდია და შემიძლია ბაღში დავიძინო, მაგრამ არ ვიცი რა ვქნა, როცა გაწვიმდება. მე არავინ მეხმარება. მე ვერასოდეს აღვადგენ ამ სახლს, რადგან ფული არ მაქვს.

10 აგვისტოს ცხინვალის სატელიტური გადაღებების ანალიზის შედეგად, რომელიც Amnesty International-ისთვის მოიპოვა სამეცნიერო განვითარების ამერიკულმა ასოციაციამ, დადგინდა 182 დაზიანებული კონსტრუქცია, რომლებიც განფენილი იყო მთელ ქალაქში.[40] მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალში გარკვეული ნგრევა გამოიწვია ქართულმა არტილერიამ და ტანკებმა 8 და 9 აგვისტოს ქუჩაში ბრძოლების დროს და ასევე რუსულმა არტილერიამ, როდესაც რუსეთის შეარაღებული ძალები შედიოდნენ ქალაქში, თვითმხილველების მიერ Amnesty International-ისათვის მონათხრობი მიუთითებს იმაზე, რომ ნგრევის უმეტესი ნაწილი ქართული ძალების მიერ 7 აგვისტოს ცხინვალის დაბომბვას მოყვა.

თუმცა ქართული ძალების ცხინვალში შესვლამდე ოსურმა შეიარაღებულმა ძალებმა შესაძლოა დაარღვიეს ჟენევის კონვენციების I პროტოკოლის მუხლი 58(ბ), რომელიც ავალდებულებს მხარეებს არ განალაგონ სამხედრო ობიექტები მჭიდროდ დასახლებული პუნქტების შიგნით, ან მათთან სიახლოვეს, როდესაც ცეცხლს უხსნიდნენ ქართულ შენაერთებს სამოქალაქო დასახლებების ახლოს მდებარე წერტილებიდან, Amnesty International-ი ვარაუდობს, რომ შესაძლოა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მშვიდობიანი მოქალაქეებით დასახლებულ ადგილებში სამიზნეები შეარჩიეს დაზვერვის მოძველებულ და უზუსტო მონაცემებზე დაყრდნობით და არ გადააზუსტეს არსებული ინფორმაცია შეტევის დაწყებამდე. ცხინვალის პირველ დაბომბვამდე ქართული შენაერთები იმყოფებოდნენ ცხინვალიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, ისეთ მანძილზე, საიდანაც ძნელი იქნებოდა ოსების იმ

პოზიციების დადგენა, საიდანაც მათ ესროდნენ. ასევე, იმის გამო, რომ ოსური ძალები მსუბუქად იყვნენ შეიარაღებულები და საკმაოდ მობილურები იყვნენ, არ არსებობდა გარანტია, რომ ისინი ისევ იმ პოზიციებზე იმყოფებოდნენ 7 აგვისტოს ღამეს, რომლებიდანაც ცეცხლს ხსნიდნენ წინა დღეების განმავლობაში. Amnesty International-ი ასევე შიშობს, რომ არ იყო სათანადოდ გათვალისწინებული წესები, როგორიცაა მშვიდობიანი მოსახლეობის შეძლებისდაგვარად გაფრთხილება და ისეთი საშუალებების და მეთოდების ამორჩევა, რომლებიც, მოსახლეობას რაც შეიძლება ნაკლებ ზარალს მიაყენებდა.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა განუცხადეს Amnesty International-ს, რომ მათი ვარაუდით, კონფლიქტის დაწყებამდე ცხინვალის მოსახლეობა დაახლოებით 7,000 იყო და ეს ციფრი მნიშვნელოვნად შემცირდა აგვისტოს პირველი დღეების განმავლობაში, მაშინ, როდესაც სამხრეთის ოსეთი ბევრმა მოსახლემ დატოვა რეგიონი სიტუაციის გაუარესების გამო. საქართველოს ოფიციალური პირების თქმით, რომლებიც იყვნენ ცხინვალში 7 აგვისტოს ცეცხლის შეჩერების შესახებ მოლაპარაკებებზე, ქალაქი ფაქტიურად ცარიელი იყო. მიუხედავად ამისა, ცხინვალის მერის თქმით, კონფლიქტამდე ქალაქში მცხოვრები 30,000 ადამიანიდან 15,000 იმყოფებოდა ცხინვალში საქართველოს მხრიდან პირველი შეტევის ღამეს.[41] სამხრეთ ოსეთის პარლამენტის წევრმა განუცხადა Amnesty International-ს, რომ 7 აგვისტოს ღამეს ცხინვალში იმყოფებოდა სამი, ან ოთხი ათასი მოსახლე, რომელთა უმრავლესობაც დიდი ხნით ადრე უკვე იმალებოდა საკუთარი სახლების სარდაფებში დაბომბვის ღამეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ 7 აგვისტოს ღამეს ცხინვალის მოსახლეობა საგრძნობლად იყო შემცირებული, ქალაქში მაინც იმყოფებოდა რამდენიმე ათასი მშვიდობიანი მოქალაქე.

ძნელია საქართველოს მიერ ცხინვალის და მისი პერიფერიების დაბომბვის შედეგად მშვიდობიან მოსახლობაში გარდაცვლილების რაოდენობის ზუსტი რაოდენობის დადგენა. თვითმხილველების მონაყოლის მიხედვით, რომლებიც იმყოფებოდნენ დაბომბილ ადგილებში, ყოველ ქუჩაზე დაიღუპა ორი, ან სამი ადამიანი, ხოლო ყველაზე მძიმედ დაბომბილ ქუჩებზე 10 ადამიანამდე. რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ გაცხადებული 133 დაღუპული ეხება მთელს კონფლიქტს და ამ რაოდენობაში შეიძლება შედიოდეს რამდენიმე კერძო პირი, რომლებიც მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში. თუმცა, ცხინვალის საავადმყოფოს ექიმები აცხადებდნენ, რომ გარდაცვლილთა უმრავლესობა მოხვდა საავადმყოფოში 8 აგვისტოს დილის საათებში. დაღუპულთა რაოდენობა შეიძლება ბევრად მეტი ყოფილიყო, რომ არა ის გარემოება, რომ დაბომბილი სახლების უმრავლესობა არმირებული ბეტონისგან იყო ნაშენები და მათში მცხოვრებლებმა მოახერხეს გადარჩენილიყვნენ სარდაფებში დამალვის შედეგად. როგორც ჩანს, დაღუპულთა უმრავლესობა იმყოფებოდა აგურის სახლებში, როდესაც მათ ჭურვები დაეცა, ან იმყოფებოდა ქუჩაში ჭურვების აფეთქებისას და ნამსხვრევების გაფანტვისას.

გამოყენებული საბრძოლო მასალის ტიპი, ნგრევის მასშტაბი და მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის რაოდენობა, რაც გამოიწვია ქართული მხარის მიერ 7-8 აგვისტოს ღამეს ცხინვალის საცხოვრებელი

უბნების დაბომბვამ მიუთითებს იმაზე, რომ შეტევის დროს არ იყო გამოყენებული სიფრთხილის ზომები, რაც წარმოადგენს I პროტოკოლის 57-ე მუხლის დარღვევას, ხოლო ზოგ შემთხვევაში მუხლის 51(4)-ის დარღვევას - განურჩეველი შეტევის აკრძალვა.

3.1.2 საქართველოს სახმელეთო ჯარები

ქართული სახმელეთო შენაერთები შევიდნენ ცხინვალში 8 აგვისტოს დილით ადრე, მას შემდეგ, რაც ცოტა ხნით ადრე აიღეს გარშემო განლაგებული ოსური სოფლები. სოფლებშიც და ცხინვალშიც ქართული სახმელეთო ჯარები შეხვდნენ წინააღმდეგობას სამხრეთ ოსეთის სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებისგან, რომელთა შორის იყო ორგანიზებული შენაერთები, არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებები და კერძო შეიარაღებული პირები. თუმცა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს ჰქონდათ მსუბუქი ჯავშან-მანქანები, მათი უმეტესობა გადაადგილდებოდა ფეხით, ან სამოქალაქო ავტომობილებით, რის გამოც ქართული შენაერთებისთვის ძნელი იყო გაერჩიათ შეიარაღებული მებრძოლები და მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელიც გარბოდა, მაგალითად ის მოქალაქეები, რომლებიც გადაადგილდებოდნენ რამდენიმე ავტომანქანით, რომლებსაც მოხვდათ სატანკო ჭურვები ხეთაგუროვო-ცხინვალის გზაზე 8 აგვისტოს.

აგვისტოს ბოლოს Amnesty International-ის წარმომადგენლების ცხინვალში ვიზიტისას აქტიური ბრძოლის კვალი ეტყობოდა ქალაქის მრავალ შენობას. მთავარი გზების გასწვრივ მხოლოდ მცირე რაოდენობის ფანჯრები იყო მთელი და კედლები მრავლად იყო დაცხრილული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიებისგან. სატანკო და საარტილერიო ცეცხლისგან დაზიანებული იყო რამდენიმე საჯარო შენობა, მათ შორის უნივერსიტეტი, ცენტრალური ბიბლიოთეკა, საავადმყოფო და მე-5-ე და მე-6-ე სკოლები, ასევე მრავალი კერძო სახლი. თუმცა, ძნელია იმის თქმა, თუ რისი შედეგი იყო თითოეული კონკრეტული დაზიანება, კომბატანტებს შორის სროლის, თუ ქართველი ჯარისკაცების მიერ განურჩეველი სროლის.

ქართულმა შენაერთებმა დატოვეს ცხინვალი და სამხრეთ ოსეთის დანარჩენი ტერიტორია 10 აგვისტოს დილის საათებში, რუსული საჰაერო და სახმელეთო ძალების დაჟინებული შეტევის შედეგად.

3.2 რუსეთის შეიარაღებული ძალების თავდასხმები

7 აგვისტოს საღამოს ქართული საჯარისო ნაწილების სამხრეთ ოსეთში შესვლის შემდგომ, რუსული შენაერთების პირველი ტალღა ჩაება ქართულ ჯართან ბრძოლაში ცხინვალიდან ჩრდილოეთით 8 აგვისტოს განმავლობაში. რუსული და ქართული სახმელეთო შენაერთები აგრძელებდნენ ბრძოლას 9 და 10 აგვისტოს განმავლობაში, და რუსული შენაერთები წინ მოიწევდნენ. რუსულმა შენაერთებმა ცხინვალი აიღეს 10

აგვისტოს, რის შემდეგაც ქართული სამხედრო მოქმედებები თანდათანობით შემცირდა. საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, რომ ქართულ ჯარებს მიეცათ ბრძანება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 10 აგვისტოს. 11 აგვისტოს საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთის დაბომბვის გაგრძელების მიზეზით, რუსული არმია აგრძელებდა წინსვლას და დაბომბვებს 12 აგვისტომდე. 12 აგვისტოს რუსეთი დათანხმდა საფრანგეთის შუამავლობით შემოთავაზებულ ზავს. ამ დროისათვის რუსულმა არმიამ უკვე გააფართოვა კონტროლის არეალი ქალაქ გორამდე, სამხრეთ ოსეთის საზღვრიდან 20 კილომეტრის დაშორებით და ასევე დაიკავა სტრატეგიული წერტილები საქართველო-აფხაზეთის საზღვართან, დასავლეთ საქართველოში. 20 აგვისტოს უკან დახევამდე რუსული არმია ანადგურებდა და გაჰქონდა სამხედრო აღჭურვილობა ქართული სამხედრო ბაზებიდან სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს გარეთ და მწყობრიდან გამოჰყავდა შერჩეული სამოქალაქო ინფრასტრუქტურა, როგორიცაა შავი ზღვის პორტი ფოთი და სარკინიგზო ხიდი მეტეხი-გრაკალი, რომელიც აკავშირებს საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს.

რუსული არმია ოქტომბის მეორე კვირამდე აკონტროლებდა ეგრეთ წოდებულ "ბუფერულ" და "უსაფრთხოების ზონებს", რომლებიც მდებარეობს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის 1990 წელს არსებულ საზღვრებს გარეთ. რუსულმა შენაერთებმა გასვლა დაიწყეს 8 ოქტომბერს და ზოგიერთ რაიონებში ქართულმა მოსახლეობამ დაიწყო სახლებში დაბრუნება.

3.2.1 რუსეთის შეიარაღებული ძალების საჰაერო და სარაკეტო თავდასხმები

რუსეთის მხრიდან საჰაერო და საარტილერიო დაბომბვა გაგრძელდა ოთხი დღის განმავლობაში, 8-დან 12 აგვისტომდე. საქართველოს მთავრობის მიერ Amnesty International-ისთვის მიწოდებული ინფორმაციით, რუსულმა საჰაერო ძალებმა 75-ჯერ დაბომბეს საქართველოს ტერიტორია, მათ შორის ისეთი რეგიონები, სადაც მანამდე არ იყო საბრძოლო მოქმედებები, როგორიცაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, იმერეთის რეგიონი და თბილისი.[42] Amnesty International-ის მოთხოვნა რუსეთის ხელისუფლების მიმართ, მოეწოდებინათ ინფორმაცია რუსული სამხედრო ძალების მიერ საბრძოლო მოქმედებების განხორციელების და მშვიდობიანი მოსახლეობისათვის რისკის შესამცირებლად მიღებული ზომების შესახებ, უპასუხოდ დარჩა.

თვითმხილველთა ინფორმაციით, დაბომბვის მეტი ნაწილი მოხდა სამხრეთ ოსეთში სოფელ ერედვის გარშემო და გორის რაიონში, სოფელ ტყვიავის და ვარიანის გარშემო. როგორც ჩანს, ეთნიკური ქართული სოფლები ცხინვალის ჩრდილოეთით ქურთადან თამარაშენამდე ნაკლები ინტენსივობით დაიბომბა. ქალაქი გორი დაიბომბა ოთხ ან ხუთ ლოკალიზებულ წერტილში, 8-დან 12 აგვისტომდე განხორციელებული რამდენიმე ცალკეული შეტევის დროს.

ქართული მხრიდან ცხინვალის და მის გარშემო განლაგებული ოსური სოფლების დაბომბვისგან განსხვავებით, რუსული მხარის მიერ დასახლებული ტერიტორიების დაბომბვა არ შეიძლება აღწერილი იყოს როგორც მასშტაბური დაბომბვა. დაბომბვის უმეტესობა მოხდა ქართულ სამხედრო პოზიციებზე, მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიებიდან მოშორებით. თუმცა, დაიბომბა ასევე სოფლები და ქალაქებიც, მიუხედავად იმისა, რომ შედეგად დაზიანდა მხოლოდ ქუჩების მონაკვეთები და ცალკეული სახლები ამ სოფლებში.

ცხინვალზე ქართული შეტევისგან განსხვავებით, რუსული დაბომბვა ხდებოდა რამდენიმე სამიზნეზე მიმართული ცალკეული შეტევის სახით, ფართო ტერიტორიაზე და გრძელდებოდა რამდენიმე დღე, იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდებოდა სამხედრო სიტუაცია ხმელეთზე.

შეტევების თვითმხილველები ადასტურებენ, რომ ამ ტერიტორიებზე იმყოფებოდა სამხედრო ობიექტები. თუმცა, Amnesty International-ის წარმომადგენლებმა ასევე მოისმინეს რამდენიმე მონათხრობი, რომ დაიბომბა მშვიდობიანი მოსახლეობა და სამოქალაქო ობიექტები ახლოს მდებარე სამხედრო სამიზნეების გარშემო. შესაბამისად Amnesty International-ი გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა პირდაპირი შეტევა განხორციელდა მშვიდობიან მოსახლეობაზე და სამოქალაქო ობიექტებზე, რაც ჟენევის კონვენციების I პროტოკოლის 51(3) მუხლის დარღვევაა, ან განხორციელდა განურჩეველი შეტევები 51(4) მუხლის დარღვევით.

12 აგვისტოს, შუადღეს, გორის ცენტრალური მოედნის საჰაერო დაბომბვის შედეგად დაიღუპა ჰოლანდიელი ჟურნალისტი და შვიდი მშვიდობიანი ქართველი მოქალაქე. ამ დაბომბვის მიზანი დღემდე გაურკვეველია. მოედანი არ მდებარეობს რომელიმე სამხედრო ობიექტთან ახლოს და ახლომახლო არ იმყოფებოდა არც ერთი ქართული სამხედრო შენაერთი. Amnesty International-ი ესაუბრა შეტევის შედეგად დაჭრილ მანელი მაისურაძეს:

მე დავიჭერი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობასთან ახლოს, სტალინის ძეგლის გვერდით (გორის ცენტრალურ მოედანზე). მე ქუჩაში ვიყავი ორ სხვა ქალთან ერთად. გადაიფრინა თვითმფრინავმა და ძალიან მალე აფეთქდა ბომბი. ჭურვის ნამსხვევებმა თვალები დამიზიანა და ჩვენ ყველანი დავიჭერით. ამ ინციდენტის დროს დაიღუპა ჟურნალისტი. მე ასევე დავინახე სამი სხვა დაღუპულის გვამი. მე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობასთან ახლოს ვცხოვრობ. დაბომბვის დროს ჩემი სახლის ყველა ფანჯარა ჩაიმსხვრა. ეს მოხდა 12 აგვისტოს დაახლოებით შუადღის 12 საათზე. დაბომბვამდე რიგდებოდა ჰუმანიტარული დახმარება. გარშემო დადიოდნენ მოხუცები, დახმარებას ელოდნენ. ჩვენც ვცდილობდით ჰუმანიტარული დახმარების მიღებას. ჩვენ ქუჩის მეორე მხარეს ვიყავით, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც მუნიციპალიტეტის შენობის მხარეს იყვნენ ან დაიღუპნენ, ან სერიოზულად დაშავდნენ დაბომბვის დროს. იმ დროს იქ ქართველი ჯარისკაცები არ იმყოფებოდნენ, იყვნენ მხოლოდ ქალაქში დარჩენილი მოხუცები.

ავთო ციმაკურიძე, მოხუცი კაცი, დაიჭრა სოფელ კარბში თავის სახლთან ახლოს 9 აგვისტოს დილის 11 საათსა და 30 წუთზე, მას შემდეგ, რაც რუსულმა თვითმფრინავმა სოფელში ორი ბომბი ჩამოაგდო. შედეგად დაიღუპა ცხრა ადამიანი. ავთო ციმაკურიძე შეტევას შემდეგნაირად აღწერს:

ჩვენ მშვიდობიანი მოსახლეობა ვიყავით. მათ, ეტყობა, შეეშალათ, თორემ ჩვენ რატომ უნდა დავებომბეთ? თვითმფრინავმა ძალიან მაღლა გადაუფრინა სოფელს და ორი ბომბი ჩამოაგდო. ჩემს თვალწინ შვიდი ადამიანი დაიღუპა. მეორე ბომბი სოფლის სხვა ნაწილში ჩამოვარდა და ორი ადამიანი მოკლა. ქართველი ჯარისკაცები სოფელში არ იყვნენ. დაახლოებით ორი კილომეტრის დაშორებით ქართული საარტილერიო შენაერთი იდგა, ჰაერსაწინააღმდეგო შეიარაღებით. თავიდან ისინი ამ შენაერთს უმიზნებდნენ. შემდეგ თვითმფრინავი მობრუნდა და ორი ბომბი სოფელში ჩამოაგდო. ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ რუსებს შეეძლოთ ჩვენთვის ასეთი რამ გაეკეთებინათ. მე ბევრი რუსი მეგობარი მყავდა. მე რუსულ არმიაშიც ვმსახურობდი და ვერ ვიჯერებ მომხდარს.

© Amnesty International- ავთო ყურაშვილი, მშვიდობიანი მოსახლე, რომელიც დაიჭრა გორში, საქართველო,
10 აგვისტოს. მან არ იცის, თუ ვინ დაჭრა ის. ის მოგვიანებით თბილისის საავადმყოფოში გადმოიყვანეს.

Amnesty International-მა ასევე მიიღო ინფორმაცია რუსული თვითმფრინავის შესახებ, რომელიც ბომბავდა გაქცეულ ქართველ მოქალაქეებს, რომლებიც მოძრაობდნენ კონფლიქტის ზონიდან

სამხრეთისკენ. სოფელ კემეთის მკვიდრმა "მაკამ" Amnesty International-ს განუცხადა:

8 აგვისტოს წარმოიშვა პანიკა, რომ ხეობა დაიბომბებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი თავის იმედად იყო მიტოვებული და სახლებს ტოვებდა მანქანებით. მე მხოლოდ ერთი ჩანთა და პასპორტი წამოვიღე სხვებმა საერთოდ ვერაფრის წამოღება ვერ მოასწრეს. ჩვენ ვცდილობდით იქაურობა შემოვლითი გზებით დაგვეტოვებინა ყველა მხრიდან სროლა ისმოდა. არ ვიცოდი ჩემი გოგონა როგორ დამეცვა და უბრალოდ საკუთარი ტანით ვეფარებოდი. სხვებიც ასე ფარავდნენ საკუთარ შვილებს. როდესაც გადავლახეთ ხეობა და ჩავაღწიეთ სოფელ (მ)ერეთში, ჩვენს წინ მიმავალ მანქანას ჭურვი მოხვდა და აფეთქდა, მანქანაში ქალი და კაცი ისხდნენ. ჭურვები ეცემოდა მშვიდობიან მოსახლეობას, მთელ ოჯახებს

"გოგამ" მოუყვა Amnesty International-ს, თუ როგორ დაიჭრა რუსული დაბომბვის შედეგად, როდესაც მანქანით მიდიოდა სოფელ ვარიანში:

12 აგვისტოს მე წამოვედი სოფელ ფხვენისიდან (ცხინვალიდან სამხრეთით რამოდინიმე კილომეტრით დაშორებული სოფელი); ჩემს მანქანაში რამდენიმე სხვა მშვიდობიანი მოქალაქე იჯდა. როდესაც გავიარე სოფელ ვარიანზე დაახლოებით დილის 11 საათზე, გადაიფრინა სამმა თვითმფრინავმა და ბომბების ჩამოყრა დაიწყო. სოფელი პრაქტიკულად ცარიელი იყო, ერთადერთი მოძრავი მანქანა ჩემი იყო. მე გადავწყვიტე, რომ უფრო უსაფრთხო იქნებოდა მანქანა გამეჩერებინა და ჩვენ ყველანი გადმოვედით. სწორედ ამ დროს ბომბი ჩვენთან ახლოს ჩამოვარდა და მე დავიჭერი. ჩვენს გვერდით მდგომი მამაკაცი დაიღუპა. თვითმფრინავების გარდა ახლომახლო ბრძოლის სხვა ხმები მე არ გამიგია.

Amnesty International-მა წერილობით მიმართა რუსეთის ხელმძღვანელობას მოცემულ კონკრეტულ ინციდენტებთან დაკავშირებით და მოითხოვა ინფორმაცია ამ შეტევების სამიზნეების შესახებ და იმის შესახებ, თუ რა მეთოდებით განისაზღვრა, რომ ისინი სამხედრო ობიექტებს უტევდნენ, და რომ მშვიდობიანი მოსახლეობისთვის რისკი მინიმალური იყო. რუსეთის ხელმძღვანელობისგან მიღებული პასუხი ამ კონკრეტულ ფაქტებს არ შეეხო.

3.2.2 რუსეთის სახმელეთო ძალები

რუსი სამხედროების და ოსური შეიარაღებული ძალების და მილიციის მოქმედებების თვითმხილველები მკვეთრად ანსხვავებენ რუსული ქვეითი ჯარის დისციპლინირებულ მოქმედებას და ოსი მეომრების და შეიარაღებული ჯგუფების (ე.წ. მილიციის) მიერ ხანძრის გაჩენას და მაროდიორობას. Amnesty International-მა სამხრეთ ოსეთიდან ბევრი ქართველი იძულებით გადაადგილებული ადამიანისგან შეიტყო, რომ მთლიანობაში რუსი ჯარისკაცები ქართველი მოქალაქეების მიმართ დისციპლინირებულად და წესის მიხედვით იქცეოდნენ.

მიუხედავად ამისა, Amnesty International-ის წარმომადგენლები ესაუბრნენ ორ დაჭრილ მოქალაქეს, რომლებიც თბილისის საავადმყოფოში მკურნალობენ, რომლებმაც თქვეს, რომ რუსმა სამხედროებმა მათ ახლო მანძილიდან ესროლეს, როდესაც ისინი საჰაერო დაბომბვას გაურბოდნენ გორის რაიონის სოფელი ახალდაბის მიდამოებში 12 აგვისტოს, დაახლოებით დილის 11 საათზე. "ნუგზარი" და მისი სამი მეგობარი დაცვის თანამშრომლად მუშაობდნენ გორის ჩრდილოეთით 10 კილომეტრში მდებარე სატელევიზიო ანძაზე, როდესაც დაიწყო დაბომბვა. გაურკვეველია, იყო თუ არა სატელევიზიო ანძა დაბომბვის პირდაპირი მიზანი, მაგრამ ნუგზარი ვარაუდობს, რომ საჰაერო დაბომბვა ფართო არეალში მოხდა, სატელევიზიო ანძის ჩათვლით და გაგრძელდა დაახლოებით ერთი საათი. რადგან იმ ადგილას დარჩენა უსაფრთხო არ იყო, ნუგზარმა და მისმა სამმა კოლეგამ გადაწყვიტა, წასულიყვნენ ჩვეულებრივი სამოქალაქო ავტომობილით. სატელევიზიო ანძის დატოვების დროს მათ ჩაუარეს სატანკო კოლონას, რომელიც ანძას ცხინვალის მხრიდან უახლოვდებოდა:

ჩვენ ჩვეულებრივი ავტომანქანით მივდიოდით, როდესაც მოგვიახლოვდა სამი რუსული ტანკი, რომლებზეც ბევრი ჯარისკაცი იჯდა. როდესაც პირველმა ტანკმა ჩაგვიარა, მასზე მსხდომმა ჯარისკაცებმა ცეცხლი გაგვიხსნეს. მეორე ტანკზე მსხდომი ჯარისკაცებიც გვესროდნენ. ეს დაუსახლებელი ტერიტორიაა და ჩვენს გარდა იქ არავინ იყო, თუმცა მოშორებით სროლის ხმა ისმოდა. მანქანაში ოთხნი ვისხედით. ერთ-ერთერთი ადგილზე გარდაიცვალა. ჩემი კოლეგა (რომელიც გვერდით პალატაში წევს) ასევე დაიჭრა. მეოთხე მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა. მას შემდეგ რაც მათ ჩაგვიარეს, ჩვენ მანქანიდან გადმოვედით და ტყეს შევაფარეთ თავი. ჩვენ მივაღწიეთ უახლოეს სოფელს (ახალდაბა) და ვცადეთ სასწრაფოს გამოძახება. სასწრაფოებს იქ არ ატარებდნენ. სამი დღე გავატარეთ სოფელში, სანამ არ მოხდა ჩვენი ევაკუირება პარასკევს (15 აგვისტო).

Amnesty International-ი განსაკუთრებით შეშფოთებულია მრავალი მონაყოლით იმის შესახებ, რომ რუსი ჯარისკაცები მშვიდად უყურებდნენ, თუ როგორ ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ქართულ სოფლებს და აშინებდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ იქ დარჩენილ მოსახლეობას სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალები, შეიარაღებული ჯგუფები და შეიარაღებული პირები. სოფელ მარანას ერთ-ერთმა ქართველმა მკვიდრმა უთხრა Amnesty International-ს, თუ როგორ გააფრთხილეს ის რუსმა სამხედროებმა, დაეტოვებინა სოფელი სამხრეთ ოსეთის "ბოევიკების" მოსვლამდე, რადგან შემდეგ მის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფდნენ.

რუსეთის არმია, როგორც ოკუპანტი ძალა, ვალდებული იყო უზრუნველეყო მშვიდობიანი მოსახლეობის და სამოქალაქო საკუთრების დაცვა მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. მართალია ამის განხორციელება ძნელი იყო კონფლიქტის პირველ დღეებში, როდესაც რუსული შენაერთები ჯერ კიდევ ებრძოდნენ ქართულ ჯარს, მაგრამ ეთნიკური ქართველების საკუთრების ძარცვა და განადგურება და სამხრეთ ოსეთში და გარშემო "ბუფერულ ზონაში" დარჩენილი ქართველების დაშინება ფართო მასშტაბით გრძელდებოდა აქტიური საბრძოლო

cecxlmokidebuli saxlebi samxreT oseTis qarTul sofel eredvSi, 2008 wlis 26 agvisto © Varvara Pakhomenko

qveynis SigniT iZulebiT gadaadgilebuli pirebi TbilisSi, 2008 wlis 20 agvisto. © Amnesty International

samxreT oseTSi mdebare qalaq cxinvalis, 2008 wils 10 agvistos gadaRebuli Tanamgzavruli foto, romelic asaxavs ngrevebis suraTs 10 da 19 agvistos. narinjisferi wertilebiT aRniSnulia 10 agvistos dafiqsirebuli ngrevebi, xolo wiTeli wertilebiT, ki 19 agvistos momxdari dazianeba. wertilebi suraTis zeda nawilSi (CrdiloeTiT) da bolos marjvniv (samxreT-aRmosavleTi) asaxavs TamaraSenis da ertneTis Sefasebebs, Tanmimdevrulad. aRsaniSnavia, rom cxinvalSi momxdari ngrevebis umetesobas adgili qonda 10 agvistomde, an 10 agvistos (sul dazianebuli iyo 182 konstruqcia) da mxolod 4 dazianebuli konstruqcia daemata 19 agvistos. © 2008 GeoEye



19 agvistos gadaRebuli, samxreT oseTSi mdebare qarTuli soflis, TamaraSenis Tanamgzavruli foto. wiTeli wertilebiT aRniSnulia yvela dazianebuli Senoba (sul 152 konstruqcia). © 2008 ImageSat

dangreuli Senobebi samxreT oseTis qalaq cxinvalSi, taelmanis quCaze, 2008 wlis 29 seqtemberi.
© Amnesty International

dabombili Senoba gorSi, saqarTvelo, 2008 wlis 29 seqtemberi. © Amnesty International

მოქმედებების ფორმალური დასრულებიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში. ნათელია, რომ რუსეთის ხელმძღვანელობამ ცალსახად ვერ შეძლო განეხორციელებინა თავისი ვალდებულება და თავიდან აეცილებინა რეპრესიები და ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის ფაქტები, რომლებსაც ახორციელებდნენ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები და არაფორმალური შეიარაღებული დანაყოფები. "ბუფერულ ზონებში", როგორც ოკუპანტ ძალას, რუსეთს პასუხისმგებლობა ჰქონდა ჟენევის მეოთხე კონვენციის შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ ის პირველ რიგში პასუხისმგებელი იყო ამ ტერიტორიებზე მყოფი ქართული მოსახლეობის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე. თუმცა სამხრეთ ოსეთში ის ფორმალურად შეიძლება არ ითვლებოდა ოკუპანტ ძალად, ის მაინც პასუხისმგებელი იყო ადამიანის უფლებების სამართლის მიმართ და უნდა პატივი ეცა და დაეცვა ყველა იმ ადამიანის უფლებები, რომლებიც მისი უშუალო კონტროლის ქვეშ იყვნენ.

3.3 "კასეტური" ბომბების გამოყენება

Amnesty International-ი შეშფოთებულია ამ კონფლიქტში "კასეტური" ბომბების გამოყენების გამო, რაც პირველად მოხდა 2006 წლის ისრაელი-ლიბანის კონფლიქტის შემდეგ. "კასეტური" ბომბი არის იარაღი, რომელიც შედგება უამრავი ფეთქებადი მცირე ჭურვისგან, რომლებიც იფანტება კონტეინერიდან. "კასეტური" იარაღი სერიოზულ რისკს უქმნის მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს მათი გამოყენების მომენტშიც და საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგაც. ეს ხდება იმის გამო, რომ "კასეტური" იარაღი აზიანებს დიდ ტერიტორიას და უამრავი მცირე ზომის ჭურვი რჩება აუფეთქებელი. აუფეთქებელი მცირე ჭურვები განურჩევლად აზიანებს და ასახიჩრებს ადამიანებს კონფლიქტის დასრულების შემდგომ, ხელს უშლის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას, სამშვიდობო ოპერაციებს და კონფლიქტის შემდგომ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. ამ მიზეზების გამო, Amnesty International-ი მრავალი წლის განმავლობაში ითხოვდა "კასეტური" ბომბების გამოყენებაზე მორატორიუმის დაწესებას. საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად მიდის კონსენსუსისკენ, რომ "კასეტური" იარაღის გამოყენება, შენახვა და ტრანსპორტირება უნდა აიკრძალოს. სწორედ ამიტომ, 2008 წლის მაისში 100-ზე მეტმა ქვეყანამ მიიღო კონვენცია "კასეტურ" შეიარაღებაზე. არც საქართველოს და არც რუსეთს ამ კონვენციაზე ხელი არ მოუწერიათ.

არსებობს უტყუარი დამადასტურებელი ფაქტები, რომ რუსულმა და ქართულმა სამხედრო ძალებმა, ორივემ, გამოიყენეს "კასეტური" ბომბები, იარაღი, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შეიარაღებაში, თუმცა ოქტომბრის შუა რიცხვებში მხოლოდ საქართველომ აღიარა ამ იარაღის გამოყენება. 1 სექტემბერს საქართველოს ხელისუფლებამ საჯაროდ გამოაცხადა, რომ "კასეტური" ბომბები გამოყენებული იყო მხოლოდ რუსული მძიმე ტექნიკის და სამხედრო აღჭურვილობის წინააღმდეგ როკის გვირაბის მიდამოებში 8 აგვისტოს დილის საათებში.[43] 7 ოქტომბერს, საქართველოს ხელმძღვანელმა პირებმა განუმარტეს Amnesty International-ს, რომ "კასეტური" იარაღი გამოყენებული იყო მხოლოდ ქართული სახმელეთო ძალების მიერ. ეს იყო MK4 LAR160

ტიპის რაკეტები 85 მცირე ზომის ჭურვებით, რომლებსაც ისროდნენ GRADLAR160 ტიპის სარაკეტო სისტემებით. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა აგრეთვე განუმარტეს Amnesty International-ის, რომ ასეთი ტიპის "კასეტური" იარაღი ასევე გამოყენებული იყო 8 აგვისტოს შეტევისას რუსეთის და ოსეთის შეიარაღებულ ძალების წინააღმეგ ძარას შემოვლით გზაზე, რომელიც ცხინვალიდან ჩრდილოეთისკენ მიდის, იმ მიმართულებით, საიდანაც რუსეთის ძალები შემოვიდნენ.

Amnesty International-ი ვარაუდობს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ შეტევების მიზანი სამხედრო ობიექტები იყო, "კასეტური" იარაღის ბუნება ქმნის საშიშროებას მშვიდობიანი მოსახლეობისთვის. სავარაუდოა, რომ "კასეტური" იარაღის გამოყენებისას როკის გვირაბის მიდამოებში მაინც იყო მშვიდობიანი მოსახლეობის გარკვეული გადაადგილება, რადგან გვირაბი იყო მთავარი გზა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის, რომელიც ჩრდილოეთით მიდიოდა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ქართველების მიერ "კასეტური" იარაღის გამოყენებისას ძარის გზაზე მშვიდობიანი მოსახლეობა არ იმყოფებოდა, რადგან სამოქალაქო ტრანსპორტის ყველანაირი მოძრაობა შეჩერდა ამ ტერიტორიაზე საბრძოლო ოპერაციების განმავლობაში, რაც დაადასტურეს ქართველმა მზვერავებმა. Amnesty International-ი ვერ ამტკიცებს, იყვნენ თუ არა სამოქალაქო პირები ძარის გზაზე ქართველების მიერ "კასეტური" ბომბების გამოყენების მომენტში. თუმცა, ნათელია, რომ რამდენიმე ათასი მშვიდობიანი მოქალაქე სწორედ 8 აგვისტოს განმავლობაში ტოვებდა საკუთარ სახლებს და მოძრაობდა საქართველოს ცენტრალური ნაწილისკენ და ჩრდილოეთ ოსეთის მიმართულებით და რომ ძარის გზა იყო სწორედ მთავარი დერეფანი ჩრდილოეთისკენ მოძრავი სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისთვის. Amnesty International-ის წარმომადგენლებმა მიიღეს ინფორმაცია ვლადივკავკაზში იძულებით გადადგილებული სამხრეთ ოსეთის რამდენიმე მოქალაქისგან, რომ ძარის გზა იბომბებოდა მაშინ, როდესაც ისინი ამ გზით მიდიოდნენ 8 აგვისტოს.

M85 "კასეტური" იარაღის ნარჩენები და დაზიანების ნიშნები სამხრეთ ოსეთის მისადგომებთან მდებარე სოფლების მიდამოებში მიუთითებს იმაზე, რომ ქართულ შეიარაღებულ ძალებს "კასეტური" იარაღი მხოლოდ ძარის გზაზე და როკის გვირაბის მიდამოებში არ გამოუყენებიათ. როდესაც მიზანში ამოღებული რუსული ჯარი გორის რაიონში შედიოდა, მართალია, ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ძირითადად, ქართველები, უკვე გასული იყვნენ, ბევრი მოსახლე ჯერ კიდევ იქ რჩებოდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, "კასეტური" ბომბის აუფეთქებელი ნარჩენები დიდი ხნის განმავლობაში რჩება მოსახლეობისთვის საფრთხის სახით. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ მიერ გამოყენებულ M85 ტიპის მცირე ჭურვებს აქვს თვითგანადგურების მექანიზმი და, რომ ჭურვები არ რჩება ბრძოლის ველზე და საფრთხეს არ უქმნის მეგობრულ სამხედრო ძალებს და მშვიდობიან მოსახლეობას.[44] მიუხედავად ამისა, თვითგანადგურების მექანიზმის მოქმედებას "კასეტური" იარაღის გასაუვნებელსაყოფად არ ენდობიან არასამთავრობო ორგანიზაციები და სამხედრო ექსპერტები.[45] გაეროს მიერ განხორციელებული გაწმენდის სამუშაოების განმავლობაში ისრაელი-

ლიბანის ბოლოდროინდელი კონფლიქტის შემდგომ, აღმოჩენილი იქნა აუფეთქებელი M85 ტიპის მცირე ზომის ჭურვების დიდი რაოდენობა.[46] საველე კვლევებმა, რომლებიც ჩატარდა კონფლიქტის შემდეგ აჩვენა, რომ შემთხვევეები, როდესაც მექანიზმი არ ამოქმედდა, 6-დან 10 პროცენტამდე იყო, რაც ბევრად მეტია იმ 1 პროცენტზე, რომელსაც ამტკიცებენ ის ქვეყნები, რომლებიც ამ იარაღს იყენებენ.

თუმცა რუსეთი კვლავ უარყოფს "კასეტური" ბომბების გამოყენებას, Amnesty International-ის წარმომადგენლებმა მრავალი დამოუკიდებელი თვითმხილველისგან მოისმინეს ასეთი ბომბების შესაძლო გამოყენების შესახებ ქვემო ხვითში, ტირძნისში, ტყვიავში, ფხვენისში, კეხვში, რუისში და ახალდაბაში, უფრო მეტად 8 აგვისტოს, და ასევე შემდგომ დღეებშიც. გორის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარშემო ნაპოვნი იყო ფიზიკური ნივთმტკიცება იმისა, რომ გამოყენებული იყო AO 2.5 RTM კასეტური ბომბები (რომლებიც თვითმფრინავიდან იყრება RBK 500 ბომბებით) და Uragan-იდან გატყორცნილი M210 მცირე ზომის ბომბები. იმ დროს ამ ადგილებში ჯერ კიდევ მრავლად იყო მშვიდობიანი მოსახლეობა, რომლის დიდი ნაწილი სხვადასხვა გზებით ცდილობდა კონფლიქტის ზონის დატოვებას. არსებობს ასევე ვარაუდი, რომ 12 აგვისტოს გორის ცენტრალური მოედნის დაბომბვისას გამოყენებული იყო სწორედ "კასეტური" იარაღი.[47]

იური სეკმიაშვილი მძიმედ დაიჭრა 12 აგვისტოს დილის 10-დან 11 საათამდე ახალდაბის მახლობლად დაბომბვის დროს. Amnesty International-თან ინტერვიუს დროს მან აღწერა მრავალი მცირე აფეთქება და განაცხადა, რომ ის დაზიანდა მცირე ზომის ბომბის მის გვერდით აფეთქების შედეგად. Amnesty International-თან საუბრისას ბეჟან ბასილიძემ აღწერა შეტევა "კასეტური" ბომბებით, რომელსაც ის შეესწრო ქვემო ხვითში 8 აგვისტოს საღამოს 6-დან 7 საათამდე.

საღამო იყო. უცბათ საშინელი ხმა გავიგე. მე დავინახე აფეთქება ჰაერში და ბომბები სეტყვასავით წამოვიდა; ყოველი მათგანი 3-4 მეტრის ფართობზე ფეთქდებოდა. ყველაფერი აფეთქდა - მიწა, სახლების სახურავები. დაიჭრა შვიდი ადამიანი, და დაშავდნენ ძროხებიც. იმ ტერიტორიაზე ქართველი ჯარისკაცები არ იმყოფებოდნენ. ისინი ნაშუადღევს გორისკენ წავიდნენ.

Amnesty International-ი კვლავ მოუწოდებს ყველა მხარეს საჯაროდ გამოცხადდეს ყველანაირი ინფორმაცია ამ კონფლიქტში "კასეტური" იარაღის გამოყენების შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის შესაბამისად გაფრთხილება და აუფეთქებელი ჭურვების გაწმენდის სამუშაოები.

3.4 ნაღმები

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალებმა დანაღმეს გზები და სარკინიგზო ხაზები სვანეთის რეგიონში, აფხაზეთთან ახლოს და გორის მიდამოებში. ეს

ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ Amnesty International-ს 2007 წლის 7 ოქტომბერს მიაწოდა. 24 აგვისტოს, ნავთობით დატვირთული მატარებელი აფეთქდა ნაღმზე გორიდან დასავლეთით ხუთი კილომეტრის მოშორებით. ქართული მხარე აცხადებს, რომ ნაღმები და აუფეთქებელი საარტილერიო ჭურვები ნაპოვნი იყო ასევე სხვა ადგილებში რკინიგზის ხაზის გასწვრივ. გორის რაიონის ბაღებში და ბოსტნებში ასევე ნაპოვნია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები. Amnesty International-ისთვის ქართული მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, 24 აგვისტოს გორში, საკუთარ ბაღში ნაღმზე აფეთქდა ქალი, ხოლო ტირძნისში დაიჭრა ერთი მამაკაცი.

3.5 სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების და სამხედრო დაჯგუფებების ქცევის ფორმები საომარი მოქმედებების დროს

Amnesty International-ის მიერ შეგროვილი თვითმხილველთა მონაყოლის მიხედვით ჩანს, რომ რუსულ არმიას მოყვებოდნენ სამხრეთ ოსეთის რეგულარული ჯარის ნაწილები და სამხედრო დაჯგუფებები. ამ უკანასკნელებს ძირითადად უწოდებენ "მილიციას" ("ოპოლჩენცი" რუსულად და "შეიარაღებული დაჯგუფებები" ქართულად) და მათი ზუსტი შემადგენლობა დაუდგენელია. კონფლიქტის წინა დღეებში გავრცელდა ინფორმაცია 300 ოსი მოხალისის ჩამოსვლის შესახებ, რომლებიც მანამდე ჩრდილოეთ ოსეთის პოლიციაში მსახურობდნენ.[48] გავრცელებული ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის "დე ფაქტო" პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ გასცა ბრძანება ამ მოხალისეთა სამხრეთ ოსეთის "დე ფაქტო" შინაგან ჯარებში ინტეგრაციის შესახებ. გავრცელდა ასევე ინფორმაცია ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების სამხრეთ ოსეთში შესვლის შესახებ საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ. ეს პიროვნებები სამხრეთ ოსეთის მხარეს იბრძოდნენ. Amnesty International-მა ასევე შეიტყო, რომ კონფლიქტის პირველ დღეებში ჩრდილოეთ ოსეთში გაქცეულ მამაკაცთა უმეტესობა დაბრუნდა სამხრეთ ოსეთში ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად. სამხრეთ ოსეთის რამდენიმე წარმომადგენელმა, რომლებსაც Amnesty International-ი ესაუბრა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში, განაცხადეს, რომ ისინი იარაღით ხელში მონაწილეობდნენ ბრძოლებში.

ყოველივე ამის გამო ძალიან ძნელია იმ ჯგუფების ზუსტი შემადგენლობის დადგენა, რომლებსაც თვითმხილველები "სამხრეთ ოსეთის მილიციას" (შეიარაღებულ დაჯგუფებებს) უწოდებენ. Amnesty International-ის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, "მილიცია" შედგებოდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისგან და მათი სასაუბრო ენა რუსული იყო. უმეტეს შემთხვევაში ჩანს, რომ ეს ჯგუფები ჩნდებოდნენ რუსული სახმელეთო ძალების ან საჰაერო შეტევების შემდეგ. თვითმხილველები და ჰუმანიტარული ორგანიზაციების წარმომადგენლები ასევე აცხადებენ, რომ ეს ჯგუფები მოძრაობდნენ "ბუფერულ ზონებში", რომლებიც შექმნა რუსულმა მხარემ და რომლებსაც ის აკონტროლებდა

საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ და შემდგომი რამდენიმე კვირის განმავლობაში. ჩანს, რომ ამ ჯგუფების უმრავლესობა ძალიან სუსტად ასრულებდა სამხრეთ ოსეთის სამხედრო ხელმძღვანელობის ბრძანებებს, ხოლო სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები მოქმედებდნენ რუსეთის სამხედრო შენაერთებთან თანამშრომლობით.

Amnesty International-ი შეშფოთებულია ეთნიკური ქართველების სერიოზული დაჩაგვრით რუსეთის მხარის მიერ კონტროლირებად სამხრეთ ოსეთში და "ბუფერულ ზონებში". Amnesty International-მა დააფიქსირა უკანონო მკვლელობების, ცემის, დაშინების, ხანძრის გაჩენის და ძარცვის ფაქტები, რომლებიც განახორციელეს სამხრეთ ოსეთის მხარესთან ასოცირებულმა შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა, რომლებიც მოქმედებდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერით. თუმცა ეთნიკური ქართული სოფლების ძარცვა და მაროდიორობა ძირითადად ხდებოდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და კონფლიქტის შემდგომ მხოლოდ მთავარი გზების გასწვრივ მდებარე ქართული სოფლების ოპორტუნისტული რეიდებით რეგიონის საზღვრებს გარეთ, ის ასევე თანდათანობით გავრცელდა მიმდებარე "ბუფერულ ზონებზეც", რომლებიც რუსული ძალების პირდაპირი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა შემდგომი კვირების განმავლობაში. მიუხედავად ამისა, სერიოზულად არ დაზიანებულა ქართველებით დასახლებული სოფლები სამხრეთ ოსეთში, რომლებიც იმყოფებოდა სამხრეთ ოსეთის "დე ფაქტო" ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ.

რუსეთის, როგორც სამხრეთ ოსეთში და "ბუფერულ ზონაში" ოკუპანტი ძალის პასუხისმგებლობა, განსაზღვრულია სახმელეთო ომის კანონების და წესების (ჰააგის ნორმები) 42-ე მუხლში: "ტერიტორია ითვლება ოკუპირებულად, როდესაც ის კონტროლდება მოწინააღმდეგე არმიის მიერ. ოკუპაცია ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ასეთი კონტროლი დამყარებულია და ხორციელდება". ასეთ სიტუაციაში ოკუპანტმა ძალამ "უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომები სამოქალაქო წესრიგის და უსაფრთხოების აღსადგენად და პატივი სცეს, თუკი სრულად არ არის გაუქმებული, ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას". (ჰააგის ნორმები, მუხლი 43)

ჟენევის მეოთხე კონვენცია ადგენს ოკუპანტი ძალის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის მოპყრობის წესებს. მოსახლეობას ეწოდება "დაცული ადამიანები". წესები უკრძალავს ოკუპანტ ძალას დაცული ადამიანების თვითნებურად მოკვლას, არასწორ მოპყრობას, ან მათ დეპორტაციას. ოკუპანტი ძალა პასუხისმგებელია მისი კონტროლის ქვეშ მყოფი მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ეს ნიშნავს, რომ კანონი და წესრიგი შენარჩუნებულია და დაკმაყოფილებულია მოსახლეობის ყველა ძირითადი მოთხოვნილება.

რუსეთი სრულად იყო პასუხისმგებელი უსაფრთხოების, კანონის და წესრიგის შენარჩუნებაზე და მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მყოფი მშვიდობიანი მოსახლეობის კეთილდღეობაზე. აქედან გამომდინარე, რუსული მხარე სამხრეთ ოსეთის "დე ფაქტო" ხელმძღვანელობასთან ერთად არის პასუხისმგებელი ადამიანის უფლებების დარღვევებზე, რომლებიც

ჩაიდინეს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა, რაშიც იგულისხმება ძარცვა, ხანძრის გაჩენა და სხვა შეტევები, რომლებიც განხორციელდა სამხრეთ ოსეთის 1990 წლის საზღვრებს შიგნით და მათ გარეთ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე.

3.5.1 სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული დაჯგუფებების თავდასხმები მოქალაქეებზე

Amnesty International-ი სერიოზულად შეშფოთებულია სამხრეთ ოსეთთან ასოცირებული დაჯგუფებების მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმის ფაქტების გამო კონფლიქტის მიმდინარეობის დროს და მისი დასრულების შემდგომ. მრავალ შემთხვევაში სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ჯგუფები და არარეგულარული ნაწილები შედიოდნენ სოფლებში, რომლებიც ცარიელი იყო, და სადაც მხოლოდ მოხუცები და უმწეოები რჩებოდნენ. თვითმხილველთა მონაყოლით, "მილიციელები" მოსახლეობისგან ითხოვდნენ იქაურობის დატოვებას. Amnesty International-ის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, იმ ადამიანებს, რომლებიც უარს ამბობდნენ წასვლაზე, ზოგიერთ შემთხვევაში ცემდნენ და/ან კლავდნენ. ზოგიერთი ადამიანი უკონტროლო ძარცვის დროს გახდა ამ დაჯგუფებების მსხვერპლი.

სამხრეთ ოსეთში, ცხინვალიდან აღმოსავლეთით მდებარე სოფელი დისევის მკვიდრმა "ანიმ" მოუთხრო Amnesty International-ს:

ყველა ქართული სოფელი გადაწვეს. გადარჩა მხოლოდ ის სახლები, სადაც ოსური წარმოშობის ცოლები ყავდათ ოჯახში. ამას აკეთებდნენ ოსი სეპარატისტები და რუსების და კაზაკების დაჯგუფებები; მათ შავი ფორმები ეცვათ და ნიღბები ეკეთათ. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ტანკზე იჯდა, ქართულადაც კი ლაპარაკობდა. ჩემი მეზობელი, რომელმაც მათთვის წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მოკლეს.

27 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის სოფელ ავნევში Amnesty International-ი ესაუბრა ორ მოხუც ქართველ მამაკაცს, რომლებიც სოფელში დარჩნენ დანარჩენი მოსახლეობის წასვლის შემდეგ. მათი განცხადებით:

მე ოცი წელი სოფლის სკოლის დირექტორად ვიმუშავე. შერეული სკოლა იყო, სწავლობდნენ და მუშაობდნენ ქართველებიც და ოსებიც. ჩვენს სოფელში 350 ოჯახი იყო და აქედან დაახლოებით 200 ოჯახში ოსური წარმოშობის ერთი წევრი მაინც იყო. ისინი ყველანი წავიდნენ როდესაც ქართულმა ნაწილებმა ცხინვალს შეუტიეს. დარჩნენ მხოლოდ მარტოხელა მოხუცები. აქ მათ მხოლოდ ორი ადამიანი მოკლეს. შურა, ჩემი მეზობელი ძალიან ავად იყო, ის 50 წლის იყო, როდესაც საკუთარ სახლში დაწვეს. მათ კიდევ ერთი, დაახლოებით 50 წლის მამაკაცი მოკლეს. მათ ცეცლიხ მოკიდება დაიწყეს დილის 11 საათზე და ასე გრძელდებოდა ყოველ დამე. ამ ხალხს ჩვეულებრივი სამოქალაქო ტანსაცმელი და სამხედრო ფორმებიც ეცვათ. მე დავინახე ახალგაზრდა, ალბათ 20 წლის ბიჭი, რომელიც სხვა ორ ბიჭს ეძახდა მალე გამოეტანათ ნივთები და ჩამხტარიყვნენ მანქანაში. შემდეგ დავინახე, რომ იმ სახლს, რომლიდანაც ისინი გამოვიდნენ, ცეცხლი ეკიდა. თუმცა, მე შევძელი ცეცხლი ჩამექრო. [სამხრეთ ოსეთის

ომბუდსმენის ჩარევის შედეგად ICRC-იმ ეს ორი მამაკაცი თბილისში გადმოიყვანა, სადაც ისინი საკუთარ ოჯახებს შეუერთდნენ.]

21 აგვისტოს, თბილისის საავადმყოფოში Amnesty International-ი ესაუბრა "რევაზს", რომელმაც ფიზიკური დაზიანებები მიიღო გორის ძარცვის დროს, ზავის გამოცხადებიდან მცირე ხანში:

მაროდიორების ჯგუფები და მილიცია გამუდმებით ისროდა გორში. ისინი იპარავდნენ ყველაფერს, რაც ხვდებოდათ. სამი "ბოევიკი" ჩემს მანქანას ესროდა. მე თირკმელში დავიჭერი. გვერდით მიმავალი ერთი პიროვნებაც დაიჭრა.

3.5.2 ხანძარი და მაროდიორობა: კონფლიქტამდე პრო-ქართული *დე ფაქტო* ხელისუფლების ადმინისტრაციული კონტროლის ქვეშ მყოფი ქართველებით დასახლებული სოფლები

Amnesty International-მა დააფიქსირა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების და შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ ფართომასშტაბიანი ძარცვის და ხანძრის გაჩენის ფაქტები ქართულ სოფლებში, რომლებიც კონფლიქტამდე პრო-ქართული "დე ფაქტო" ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. თვითმხილველთა მონათხრობი, Amnesty International-ის დაკვირვება, თანამგზავრიდან გადაღებული მასალა, რომელიც მოიპოვა Amnesty International-მა, ადასტურებს მრავალ დასახლებაში მასიურ ნგრევებს, რომლებიც ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ მოხდა.

ძარცვა და ხანძრის გაჩენა კონცენტრირებული იყო ცხინვალის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე ქართულ სოფლებზე, რომლებიც კონფლიქტის დაწყებამდე ასოცირებული იყო თბილისის მხარდაჭერით მოქმედ, ალტერნატიულ ადმინისტრაციასთან, დიმიტრი სანაკოევის ხელმძღვანელობით. განსაკუთრებით მძიმედ დაზიანდა სოფლები ქეხვი, ქურთა, ქვემო აჩაბეთი, ზემო აჩაბეთი, თამარაშენი, ერგნეთი, ქემერტი, ბერულა და ერედვი.[49] საქართველოს ოფიციალური წყაროების მიხედვით, ქურთას, თიღვის და ერედვის მოსახლეობა დაახლოებით 14,500 ადამიანს შეადგენდა და კონფლიქტის შედეგად თითქმის სრულად იქნა იძულებით გადაადგილებული. 26 სექტემბრისთვის საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ამ დასახლებებიდან 13,260 იძულებით გადაადგილებული პირი ჰყავდა რეგისტრირებული.[50]

სამხრეთ ოსეთში მდებარე ზოგიერთ ქართულ სოფელში სახლების და საკუთრების ხელყოფა მოხდა საომარი მოქმედებების დასრულების შემდგომ და არა მათ შედეგად. თანამგზავრული გადაღება, რომელიც Amnesty International-ს მოაწოდა ამერიკის სამეცნიერო განვითარების ასოციაციამ, აჩვენებს, რომ 10 აგვისტოს თამარაშენში არანაირი ნგრევა არ ყოფილა. თუმცა 19 აგვისტოს გადაღებულ თანამგზავრულ ფოტოებზე თამარაშენში 152 დაზიანებული შენობა ჩანს.[51] იმ დროისთვის, როდესაც Amnesty International-ის წარმომადგენლებმა შეძლეს ამ სოფლების

მონახულება აგვისტოს ბოლოს, ისინი ფაქტობრივად ცარიელი იყო და მხოლოდ რამდენიმე შენობა იყო მთელი.

ქართული ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ მყოფი სოფლების ფართომასშტაბიანი ძარცვა გრძელდებოდა საომარი მოქმედებების დასრულებიდან დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში. 13-14 აგვისტოს თვითმხილველების მონაყოლი ავლენს მხოლოდ მცირე რაოდენობის ძარცვას, მაგრამ თითქმის ორი კვირის შემდეგ, 26 აგვისტოს იგივე სოფლებში ვიზიტისას Amnesty International-ის წარმომადგენლები თვითონ გახდნენ ძარცვის და მაროდიორობის მოწმეები.

Amnesty International-ის მიერ გამოკითხული თვითმხილველების თქმით, ქართული ადმინისტრაციის ქვეშ მყოფ სოფლებში რუსული შეიარაღებული ძალების შესვლის დროს სოფლებში იმყოფებოდა მხოლოდ რამდენიმე ათეული მოსახლე, ძირითადად მოხუცები და უმწეოები, ან ისინი, ვისაც საკუთარი სახლების მიტოვება არ უნდოდა. სამხრეთ ოსეთის სოფელ ქურთას მკვიდრმა ერთ-ერთმა ასეთმა პიროვნებამ, მოხუცმა ქალბატონმა ნინამ უამბო Amnesty International-ს:

სამხედრო ფორმაში ჩაცმული მამაკაცები ბაღებში დადიოდნენ. ისინი რუსულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ რუსი ჯარისკაცები არ იყვნენ. ჩემი აზრით ისინი იყვნენ ოსები, ჩეჩნები, აზიელები, შეიძლება უზბეკები და კაზაკები. მათ ყველას ერთნაირი ფორმები ეცვათ და "კალაშნიკოვებით" იყვნენ შეიარაღებულები. მათ ქურთაში დაახლოებით 15 სახლი დაწვეს და სატვირთო მანქანებით საქონელი წაიყვანეს. ქურთას რომ ვტოვებდით, დავინახეთ როგორ იტაცებდნენ ჩვენს ორ მეზობელს. მაროდიორებმა ისინი მანქანაში ჩატენეს. ჩვენ ქურთა დავტოვეთ ფეხით 13 აგვისტოს. ერედვში ჩავედით ხეითის გავლით. ერედვში ვნახეთ მოკლული მამაკაცი, ქალი და ორი ბავშვი. გზა გავაგრძელეთ და ჩავედით სოფელ დიცში (სამხრეთ ოსეთის გარეთ). დიცში მოკლულები არ მინახავს, მაგრამ ზოგიერთი სახლი დამწვარი იყო. ჩვენ გავცდით დიცს და ჩავედით ტირძნისში. იქაც უამრავი დამწვარი სახლი და ქუჩაში მიყრილ-მოყრილი ნივთები ვნახეთ. დამე იქ გავათენეთ და შემდეგ გავაგრძელეთ გზა ტყვიავისკენ. იქაც უამრავი მოკლული ვნახეთ, მანქანების და მიკრო-ავტობუსების ქვეშ. ყველა მოკლული მშვიდობიანი მოქალაქე იყო, მოკლული ქართველი ჯარისკაცები მე იქ არ მინახავს...."

© Amnesty International- ნინა ქურთადან, იძულებით გადაადგილებულთა ცენტრში თბილისში, საქართველო, 2008
წლის 22 აგვისტო

არსებული ინფორმაციით, 13 აგვისტოს რუსმა ჯარისკაცებმა მხოლოდ გზები გადაკეტეს და საკონტროლო-გამშვები პუნქტები გახსნეს ამ სოფლების შესასვლელ-გასასვლელებში. 24 აგვისტოს Amnesty International-ის წარმომადგენლებმა თავად ნახეს, რომ ამ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს აკონტროლებდნენ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები. ისინი აკონტროლებდნენ ამ სოფლების შესასვლელ-გასასვლელებს და მთავარ გზას, რომელიც ცხინვალიდან ჩრდილოეთით მიემართება. 27 აგვისტოს ჯავიდან ცხინვალში მგზავრობისას Amnesty International-ის წარმომადგენლებმა ნახეს სრული ნგრევის ფაქტები, გაძარცვული და გადამწვარი სახლები. ხელუხლებელი ჩანდა მხოლოდ რამდენიმე ახალი შენობა და ადგილობრივი პარკი. ქურთაში, დიმიტრი სანაკოევის ალტერნატიული ადმინისტრაციის შენობასთან Amnesty International-ის წარმომადგენლებმა ნახეს ორი მამაკაცი, რომლებიც საოფისე ავეჯს სატვირთო ავტომობილზე აწყობდნენ. Amnesty International-ის წარმომადგენლებს 27 აგვისტოს ზემოთ ნახსენებ სოფლებში არ უნახავთ ადგილობრივი მოსახლეობა; იქ არ იმყოფებოდნენ არც რუსი სამხედროები.

ამ სოფლებიდან იძულებით გადაადგილებულთა გარკვეული ნაწილი ფეხით ჩავიდა გორში აგვისტოს ბოლოს. ცხინვალიდან 18 კილომეტრის დაშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე, ქართულ-ოსური სოფლის, ბელოთის მკვიდრმა ქალბატონმა ირამ Amnesty International-ს გორში განუცხადა:

9 აგვისტოს ბელოთში ოსური მილიცია შემოვიდა. სროლა დაიწყეს დაახლოებით ნაშუადღევს პირველ საათზე. მათ დაჭრეს სოფლის პოლიციელი და მოითხოვეს ყველანაირი იარაღის მათთვის ჩაბარება. სროლის ხმაზე სოფლის ახალგაზრდობა ტყეში გაიქცა, და მთელი სოფლის მოსახლეობა მიმოიფანტა. ჩვენ აღმოვჩნდით სოფლის მეორე მხარეს, ტყეში და იქიდან ვუყურებდით მომხდარს. იგივე დღეს ოსურმა მილიციამ ცეცხლი წაუკიდა და დაწვა სახლები ჩვენ დავინახეთ, როგორ მიჰქონდათ ოს მილიციონერებს ყველაფერი სატვირთო მანქანებით. ამის შემდეგ ისინი სახლებს წვავდნენ. სოფელში დარჩნენ მხოლოდ მოხუცები და უმწეოები, მაგრამ ამ ადამიანებსაც ოსები ეუბნებოდნენ 'წადით აქედან! ჩვენ აქ ქართველები არ გვჭირდება. ჩვენ თქვენს სახლებს ვწვავთ, რომ თქვენი შვილები აქ აღარ დაბრუნდნენ' რუსებს ჩვენ არ შევუწუხებივართ, მხოლოდ ოსური შეიარაღებული დაჯგუფებები იყვნენ ადგილობრივი ოსური მოსახლეობაც კი მათ შეუერთდა, ადამიანები ადგილობრივი ადმინისტრაციიდან, რომლებსაც მე ვიცნობდი.

ცხინვალიდან აღმოსავლეთით მდებარე სოფელ დისევის მკვიდრმა ორმა ქალბატონმა განუცხადა Amnesty International-ს:

მე ვხედავდი, როგორ ანადგურებდნენ ჩვენ სახლებს რუსები და ოსები. რუსულმა თვითმფრინავებმა დაბომბეს სოფლები და შემდეგ მოვიდნენ ჯარისკაცები. მათ ერთ-ერთი ადგილობრივი მამაკაცი გამოიყვანეს, ცემეს და მოკლეს. დაიწყეს ყველა სახლის ძარცვა ეს იყო გამიზნული ძარცვა და შემდეგ დაწვა. რუსი ჯარისკაცები ძარცვაში არ მონაწილეობდნენ, ისინი უბრალოდ იდგნენ საკონტროლო-გამშვებ პოსტებზე და უყურებდნენ, როგორ იძარცვებოდა სოფელი.

მათ მხოლოდ ქართველების სახლები გაანადგურეს. შერეული ოჯახების სახლები გადარჩა, დანარჩენი სრულად დაწვეს ოსებმა და რუსებმა არ ვიცი, ის რუსები კაზაკები იყვნენ თუ არა შავგრემანი ადამიანები იყვნენ, სამხედრო ფორმაში და ზოგ მათგანს ნიღაბი ეკეთა. მათ მოკლეს ჩემი მეზობელი, რომელმაც მათი შეჩერება სცადა ყველაფერი გამოჰქონდათ სახლებიდან და შემდეგ სახლებს წვავდნენ ჩემს მეზობელს ოსი ცოლი ჰყავდა და მის სახლს არ შეხებიან. მათი მიზანი ის სახლები იყო, სადაც ჯარისკაცები, ან პოლიციელები ცხოვრობდნენ.

შერეული ქართულ-ოსური დასახლებების კიდევ ერთ არეალში, სოფლებში ავნევსა და ნულში, Amnesty International-მა იხილა მსგავსი სურათი. სახლების უმეტესობა გაძარცული და დამწვარი იყო, თუმცა ნგრევის დონე შედარებით დაბალი იყო. ზოგიერთი სახლის ჭიშკარზე Amnesty International-ის წარმომადგენლებმა იხილეს წარწერები "ირონ" ("ოსები") და "ზანიატო" ("დაკავებულია"). ეს სახლები გაძარცული იყო, მაგრამ არა დამწვარი ან დანგრეული. Amnesty International-ის წარმომადგენლებმა ნახეს, რომ ქართველების ზოგიერთ სახლში ნამდვილად ოსები იმყოფებოდნენ, ხოლო ზოგიერთი სახლი, რომელიც ეკუთვნოდა ადგილობრივი ოსების მეგობრებს, ან ნათესავებს, არ დაუზიანებიათ. ზოგიერთი სახლის ეზოებში ჩანდა ქათმები, მაგრამ მსხვილფეხა საქონელი არ ჩანდა. სოფელ ნულში Amnesty International-ის წარმომადგენლებმა ნახეს

მძარცველები, რომლებიც ნადავლს სატვირთო მანქანაზე დებდნენ. ეს დაკვირვება ეთანხმება მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.[52]

26 აგვისტოს, სოფელ ერედვში, Amnesty International-ის წარმომადგენლები შეესწრნენ შეიარაღებული ადამიანების მიერ ძარცვის და მაროდიორობის ფაქტს. ძარცვის პარალელურად რუსული სამხედრო ტექნიკა გადიოდა ერედვზე (ცხინვალიდან დასავლეთის მიმართულებით) და რუსული საკონტროლო-გამშვები პუნქტები აკონტროლებდნენ სოფელში შესასვლელ-გასასვლელს. Amnesty International-ის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს, რომ მოწმდებოდა მხოლოდ მსუბუქი მანქანები (ისიც მცირე რაოდენობით) და არა სატვირთო ავტომობილები და სხვა დიდი ავტომანქანები. საღამოს Amnesty International-ის წარმომადგენლებს შეხვდა სამხედრო ფორმაში ჩაცმულ ადამიანთა ჯგუფი და ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც აღმოჩნდა რუსეთის არმიის ოფიცერი ჩრდილოეთ ოსეთიდან, უთხრა მათ, რომ არ გაემხილათ მათი შეხვედრის შესახებ. შეკითხვაზე, თუ რატომ არ ცდილობდნენ სოფელში ხანძრის ჩაქრობას, მათი პასუხი იყო - "ასეთია პოლიტიკა" ("პოლიტიკა ტაკაია").

3.5.3 კონფლიქტამდე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ მყოფი ქართველებით დასახლებული სოფლები სამხრეთ ოსეთში

Amnesty International-მა იხილა სრულიად განსხვავებული სიტუაცია ქართველებით დასახლებულ სოფლებში, რომლებიც სამხრეთ ოსეთის "დე ფაქტო" კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. 26 აგვისტოს, ორგანიზაციის წარმომადგენლები ეწვივნენ ზნაურის რაიონის სოფლებს ნედალთს და ახალშენს, ცხინვალის დასავლეთით, სადაც ბრძოლები ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა. ახალშენში მოქმედებდა ერთადერთი ქართულენოვანი სკოლა მთელს სამხრეთ ოსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. Amnesty International-ის წარმომადგენლები შეხვდნენ ქართული თემის წარმომადგენლებს ახალშენში, რომლებმაც განაცხადეს, რომ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე წავიდა კონფლიქტის დაწყებამდე, და რომ სოფელში არ დაზიანებულა და გაძარცვულა არცერთი სახლი. სოფლის მოსახლეობაში მსხვერპლი არ ყოფილა. Amnesty International-ის წარმომადგენლებს არ უნახავთ დანგრეული შენობები სოფელში ყოფნის დროს. ახალშენში მყოფი ქართველების თქმით, მაროდიორების მცდელობა, შესულიყვნენ სოფელში აღკვეთა ზნაურის რაიონის ადმინისტრაციამ. თუმცა, სოფლის მოსახლეობა სერიოზულად ნერვიულობდა წყლის მომარაგებასთან დაკავშირებით, მოსავლის აღებასთან დაკავშირებით და იმ ფაქტის გამო, რომ არ იყო შესაძლებელი ტელეფონით კომუნიკაცია ქართულ ქსელებთან, რის გამოც ისინი ვერ უკავშირდებოდნენ მეზობელ სოფლებს.

საერთაშორისო დამკვირვებლების თქმით, რომლებიც ეწვივნენ ახალგორს (ოსებისთვის ლენინგორი), ქალაქს, რომელიც მდებარეობს სამხრეთ ოსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, და სადაც ქართველებიც

და ოსებიც ცხოვრობდნენ. იქ ძარცვის ძალიან ცოტა ფაქტი იყო მომხდარი. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა (UNHCR) შეძლო ახალგორში შესულიყო 29 აგვისტოს და შეიტყო ადგილობრივი სამხედრო ხელმძღვანელისგან, რომ მოსახლეობის დაახლოებით 40%, ქართველებიც და ოსებიც, იძულებით გადაადგილებული იყვნენ; UNHCR-ისთვის მიწოდებული სხვა ინფორმაციით, იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობა 80%-ს აღწევდა.[53] საქართველოს ოფიციალური წყაროების ინფორმაციით, 26 სექტემბრისთვის ახალგორის 7,894 მცხოვრებიდან 2,254 ეთნიკური ქართველი იძულებით გადაადგილებული იყო გორში.[54] მთლიანობაში, ახალგორში შედარებით წყნარი სიტუაცია ასახავს იმ ფაქტს, რომ ფართომასშტაბიანი, გამიზნული ძარცვა და ხანძრის გაჩენა შემოიფარგლებოდა ცხინვალთან ახლოს მდებარე, კონფლიქტამდე "დე ფაქტო" პრო-ქართული ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ მყოფი სოფლებით.

3.5.4 ქართული სოფლები სამხრეთ ოსეთის საზღვრებს გარეთ "ბუფერულ ზონებში"

სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მდებარე ეთნიკური ქართული სოფლებიც ასევე გახდა მაროდიორობის მხვერპლი სამხედრო დაპირისპირების დასრულების შემდეგ, თუმცა აქ ნაკლებად აღინიშნა ნგრევა და ხანძარი. თავდაპირველად, რუსეთის არმიის საქართველოს სიღრმეში შესვლასთან ერთად რეიდები ოპორტუნისტული ხასიათის იყო, ხოლო შემდგომი კვირების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა "ბუფერულ ზონაზე" სრული კონტროლი დაამყარეს, სამხრეთ ოსეთის დაჯგუფებების მხრიდან ძარცვამ და მაროდიორობამ უფრო სისტემატური ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთთან ახლოს მდებარე სოფლებში. 29 და 30 აგვისტოს, Amnesty International-მა მიიღო მრავალი დამოუკიდებელი ინფორმაცია გორში, რომლის მიხედვითაც უსაფრთხოების სიტუაცია "ბუფერულ ზონაში", სოფელ კარალეთში (გორიდან ჩრდილოეთით, 6 კილომეტრის დაშორებით) მკვეთრად გაუარესდა უკანასკნელი დღეების განმავლობაში. რუსმა სამხედროებმა არ მისცეს საშუალება Amnesty International-ის წარმომადგენლებს, შესულიყვნენ კარალეთში და მის იქით მდებარე სოფლებში ორი დღის, 29 და 30 აგვისტოს, განმავლობაში. კარალეთის, ტყვიავის, ფხვენისის და შინდისის ქართულმა მოსახლეობამ განუცხადა Amnesty International-ს, რომ მათ ეშინოდათ სახლებში დაბრუნება, რადგან სოფლებში დარჩენილი მოხუცი ნათესავების მონაყოლით, იმ ადგილებში სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული დაჯგუფებები იდგნენ და არსებობდა აუფეთქებელი ჭურვები.

UNHCR-მა დააფიქსირა იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ნაკადი გორში 26 აგვისტოს. ეს ნაკადი ნაწილობრივ შედგებოდა იმ ადამიანებით, ვინც თბილისიდან ბრუნდებოდა, მაგრამ ვერ შეძლო სახლებში შესვლა "ბუფერულ ზონაში" და ნაწილობრივ იმ მოსახლეობისგან, რომლებიც მანამდე რჩებოდნენ "ბუფერულ ზონაში", მაგრამ გამოიქცნენ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების და

შეიარაღებული დაჯგუფებების მხრიდან დაშინების ახალი ტალღის გამო. ამ ადამიანებმა განუცხადეს UNHCR-ს, რომ ოსური დაჯგუფებების რაოდენობა ქართულ სოფლებში და მათი შეტევების არეალი მკვეთრად გაიზარდა 24 აგვისტოს შემდგომ.[55] UNHCR-მა ასევე დააფიქსირა, რომ მოსახლეობას, რომელიც ცდილობდა გორიდან "ბუფერულ ზონებში" მდებარე საკუთარ სოფლებში დაბრუნებას, აჩერებდნენ რუსულ საკონტროლო-გამშვებ პოსტებზე და ურჩევდნენ უკან დაბრუნებას იქ გამეფებული უკანონობის გამო.[56]

რუსეთი და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია პასუხისმგებლები არიან მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ყველა ადამიანის უსაფრთხოებასა და დაცვაზე. სერიოზული დარღვევები, რომლებსაც შედეგად მოყვა სახლების და კერძო საკუთრების ფართომასშტაბიანი დაზიანება, ადამიანების ცემა და მკვლელობებიც კი, ნათლად აჩვენებენ, რომ ამ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეასრულა ზემოთ ნახსენები ვალდებულება.

მოწინააღმდეგე მხარის საკუთრების დაზიანება, ან მისაკუთრება იკრძალება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით, თუკი ეს არ წარმოადგენს სამხედრო აუცილებლობას (რაც ზემოთ აღწერილ შემთხვევებს ნამდვილად არ ეხება) და მას შეიძლება მიეცეს სამხედრო დანაშაულის კვალიფიკაცია.[57] მარადიორობა (დამპყრობელი არმიის მიერ მოწინააღმდეგის ობიექტებიდან კერძო საკუთრების ძალისმიერი წაღება კერძო ან პირადი მიზნებისთვის გამოსაყენებლად) ასევე იკრძალება საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს[58] და შეიძლება მიეცეს სამხედრო დანაშაულის კვალიფიკაცია.[59]

4. samxedro da samoqalaqo tyveebi

4.1 სამხედრო ტყვეები

სამხედრო ტყვეთა მცირე რაოდენობა ჰყავდათ რუსულ და ქართულ სამხედრო ძალებსაც. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით,[60] საქართველომ დააკავა ხუთი რუსი სამხედრო ტყვე, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების 27 წევრი და ერთი კომბატანტი რუსეთის ფედერაციიდან, მაშინ, როდესაც რუსულ და სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალებს დაკავებული ჰყავდათ 39 ქართველი ჯარისკაცი. რუსულმა და სამხრეთ ოსეთის "დე ფაქტო" ხელმძღვანელობამ არ უპასუხა Amnesty International-ის მიერ დასმულ შეკითხვებს სამხედრო ტყვეების რაოდენობისა და მათი მოპყრობის შესახებ.

Amnesty International-ის წარმომადგენლები შეხვდნენ ყოფილ ქართველ სამხედრო ტყვეს, რომელიც თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში მკურნალობდა კონფლიქტის დროს მიღებული ჭრილობებისგან, და რომელმაც განაცხადა, რომ ის დატყვევებული იყო რუსული სამხედრო ძალების მიერ და ტყვეობის დროს მას კარგად ექცეოდნენ. Amnesty International-ს არ მიუღია ინფორმაცია ქართული მხარის მიერ რუსეთის ან სამხრეთ ოსეთის სამხედრო ტყვეების მიმართ არასათანადო ქცევის შესახებ.

სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების მიერ ტყვედ აყვანილი ზოგიერთი ქართველი ჯარისკაცი ამტკიცებდა, რომ ისინი აწამეს და მათ ცუდად ეპყრობოდნენ ტყვეობის დროს. Amnesty International-ის წარმომადგენლები ესაუბრნენ ორ ქართველ ჯარისკაცს, რომლებიც თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადიოდნენ მკურნალობის კურსს. ორივეს მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი დამწვარი ჰქონდა ძვლამდე. პირველი მათგანი, რიგითი "მალხაზი" ამტკიცებს, რომ ის ტყვედ ჩავარდა ცხინვალში 8 აგვისტოს და ხუთ სხვა ჯარისკაცთან ერთად ცხრა დღე იმყოფებოდა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული დაჯგუფების ტყვეობაში, სანამ ისინი არ გადასცეს რუსულ მხარეს და შემდგომ გაცვალეს. ის ამტკიცებს, რომ ტყვეობის განმავლობაში ის ოთხჯერ გადაიყვანეს სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ადამიანების მეთვალყურეობის ქვეშ. რაღაც მომენტში შემოიყვანეს კიდევ ორი ტყვე, რომელთაგან ერთ-ერთს ესროლეს გვერდით ოთახში და მიატოვეს. მხოლოდ ორი დღის შემდეგ "მალხაზი" და დანარჩენი ტყვეები აიძულეს გაეწმინდათ ოთახი და დაემარხათ მოკლული. "მალხაზის" თქმით, რუსული მეთვალყურეობის ქვეშ გადაყვანის შემდეგ მას გაუწიეს სამედიცინო დახმარება ქართული მხარისათვის მისი გადაცემის წინ. ქართული მხარე ასევე ამტკიცებს, რომ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების მიერ მოკლული იქნა კიდევ ორი ქართველი ჯარისკაცი. Amnesty International-ს არ გააჩნია ინფორმაცია ამ სამი ჯარისკაცის სახელების, ან რიგითი ნომრების შესახებ და ასევე არც მათი სიკვდილის დეტალების გამოძიების შესახებ.

4.2 სამოქალაქო ტყვეები

კონფლიქტის შედეგად სამოქალაქო ტყვეები ჰყავდათ ქართულ მხარესაც და სამხრეთ ოსეთის "დე ფაქტო" ხელმძღვანელობასაც.

ქართული მხარის განცხადებით, სამხრეთ ოსეთის "დე ფაქტო" ხელმძღვანელობას დატყვევებული ჰყავდა 159 ქართველი სამოქალაქო პირი.[61] ეს ადამიანები ცხინვალის პოლიციის მთავარ განყოფილებაში იმყოფებოდნენ სამიდან 10-მდე დღის განმავლობაში, სანამ არ მოხდა მათი ქართული მხარისათვის გადაცემა 19-27 აგვისტოს პერიოდში. 21 აგვისტოს Amnesty International-ის წარმომადგენლები ესაუბრნენ განთავისუფლებული ქართველი ტყვეების პირველი ჯგუფიდან რამდენიმეს. მათი მონათხრობიდან ჩანს, რომ სამოქალაქო პირების დატყვევების პირველი ფაქტები მოხდა 10 აგვისტოს, როდესაც სამხედრო მოქმედებები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. ისინი უმეტესად ახალგაზრდა მამაკაცები იყვნენ. თუმცა, სამოქალაქო პირთა უმრავლესობა დატყვევებული იქნა 13 აგვისტოს შემდგომ, მას შემდეგ რაც ფორმალურად შეჩერდა სამხედრო დაპირისპირება და მიმდინარეობდა ცხინვალის რაიონში მდებარე ქართული სოფლების ძარცვა და ნგრევა. ამ ტყვეთა უმრავლესობა იყვნენ მოხუცები, რომლებსაც არ დაუტოვებიათ სახლები კონფლიქტის დროს. მიუხედავად იმისა, რომ საკამათოა ამ ტყვეთა საკუთარი სახლებიდან წაყვანა მათივე უსაფრთხოებისთვის, მათი იქ დარჩენა სახიფათო იყო ოსური სამხედრო ძალების, დაჯგუფებების და კერძო მოქალაქეების მიერ განხორციელებული კრიმინალური მოქმედებების გამო, რომლებიც მონაწილეობდნენ ქართული სოფლების გადაწვაში და მარადიორობაში.

დაკავებულების მონაყოლით, ტყვეობაში ყოფნის დროს მათ აძლევდნენ საკვებს და ჩაის. მათ არ ჰქონდათ თეთრეული, ან გადასაფარებლები და იმყოფებოდნენ ოთხ საკანში, რომლებიც გადიოდა ღია სასეირნო ეზოში. სასეირნო ეზო უფრო და უფრო გადატვირთული ხდებოდა ახალი დაკავებულების მოყვანასთან ერთად. ტყვეები ამტკიცებენ, რომ მათ აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, მაგრამ ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია, გარდა იმ სიძნელეებისა, რომლებისგანაც განსაკუთრებით იტანჯებოდნენ მოხუცები, სიცხეში, არაკომფორტულად იძულებით ყოფნის გამო. მიუხედავად ამისა, დაკავებულები ამტკიცებენ, რომ ჯანმრთელი ტყვეები გაყავდათ პოლიციის განყოფილებიდან დღის განმავლობაში, სცემდნენ მათ და აიძულებდნენ ცხინვალის ქუჩების ნანგრევებისგან გაწმენდას.

Amnesty International-ის ინფორმაციით, ქართული მხარის მიერ დაკავებული იყო სამოქალაქო პირების მცირე რაოდენობა. Amnesty International-ის წარმომადგენლები ესაუბრნენ ახალგაზრდა ოს მამაკაცს სოფელ ხეთაგუროვოდან, რომლის თქმითაც, ის, მისი მეუღლე და დედა სამი დღის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული ჯერ გორში და შემდეგ თბილისში, მას შემდეგ, რაც ის დაატყვევეს ქართველმა ჯარისკაცებმა 9 აგვისტოს მის სახლთან ახლოს. ამ პიროვნების თქმით, დაკავების პერიოდში მას კარგად ექცეოდნენ.

5. iZulebiT gadaadgileba

5.1 იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობა

UNHCR-ის განცხადებით, კონფლიქტის ზონიდან თავდაპირველად იძულებით გადაადგილებული იყო 192,000 ადამიანი, მათ შორის დაახლოებით 127,000 საქართველოს შიგნით, 30,000 სამხრეთ ოსეთის ფარგლებში და 35,000 სამხრეთ ოსეთიდან ჩრდილოეთ ოსეთში, რუსეთის ფედერაციაში.[62] გაქცევის მიმართულება განსხვავებული იყო, ძირითადად ეთნიკური ხაზების გასწვრივ - ოსები გაიქცნენ ჩრდილოეთით, რუსეთის ფედერაციის მიმართულებით, ხოლო ეთნიკური ქართველები სამხრეთით, საქართველოს სხვა რეგიონებისკენ.

5.2 იძულებით გადაადგილება რუსეთის ფედერაციაში

რუსეთის ფედერაციის მიგრაციის სამსახურის (FMS) მიერ 27 აგვისტოს Amnesty International-ისთვის მიწოდებული ინფორმაციით, რუსეთის საზღვარი გადაკვეთა კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულმა 33,000-მა მოქალაქემ. როგორც გაცხადებული იყო, რამდენიმე ასეულმა ქალმა და ბავშვმა დატოვა სამხრეთ ოსეთი 7 აგვისტომდე, დაძაბულობის ზრდის და ცხინვალის გარშემო ინციდენტების მომატების გამო. მოსახლეობის უმრავლესობა გაიქცა 7-8 აგვისტოს საქართველოს მხრიდან განხორციელებული სამხედრო შეტევის შემდგომ. იძულებით გადაადგილებულთა ნაწილი დაბრუნდა სამხრეთ ოსეთში სამხედრო მოქმედებების დასრულებისთანავე, ასე რომ, ციფრი 33,000 აღნიშნავს უმაღლეს რაოდენობას, რომელიც დაფიქსირდა კონფლიქტის აქტიური მიმდინარეობის დროს.

რუსეთის ფედერაციაში გადახვწილთა უმრავლესობას ჰქონდა რუსული პასპორტები; დანარჩენებს ჰქონდათ ქართული, ან ძველი, საბჭოთა პასპორტები. Amnesty International-მა დაადასტურა, რომ ქართული პასპორტის მქონე მოსახლეობასაც გაეწია ჰუმანიტარული დახმარება ჩრდილოეთ ოსეთში. აგვისტოს ბოლო კვირის განმავლობაში FMS-მა და საგანგებო სიტუაციათა სამინისტრომ (EMERCOM) სცადეს იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დიდი ნაწილის სამხრეთ ოსეთში დაბრუნება. მათ ვინც იმყოფებოდა საჯარო შენობებში, როგორიცაა ბესლანის ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი, უთხრეს, რომ შენობები უნდა დაეტოვებინათ 24-25 აგვისტოს. სამხრეთ ოსეთში ტრანსპორტირება ორგანიზებული იყო EMERCOM-ის მიერ. სექტემბრის დასაწყისისთვის რუსეთის ფედერაციაში გახსნილი ყველა დროებითი საცხოვრებელი ცენტრი დაიხურა და ოსების უმრავლესობა, რომლებმაც თავი რუსეთის ფედერაციას შეაფარა კონფლიქტის დროს, სამხრეთ ოსეთში დაბრუნდა. 2 სექტემბერს UNHCR-მა განაცხადა, რომ იმ ადამიანთა "დიდი უმრავლესობა",

ვინც რუსეთის ფედერაციას შეაფარა თავი, უკვე დაბრუნებული იყო საცხოვრებელ ადგილებში სამხრეთ ოსეთში.[63] მათ, ვისაც სურვილი ჰქონდა ჩრდილოეთ ოსეთში დარჩენილიყო, უნდა ეცხოვრათ ნათესავებთან. რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამსახურების განცხადებით, დაახლოებით 6,800 ადამიანი დარჩა მეგობრებთან და ნათესავებთან ჩრდილოეთ ოსეთში.[64]

Amnesty International-ის დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამსახურები კარგად მომზადებულები დახვდნენ რუსეთის ფედერაციაში დროებით საცხოვრებლად გადასულ, იძულებით გადაადგილებულ პირებს, მათთვის გადაუდებელი სამედიცინო და მატერიალური დახმარების გაწევის მხრივ. ამ ადამიანების უმეტესობამ შეძლო საკუთარ სახლებში დაბრუნება, რომლებიც ან ხელუხლებელი იყო, ან საჭიროებდა მხოლოდ მინიმალურ შეკეთებას, როგორიცაა ფანჯრების ჩასმა. ამ ანგარიშის დაწერის მომენტში ის ადამიანები, ვისი სახლებიც სრულად განადგურდა, სამხრეთ ოსეთში დაბინავდნენ საჯარო შენობებში, ან მეგობრებთან, სარემონტო სამუშაოების განხორციელებამდე. აღდგენითი სამუშაოები და დახმარების გაწევა უკვე დაიწყო. მასალების და მუშახელის დიდი რაოდენობა ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციიდან. თუმცა, მაინც საგანგაშოა ის, თუ როგორ მოესწრება სერიოზულად დაზიანებული სახლების საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობამდე აღდგენა ზამთრის დადგომამდე.

© Amnesty International- საწოლები იძულებით გადაადგილებულთა ცენტრში ჩრდილოეთ ოსეთში, რუსეთის ფედერაცია,
2008 წლის 24 აგვისტო

5.3 იძულებით გადაადგილება საქართველოში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით, 2 ოქტომბრისთვის რეგისტრირებული იყო ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული 131,169 პირი.[65] 23 ოქტომბრისათვის, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ 24,000 პირს არ შეეძლო მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება სამხრეთ ოსეთში, ხოლო 2,000 პირს - ზემო აფხაზეთში. დაახლოებით 10,000 ადამიანი არ იყო დაბრუნებული თავიანთ სახლებში, ყოფილ "ბუფერულ ზონაში", სახლების დანგრევის ან უსაფრთხოების არარსებობის გამო. გარდა ამისა, საქართველოში 1990-იან წლებში იძულებით გადაადგილებული დაახლოებით 220,000 ადამიანთაგან უმეტესობა კვლავ კოლექტიურ თავშესაფრებში ცხოვრობს.[66]

სამხრეთ ოსეთიდან და მისი შემოგარენიდან და აფხაზეთის კოდორის ხეობიდან იძულებით გადაადგილებულთა დიდი უმრავლესობა თავდაპირველად დაბინავდა საჯარო შენობებში საქართველოს დედაქალაქში, თბილისში. სხვები დროებით დაბინავდნენ საქართველოს სხვა რეგიონებში, მაგალითად ბათუმში. უმეტესი მათგანი შესახლებული იქნა სკოლებში და სხვა დაწესებულებებში, 50-დან 200 ადამიანამდე ერთად. ზოგიერთ შემთხვევაში ერთი, ან ორი ოჯახი ერთ ოთახში განთავსდა. გადაადგილებულთა მცირე ნაწილი დროებით დაბინავდა კარვების ბანაკებში და მიტოვებულ საჯარო შენობებში, სადაც არ იყო წყალგაყვანილობა. Amnesty International-ის დაკვირვებით, აგვისტოს ბოლოს საკვების, ტანსაცმლის და სხვა პირველადი სამედიცინო ნივთების განაწილება კარგად იყო ორგანიზებული და სწრაფად ხორციელდებოდა. დიდი მხარდაჭერა გამოიჩინა მრავალმა ინდივიდუალურმა პირმა და კომპანიამ. კონფლიქტის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ ცენტრების უმეტესობას ჰქონდა მედიკამენტების საკმარისი მარაგი ისეთი დაავადებებისთვის, როგორიცაა დიაბეტი, ასთმა და ჰიპოტონია.

© Amnesty International- იძულებით გადაადგილებულთა ბანაკი გორთან ახლოს, საქართველო, 2008 წლის 29 სექტემბერი

მიუხედავად იმისა, რომ 8-12 აგვისტოს წამოსულ გადაადგილებულთა პირველი ტალღის მოთხოვნებზე რეაგირება მთლიანობაში ადეკვატური იყო, ჯერ კიდევ შემაშფოთებელია იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლებენ დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს. ეს ეხება გორს და მის შემოგარენს, სადაც, ქართული მხარის მონაცემებით, 248 კარავში იმყოფება 2,300 იძულებით გადაადგილებული პირი, რომელთა შორის 700 ჩვიდმეტ წლამდე ბავშვია.[67] Amnesty International-ის წარმომადგენლები ეწვივნენ გორს 29-30 აგვისტოს და დაათვალიერეს ქალაქის ცენტრში, საფეხბურთო მოედანზე UNHCR-ის მიერ ორგანიზებულ კარვების ბანაკში და სკოლებში და საბავშვო ბაღებში დროებით განთავსებულ იძულებით გადაადგილებულთა საცხოვრებელი პირობები. Amnesty International-ის დაკვირვებით, ამ ადგილებში ჩასახლებულ ადამიანთა ძირითადი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული იყო: რიგდებოდა დიდი რაოდენობით სხვადასხვა საკვები პროდუქტები. თვით იძულებით გადაადგილებულმა პირებმაც განაცხადეს, რომ მათი პირველადი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული იყო. თუმცა, დასაფიქრებელია გადაადგილებულ პირთა რაოდენობის ზრდა და მათთვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ადგილების მოძებნა სასკოლო წლის დაწყების და შემოდგომის და ზამთრის დადგომის გამო.

გორში კონცენტრირებულ იძულებით გადაადგილებულ ადამიანთა რაოდენობის სტაბილური ზრდა რამდენიმე ფაქტორით იყო გამოწვეული. აგვისტოს ბოლო კვირას გადაადგილებულებს დაემატა ის ადამიანები, ვინც

“ბუფერული ზონა” დატოვა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული დაჯგუფებების შეტევების გამო. ასევე, დაემატა ის ადამიანები, ვინც მანამდე თბილისს შეაფარა თავი, მაგრამ უშედეგოდ სცადა “ბუფერულ ზონაში” საკუთარ სახლებში დაბრუნება და დარჩა გორში. მესამე ფაქტორი იყო იმ პირების უკან დაბრუნება გორში, რომლებიც თბილისში ნათესავ-მეგობრებთან მეტ ხანს ვეღარ გაჩერდებოდნენ. მეოთხე ფაქტორი - თბილისში დროებით ჩასულთა ნაწილი დაბრუნდა გორში ნათესავების და მეგობრების მოსაძებნად და საცხოვრებლის მათთან ახლოს მოსაძებნად. UNHCR-ის მონაცემებით, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის რაოდენობა 5 სექტემბერს იყო 6,400, აქედან: 1,600 ცხოვრობდა კარვების ბანაკში, დაახლოებით 2,400 გორში დარჩენილ ოჯახებში, ხოლო 2,400 კოლექტიურ ცენტრებში.[68] საქართველოს ოფიციალური წყაროებით, 2 ოქტომბერს გორში იმყოფებოდა 10,600 იძულებით გადაადგილებული პირი (2,300 ცხოვრობდა კარვების ბანაკში, 2,300 ადმინისტრაციულ შენობებში და საბავშვო ბაღებში და 6,000 კი 1,200-მდე კერძო ბინაში).[69] ოქტომბრის ბოლოსთვის კარავი აიღეს და იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვმა გორის კოლექტიურ ცენტრებში იკლო 2,700-მდე, საიდანაც 500 კვლავ მასპინძელ ოჯახებში აგრძელებს ცხოვრებას. ამ კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი უმრავლესობა კვლავ ცხოვრობდა თბილისში: 20,000 კოლექტიურ ცენტრებში და 10,000 მასპინძელ ოჯახებში.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა გადაადგილებული პირის საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება პრიორიტეტი უნდა იყოს, საჭიროა მოინახოს გამოსავალი იმათთვის, ვინც კვლავ რჩება გორში, თბილისში და სხვა რეგიონებში. Amnesty International-ი აღიარებს იძულებით გადაადგილებული ყოველი პიროვნების უფლებას დაუბრუნდეს საცხოვრებელ ადგილს, უსაფრთხოების და ღირსების დაცვით. ეს უნდა მოხდეს ისე, რომ დაბრუნებულებმა იცხოვრონ საშიშროების გარეშე და ადამიანის ღირსების მოთხოვნების შესაბამის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პირობებში. დაბრუნებასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ძალდატანების გარეშე და უნდა ეფუძნებოდეს ინფორმირებულ არჩევანს; როდესაც შესაძლებელია და მისაღებია, უნდა მოხდეს ადგილობრივი ინტეგრაცია ან ქვეყნის სხვა რაიონში გადასახლება. უფრო მეტიც, ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაკმაყოფილება არ უნდა შეფერხდეს, სანამ დაბრუნება პოლიტიკურად შესაძლებელი არ გახდება. საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ სრულად დაკმაყოფილდეს იძულებით გადაადგილებულთა უფლებები ცხოვრების ადეკვატურ პირობებზე, ჯანმრთელობასა და განათლებაზე, იმ პერიოდში სანამ მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება უსაფრთხო და ღირსეული არ გახდება. სახელმწიფოს მთავრობა პასუხისმგებელია ამ უფლებების დისკრიმინაციის გარეშე, თანდათანობით დაკმაყოფილებაზე იძულებითი გადაადგილების პერიოდის განმავლობაში.

გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების საკითხებში ვალტერ კელინმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ დაბრუნების წარმატებული პროცესისთვის აუცილებელია შემდეგი სამი ელემენტი: “(i) დაბრუნებულების სიცოცხლის

და ფიზიკური მთლიანობის უზრუნველყოფა; (ii) გადაადგილებულ პირთათვის მათი საკუთრების დაბრუნება და მათი სახლების აღდგენა და (iii) ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს დაბრუნებას და რეინტეგრაციას, რაც ნიშნავს შესაბამის პირობებში ცხოვრებას, შემოსავლის დაგროვების შესაძლებლობების, არა-დისკრიმინაციის და პოლიტიკური აქტივობის შესაძლებლობების ჩათვლით".[70]

საქართველოს და აფხაზეთის შეიარაღებული დაპირისპირების შედეგად დაახლოებით 2,500 ადამიანს მოუწია იძულებით გადაადგილება აფხაზეთის ზემო კოდორის ხეობიდან, რომელიც აფხაზეთის ერთადერთი რაიონი იყო საქართველოს კონტროლის ქვეშ, სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყებამდე. UNHCR-მა ვერ მოახერხა ამ ტერიტორიაზე მოხვედრა 7 სექტემბრამდე უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის, ამინდის გაუარესების და საცხოვრებელი პირობების არარსებობის გამო.

დაბრუნების პერსპექტივები მკვეთრად განსხვავდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1990 წელს არსებული საზღვრების შიგნით და მის გარეთ, ეგრეთ წოდებულ "ბუფერულ ზონაში". დაბრუნება სამხრეთ ოსეთის ზემოთ ნახსენებ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი თბილისის მხარდაჭერის მქონე დიმიტრი სანაკოევის ადმინისტრაციის მიერ ადრე კონტროლირებად სოფლებში საკმაოდ არარეალურია. ასეთი სოფლები გაძარცული და დანგრეულია.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთთან მდებარე "ბუფერულ ზონებს", მიუხედავად იმისა, რომ 13 აგვისტოს რუსეთი დათანხმდა ჯარების გაყვანას კონფლიქტამდე არსებულ პოზიციებზე, რუსული სამხედრო ძალები და რუსეთის მიერ კონტროლირებადი საკონტროლო-გამშვები პუნქტები ადგილზე იყვნენ სექტემბრის დასაწყისამდე. 8 სექტემბერს, რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი დათანხმდა სამხედრო ძალების გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან (სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან) ევროკავშირის მონიტორების ჩამოსვლიდან ერთი თვის განმავლობაში. სექტემბრის შუა რიცხვებში UNHCR-ი აცხადებდა გორთან ახლოს, "ბუფერულ ზონაში" არსებულ დასახლებებში დაბრუნების მაღალი მაჩვენებლის შესახებ. მაგალითად, 12 სექტემბრისთვის სოფელ კარალეთში დაბრუნდა მოსახლეობის 80 პროცენტი. დაბრუნების მაჩვენებელი "ბუფერული ზონის" ჩრდილოეთ ნაწილში ბევრად ნაკლები იყო. მაგალითად, სოფელ ქიწნისში მოსახლეობის 10 პროცენტზე ნაკლები დაბრუნდა.[71] 19 სექტემბერს UNHCR-მა გამოაცხადა საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ოპერაციის დასრულება და საქართველოში მისი მოქმედება გადავიდა "სტაბილურ საოპერაციო ფაზაში".[72] UNHCR-ის 14 ოქტომბრის მონაცემებით, რუსეთის სამხედრო ძალების გასვლასთან ერთად "ბუფერულ ზონაში" დაბრუნდა 20,000 ადამიანი.[73] შედეგად, სახლებში დაბრუნებულ ქართველთა საერთო რაოდენობამ 80,000-ს მიაღწია. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებების და იძულებით გადაადგილებულთა საკითხებში გაეროს წარმომადგენელმა ვალტერ კელინმა ოქტომბრის დასაწყისში საქართველოში ვიზიტისას განაცხადა, რომ "ბუფერულ ზონებში" მოსახლეობის დაცვა ეფექტურად არ ხორციელდებოდა.[74]

დაბრუნების უფლების განხორციელებას ხელს უშლის უსაფრთხოების დარღვევის ორი ძირითადი რისკი. როგორც აღნიშნულია ზემოთ, ბევრი ქართველი, რომელსაც სურს სახლში დაბრუნება "ბუფერულ ზონაში", ვერ ბრუნდება იქ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული დაჯგუფებების მხრიდან ძარცვისა და უკანონო ქმედებების გამო. სექტემბრის თვის განმავლობაში ეს საფრთხე რჩებოდა ზოგიერთ რაიონში. მეორე რისკი მათთვის, ვინც ცდილობს დაბრუნებას, არის აუფეთქებელი საარტილერიო ჭურვების არსებობა კონფლიქტის რაიონებში. კასეტური ბომბების შემადგენელი ნაწილები საფრთხეს უქმნის მოქალაქეებს მათი მოქმედებაში მოყვანიდან დიდი ხნის შემდეგ. საჭიროა არსებობდეს ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად მოხდა მათი გამოყენება, რათა გაადვილდეს გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება.

რამდენიმე ჰუმანიტარული ორგანიზაციის განცხადებით, მათ შეექმნათ "ბუფერულ ზონებში" შესვლის პრობლემა აგვისტოში. 26 აგვისტოს, და შემდეგ 29 აგვისტოს, UNHCR-ი აცხადებდა, რომ მას არ მიეცა საშუალება შესულიყო "ბუფერულ ზონაში"; ICRC-იც აცხადებდა, რომ მას არ უშვებდნენ "ბუფერულ ზონაში" ერთი კვირის განმავლობაში.[75] ICRC-ის ინფორმაციით, მათ შეძლეს გორის გარშემო მდებარე სოფლების მონახულება 27 აგვისტოდან.[76] 4 ოქტომბერს, გაეროს წარმომადგენელმა, ვალტერ კელინმა, შეშფოთება გამოთქვა, რომ არ იყო უზრუნველყოფილი სამედიცინო დახმარების შეუფერხებელი მიწოდება ცხინვალში და კონფლიქტისგან დაზარალებულ ადგილებში. მან მოითხოვა კონფლიქტის ყველა მონაწილისგან თავისუფალი შესვლის უფლების მინიჭება ჰუმანიტარული ორგანიზაციებისათვის ყველა რაიონში, რათა მათ საშუალება მისცემოდათ, მიეღწიათ იძულებით გადაადგილებულ ადამიანებამდე და რისკის ქვეშ მყოფ სხვა მოქალაქეებამდე დაგვიანების გარეშე, და მოუწოდა ყველას, თავი შეეკავებინათ ისეთი ქმედებებისაგან, რომელიც ხელს შეუშლიდა ამ მოთხოვნების შესრულებას.[77]

© Amnesty International- იძულებით გადაადგილებული ადამიანები ყოფილ სამხედრო დაწესებულებაში, თბილისი, საქართველო. დაწესებულება გადაკეთებულია ქვეყნის შიგნით
იძულებით გადაადგილებულთა ცენტრად, 2008 წლის 20 აგვისტო

6. saerTaSoriso monitoringis misiebi

კონფლიქტამდე სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო დამკვირვებლები წარმოდგენილი იყვნენ ეუთოს (ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის) რვა სამხედრო დამკვირვებლით ცხინვალში. მათ კონფლიქტამდე დატოვეს ცხინვალი, სადაც ვედარ შეძლეს დაბრუნება. ასეთი იყო მდგომარეობა ამ ანგარიშის მომზადების დროს. გაეროს 134 სამხედრო დამკვირვებელი, რომლებიც მუშაობდნენ აფხაზეთში, როგორც საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) წარმომადგენლები, დარჩნენ რეგიონში მთელი კონფლიქტის განმავლობაში. მათი ექვსთვიანი მანდატი განახლდა 9 ოქტომბერს ოთხი თვით, 2009 წლის 15 თებერვლამდე.[78] კვლავ მიმდინარეობს მსჯელობა UNOMIG-ის ფორმატისა და მანდატის გადახედვაზე იმის გათვალისწინებით, რომ მოხდა კონფლიქტი და რომ რეგიონში მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსული სამხედრო ძალების რაოდენობა.

საფრანგეთის შუამდგომლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი შეთანხმების შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო დამკვირვებლების განთავსების შესახებ მოლაპარაკებების წარმოებაში. 19 აგვისტოს, ეუთოს მუდმივმა საბჭომ დაავალა კიდევ 20 სამხედრო დამკვირვებელს (უკვე არსებულ რვა დამკვირვებელთან ერთად) სამხრეთ ოსეთის მიმდებარე, რუსეთის მიერ კონტროლირებად, ტერიტორიაზე გამგზავრება და მუშაობა, მომდევნო კვირების განმავლობაში დამკვირვებელთა საერთო რაოდენობის 100-მდე გაზრდის პერსპექტივით.[79] 18 სექტემბერს სამხრეთ ოსეთში ეუთოს დამკვირვებლების გაგზავნის და მათი რაოდენობის შესახებ მოლაპარაკება საბოლოოდ ჩაიშალა რუსეთის მიერ ვეტოს გამოყენების გამო.

15 სექტემბერს, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოში 1 ოქტომბრისათვის სადამკვირვებლო მისიის გაგზავნის შესახებ, როგორც იყო შეთანხმებული რუსეთის, საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობებს შორის. ოქტომბრის მეორე კვირისათვის საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებელთა რაოდენობამ 200-ს მიაღწია. დაგეგმილია მათი რაოდენობის გაზრდა 352-მდე. რადგან შეთანხმება არ ითვალისწინებდა ევროკავშირის მონიტორების შესვლას სამხრეთ ოსეთში, ისინი ამჟამად მოქმედებენ მხოლოდ მიმდებარე რაიონებში და მათი მანდატი მოიცავს სიტუაციის მონიტორინგს ტერიტორიაზე და ზომებს, რომლებიც მიმართულია ნდობის აღდგენაზე. თუმცა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიზანია, მოახდინოს უსაფრთხოების დაცვისა და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ექვსი პუნქტის შესრულების მონიტორინგი, მათ ასევე აქვთ მანდატი გააკონტროლონ, თუ რამდენად სრულდება ადამიანის უფლებების დაცვა, სამართლებრივი ნორმების დაცვა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების ამოცანა. მისიაში მუშაობს რამდენიმე ექსპერტი ადამიანის

უფლებათა დაცვის საკითხებში. ეუთოს და ევროკავშირის მისიები არ არიან ვალდებულნი, საჯაროდ განაცხადონ მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია.

რადგან არსებობს წუხილები კონფლიქტით დაზარალებულ რაიონებში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, Amnesty International-ი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო მონიტორინგის მისიებს უნდა ჰქონდეთ ყველგან, მათ შორის, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შესვლის უფლება, და რომ მათი მანდატის მნიშვნელოვან კომპონენტს უნდა შეადგენდეს ადამიანის უფლებების მონიტორინგი და რეგულარული საჯარო ანგარიშების წარმოდგენა.

კონფლიქტის შემდგომ საქართველოში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც განათავსეს რამდენიმე სპეციალური მისია. გაეროს გენერალურმა მდივანმა გაგზავნა ჰუმანიტარული შეფასების მისია საქართველოში 17-20 აგვისტოს, რომელსაც ხელმძღვანელობდა გაეროს ჰუმანიტარული საკითხების კოორდინაციის ოფისი და რომელშიც მონაწილეობდნენ UNHCR-ს, გაეროს განვითარების პროგრამის და ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარიატის ექსპერტები. მისიის მიზანი იყო შეესწავლა ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებული მდგომარეობა. გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის საკითხებში ეწვია საქართველოს 1-4 ოქტომბერს.

ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა და მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იმოგზაურა თბილისში 11-13 აგვისტოს. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმა ორჯერ მოინახულა რეგიონი, მათ შორის სამხრეთ ოსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი, აგვისტოსა და სექტემბერში. მისი ვიზიტის მიზანი იყო დაკავებულ პირთა გაცვლის საკითხის მოგვარება და გადაუდებელი ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების დაცვისათვის ექვსი პრინციპის შემუშავება.[80] ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოში მიავლინა ფაქტების შემსწავლელი მისია 22-25 სექტემბერს. მისიამ მიიღო რეზოლუცია 1633, სადაც სხვა საკითხებთან ერთად მოთხოვნილი იყო "დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიების" ჩატარება იმის დასადგენად, თუ როგორ დაიწყო კონფლიქტი და როგორ ახორციელებდნენ მხარეები საომარ მოქმედებებს.[81] საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტი რეზოლუციის განხორციელების შესახებ ანგარიშს წარადგენს ასამბლეის 2009 წლის იანვრის სხდომაზე, ხოლო მიგრაციის, ლტოლვილთა და მოსახლეობის კომიტეტი წარადგენს ანგარიშს საქართველოს და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარულ შედეგებზე.

7. pasuxismgebloba adamianis uflebaTa saerTaSoriso samarTlis normebis darRvevebis gamo

7.1 სახელმწიფო გამოძიების და მოკვლევის საკითხები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სავარაუდო დარღვევის ფაქტების გამოძიება პირველ რიგში კონფლიქტის მონაწილე მხარეების პასუხისმგებლობაა. ამ ანგარიშში მოცემული და სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ კონფლიქტის მიმდინარეობის დროს და მისი დასრულების შემდგომ ყველა მხარის მიერ სერიოზულად დაირღვა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმები. აქედან გამომდინარე, Amnesty International-ი ყველა მხარეს მოუწოდებს უზრუნველყოფილი იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური, სწრაფი და სიღრმისეული გამოძიების ჩატარება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზული დარღვევების ფაქტებთან დაკავშირებით. პასუხისმგებელი პირები უნდა გასამართლდნენ სამართლიანობის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

საქართველოს და რუსეთის პროკურატურებში დაწყებულია კონფლიქტის მიმდინარეობის დროს დარღვევების ფაქტების გამოძიება. ჯერ-ჯერობით არც ერთი გამოძიების შედეგად ბრალი არავის არ წაყენებია.

2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ დაწყებული იყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 411-ე და 413-ე მუხლების შესაბამისად, რაც ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამიზნულ დარღვევას, სამოქალაქო საკუთრების უკანონო მითვისების და განადგურების ჩათვლით. გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ გამოძიება არ არის მიმართული კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარის წინააღმდეგ, და რომ ის ეხება კანონის დარღვევის ყველა ფაქტს, დამნაშავის წარმომავლობის მიუხედავად. საქართველოს მთავრობამ განაცხადა მზადყოფნა ითანამშრომლოს საომარი მოქმედებების დროს მომხდარი ფაქტების საერთაშორისო გამოძიებებთან.

2008 წლის 14 აგვისტოს რუსეთის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტმა გამოაცხადა "გენოციდის ფაქტის გამოძიება, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ეხებოდა ქართველი ჯარისკაცების მიერ სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების - ეთნიკური ოსების - მკვლელობებს.[82] ცოტა მოგვიანებით, აგვისტოში Amnesty

International-მა მიიღო ინფორმაცია, რომ გენერალურმა პროკურატურამ ორი საქმე გახსნა - პირველი ეხებოდა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს და მეორე რუსეთის სამხედრო ძალების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს. დღემდე არ ყოფილა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის პროკურატურა ასევე იძიებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაძლო დარღვევებს რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ კონფლიქტის განმავლობაში.

2008 წლის 26 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში შეიქმნა საგამოძიებო კომისია ომის ყველა ასპექტის გამოსაძიებლად, მისი გამომწვევი მიზეზების და ყველა მონაწილე მხარის მიერ წარმოებული საომარი მოქმედებების ჩათვლით. საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება იხელმძღვანელოს კომისიის დასკვნებით. 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთის სამოქალაქო პალატამ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან შემდგარმა სახელმწიფო ინსტიტუტმა, შექმნა სამოქალაქო საგამოძიებო კომისია სამხრეთ ოსეთში ომის დანაშაულების და სამოქალაქო მსხვერპლთა დახმარების საკითხებზე.

7.2 საერთაშორისო გამოძიებები

კონფლიქტის ყველა მხარის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევაზე ბრალდებების, და კონტრბრალდებების ფონზე, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ სახელმწიფო საგამოძიებო საქმეების ობიექტურობაზე, ორგანიზაცია Amnesty International-ი მოუწოდებს აღნიშნულთან დაკავშირებით შეთანხმდნენ, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ შექმნას სრული საგამოძიებო (ფაქტების დამდგენი) კომისია, რომელიც გულდასმით შეისწავლის კონფლიქტის მიმდინარეობის დროს ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევის ფაქტებს და აღნიშნულის შესახებ ამცნობს საზოგადოებას.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ასევე მოითხოვს ჩატარდეს "საერთაშორისო დამოუკიდებელი გამოძიება" კონფლიქტის გამომწვევი გარემოებების და მასში მონაწილე ყველა მხარის მიერ განხორციელებული საომარი მოქმედებების ხასიათის დასადგენად.[83]

Amnesty International-ი მიესალმება საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნას ითანამშრომლოს საერთაშორისო საგამოძიებო ორგანოებთან ნებისმიერ ასპექტში, კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების და საომარი მოქმედებების ხასიათის დასადგენად.[84] რუსეთის ხელისუფლების ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი არ შეეწინააღმდეგებიან დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას კონფლიქტის ნებისმიერი გარემოების დასადგენად.[85]

Amnesty International-ის მოსაზრების თანახმად, საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მუშაობა. აღნიშნული ჯგუფი უნდა ატარებდეს გამოძიებას და ახორციელებდეს ინფორმაციის

მოწოდებას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებების მოქმედი ნორმების თანახმად. გარდა ამისა, მისიის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო სამართლის ნორმების შემდგომი დარღვევების პრევენცია და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთათვის რეპარაციისა და სამართლის უზრუნველყოფა. ასეთი მისია უნდა იყოს ადეკვატური რესურსებით უზრუნველყოფილი. ექსპერტთა საგამოძიებო ჯგუფი უნდა იყოს ყველა სახის ინფორმაციის მიღებაზე და ნებისმიერ პირთან შეხვედრაზე უფლებამოსილი. ყველა პირი, რომელიც ინფორმაციას აწვდის გამოძიებას, უნდა იყოს რეპრესალიისგან დაცული. ადამიანის უფლებების დარღვევის მასშტაბების, ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების კომპლექსურობის ფონზე, საგამოძიებო ჯგუფის წევრები უნდა იყვნენ ყველა საჭირო საშუალებით აღჭურვილნი და მათ უნდა ჰქონდეთ სათანადო მხარდაჭერა დეტალური და უტყუარი გამოძიების ჩასატარებლად.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ჯგუფის მხარდაჭერას უნდა უზრუნველყოფდნენ: საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების სამართლის ექსპერტები; სამხედრო და სისხლის სამართლის მართლმსაჯურების გამომძიებლები; ექსპერტები იარაღის და ბალისტიკის საკითხში; სასამართლო ექსპერტები; და მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის ექსპერტები, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს გენერალურმა მდივანმა წამოაყენა წინადადება გაეროს საგამოძიებო მისიის რეგიონში მივლინების შესახებ,[86] 2008 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში, ორგანიზაცია Amnesty International-ი არ იყო ინფორმირებული დამოუკიდებელ საერთაშორისო გამოძიებასთან დაკავშირებით არანაირი კონკრეტული შემოთავაზების შესახებ, რომელიც საჯაროდ გაკეთდა გაეროს ან სხვა ნებისმიერი დამოუკიდებელი ორგანიზაციის ან სტრუქტურის მიერ.

7.3 საერთაშორისო სასამართლოებში აღძრული საქმეები

საერთაშორისო სასამართლოში წარდგენილია მრავალი საჩივარი კონფლიქტის დროს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის შესახებ.

2008 წლის 12 აგვისტოს საქართველომ საერთაშორისო სასამართლოში წარადგინა საჩივარი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დარღვევის საფუძვლით, და დაადანაშაულა იგი ქართველების ეთნიკურ წმენდაში მოცემული კონფლიქტისა და 1990 წლის კონფლიქტის დროს. ორი დღის შემდგომ საქართველომ წარადგინა მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების დაკისრების შესახებ. 15 ოქტომბერს საერთაშორისო სასამართლომ დააკისრა ორივე მხარეს თავი შეიკავონ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა აქტისაგან და ამგვარი აქტების დაფინანსების, დაცვისა თუ ხელშეწყობისაგან, დაიცვან საკუთრების

უფლებები და უზრუნველყონ პირების თავისუფალი გადაადგილება მათი ეროვნული თუ ეთნიკური წარმოშობის განურჩევლად

11 აგვისტოს საქართველომ მიმართა ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოს (ECtHR) დროებითი ზომების მიღებისთვის რათა რუსეთის მთავრობას თავი შეეკავებინა ისეთი მოქმედებებისგან, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიდა მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს, ან ჯანმრთელობის მდგომარეობას. 2008 წლის 12 აგვისტოს, იმის გამო, რომ სიტუაციიდან გამომდინარე წარმოიშვა ECtHR-ის საერიოზული დარღვევის რისკი, სასამართლოს თავმჯდომარემ მიმართა საქართველოს და რუსეთს შეესრულებინათ ECtHR-ით აღებული ვალდებულებები, განსაკუთრებით კი სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით და აღეკვეთათ წამების ფაქტები და სხვა არაჰუმანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა, ან დასჯა. სასამართლოს პრეზიდენტმა ასევე მოთხოვა ორივე მხარეს სასამართლოში წარედგინა ინფორმაცია კონვენციით აღებული მათი პასუხისმგებლობების შესახებ. დროებითი ზომები სასამართლოს მიერ გაგრძელდა ორჯერ - 26 აგვისტოს და 16 სექტემბერს. საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა, რომ ECtHR-ში შესატანად მზადდება საჩივარი რუსეთის წინააღმდეგ, რადგან მათი მტკიცებით, რუსეთმა დაარღვია ECtHR-ით აღებული ვალდებულებები. 6 ოქტომბერს ECtHR-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სასამართლოში შესული იყო დაახლოებით 2,000 ინდივიდუალური საჩივარი სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისგან ქართული მხარის მიერ კონფლიქტის განმავლობაში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო.[87]

ყველა ეს საქმე ეხება სახელმწიფოს პასუხისმგებლობას და არა ლიდერების, მეთაურების, ან კომბატანტების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების, ან ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის წესების სპეციფიური დარღვევების გამო. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი ასევე მოითხოვს ასეთი სახის დარღვევებში დამნაშავე ყველა პიროვნების გასამართლებას.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ომის დანაშაულში ეჭვმიტანილების გასამართლება პირველ რიგში მეომარი მხარეების პასუხისმგებლობაა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ არის კონფლიქტის განმავლობაში ჩადენილი ყველა ომის დანაშაული და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესების (რომის წესები) 15 და 17 მუხლების თანახმად მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ჯერ არ მოუხდენია რომის წესების რატიფიცირება, პროკურორს უფლება აქვს დაიწყოს საქართველოს ტერიტორიაზე ქართველების, ან რუსების მიერ ჩადენილი ასეთი დანაშაულების გამოძიება, თუკი სახელმწიფო პოლიციას და პროკურატურას არ შეუძლია, ან არ აქვს ამ საქმეების გამოძიების სურვილი.[88] პროკურორის მიერ ამ დრომდე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაგზავნილი ათასობით დანაშაულის შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროკურორმა უკვე დაიწყო წინასწარი ანალიზი.[89] ეს არის პირველი ნაბიჯი იმისთვის, რომ დადგინდეს, საჭიროა თუ არა წინასასამართლო პალატისგან ფორმალური გამოძიების დაწყების ნებართვის აღება. მან განაცხადა, რომ

პროკურატურა "განაგრძობს ყველა მონაწილე მხრიდან ინფორმაციის მოძიებას". Amnesty International-ს მიაჩნია, რომ ყოველთვის, როდესაც არსებობს ისეთი დონის დანაშაულების დამადასტურებელი ფაქტები, როგორც საქართველოში მოხდა, თუკი სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, ან არ გააჩნიათ სურვილი გამოიძიონ და გამოავლინონ დამნაშავეები, პროკურორმა უნდა გამოიყენოს მისი უფლება და მოიპოვოს გამოძიების განხორციელების ნებართვა. Amnesty International-ი ასევე აღნიშნავს, რომ 1949 წლის ჟენევის კონვენციის მონაწილე ყველა მხარე ვალდებულია გამოიყენოს უნივერსალური იურისდიქცია ყველა იმ პიროვნების წინააღმდეგ, ვინც ეჭვმიტანილია სერიოზულ კანონდარღვევაში, სადაც არ უნდა მომხდარიყო ეს.

8. დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს, რუსეთის და სამხრეთ ოსეთის შეარაღებულ ძალებს შორის ხუთდღიანი ომის შედეგად მოხდა კონფლიქტის ზონაში ოსური და ქართული სოფლების ფართომასშტაბიანი ნგრევა. მშვიდობიან მოსახლეობას ძვირი დაუჯდა სამხედრო მოქმედებები, რაც გამოიხატა სიკვდილიანობაში, ფიზიკურ დაზიანებებში, იძულებით გადაადგილებაში და ინფრასტრუქტურის და საკუთრების განადგურებაში.

გამოკვლევის და ანალიზის საფუძველზე Amnesty International-მა დაასკვნა, რომ კონფლიქტის ყველა მხარემ სერიოზულად დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმები. Amnesty International-ი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ქართველმა სამხედროებმა არ მიიღეს საჭირო სიფრთხილის ზომები 7 აგვისტოს ცხინვალზე იერიშის მიტანისას სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად და გამოიყენეს ძნელად დამიზნებადი იარაღი სამოქალაქო მოსახლეობის და შენობების კონცენტრაციის ადგილებზე შეტევისას. ამ შეტევების შედეგად დაიღუპა და დაიჭრა ათობით სამოქალაქო პირი, დაზიანდა სამოქალაქო სახლები და ამ ადამიანების საკუთრება. საქართველოს მთავრობამ აღიარა "კასეტური" იარაღის გამოყენება სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ, თუმცა ეს მოხდა ისეთ ადგილებში და დროს, სადაც სამოქალაქო მოსახლეობა დიდი რისკის ქვეშ მოხვდა. "კასეტური" იარაღი დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენს საფრთხეს მოსახლეობისთვის და საჭიროა გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება აუფეთქებელი ჭურვების აღმოსაჩენად.

ქართულ დასახლებებზე იერიშების დროს შესაძლოა რუსეთის მხარეს აერია სამხედრო სამიზნეები და მშვიდობიანი მოსახლეობა, რამაც გამოიწვია სამოქალაქო მოსახლეობის დაღუპვა და სამოქალაქო ობიექტების ნგრევა. რუსეთის სამხედრო ძალებმა განახორციელეს განურჩეველი და არაპროპორციული შეტევები კონფლიქტის ზონაში და მის გარეთ არსებულ ქართულ დასახლებებზე. რუსეთის არმიის სხვა მოქმედებები, როგორიცაა გორის ცენტრის დაბომბვა და ამ ანგარიშში აღწერილი სხვა იერიშები არ იყო გამიზნული რაიმე სამხედრო ობიექტის წინააღმდეგ, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა პირდაპირი შეტევა იყო მიტანილი სამოქალაქო პირებსა და ობიექტებზე. სერიოზულად შემაშფოთებელია ასევე რუსეთის მხარის მიერ, სამოქალაქო მოსახლეობის საცხოვრებელ ტერიტორიებზე "კასეტური" იარაღის გამოყენების დამადასტურებელი სამხილები.

სამხრეთ ოსეთის "დე ფაქტო" ადმინისტრაციის მხარეს მებრძოლმა სრულიად განსხვავებული და გაურკვეველი შემადგენლობის შეიარაღებულმა ჯგუფებმა შეტევა მიიტანეს ეთნიკურად ქართული დასახლებებზე სამხრეთ ოსეთში, რომლებიც "დე ფაქტო" პრო-ქართული ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ იყვნენ კონფლიქტის დაწყებამდე, ხოლო

იმ დროს უკვე რუსეთის სამხედრო კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა გამიზნულად გადაწვეს და გაძარცვეს ქართველების სახლები, განსაკუთრებით კი იმ სოფლებში, რომლებიც ასოცირდებოდა თბილისის მხარდაჭერის მქონე, დიმიტრი სანაკოევის, ალტერნატიულ "დე ფაქტო" ადმინისტრაციასთან. თვითმხილველთა მიერ Amnesty International-ისთვის მიწოდებული ინფორმაციით, ზოგიერთ შემთხვევაში ოსური შეიარაღებული ჯგუფები სცემდნენ და კლავდნენ ქართველებს. ამ შეტევების დროს დაირღვა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრული აკრძალვები განზრახ მკვლელობაზე, საკუთრების გამიზნულ განადგურებაზე და მაროდიორობაზე. რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა კონტროლის ქვეშ აიყვანეს "დე ფაქტო" პრო-ქართული ადმინისტრაციის ქვეშ მყოფი ტერიტორია სამხრეთ ოსეთში და ქართული ტერიტორია ეგრეთ წოდებულ "ბუფერულ ზონებში". რუსულმა ჯარებმა, როგორც ოკუპანტმა ძალამ, ვერ შეძლო იქ მცხოვრები ეთნიკური ქართული მოსახლეობის ადამიანის უფლებების დაცვა. რუსულმა სამხედრო ძალებმა არ შეასრულეს ვალდებულება კანონისა და წესრიგის შენარჩუნების შესახებ და არ აღკვეთეს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ განხორციელებული მაროდიორობა მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. რუსეთმა პასუხი უნდა აგოს ამ გარემოებების გათვალისწინებით დარღვეული ადამიანის უფლებების გამო.

კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულია 190,000 ადამიანი. მთლიანობაში ჩანს, რომ რუსეთის და საქართველოს მთავრობები ეფექტურად შეხვდნენ გადაადგილებულთა გადაუდებელ მოთხოვნილებებს საცხოვრებელზე, საკვებზე და წყალზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი უკვე დაუბრუნდა საკუთარ სახლებს, ათი ათასობით ადამიანი კვლავ იძულებით გადაადგილებულია, რადგან მათი სახლები გამიზნულად იქნა განადგურებული. ამის გამო ბევრი ქართველს უახლოეს მომავალში დაბრუნების პერსპექტივა არ აქვს. გრძელვადიან პერიოდში იძულებით გადაადგილებულთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა დარჩება მუდმივ პრობლემად საქართველოში.

Amnesty International-ის და სხვა ორგანიზაციების მიერ შეგროვილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ ქართული და რუსული სამხედრო ძალების და სამხრეთ ოსეთის დაჯგუფებების მხრიდან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი და საჭიროა გამოძიება და სასამართლო პროცესის წარმოება. საქართველო და რუსეთი უკვე ახორციელებენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ფაქტების გამოძიებას. Amnesty International-ი მოუწოდებს მათ, რომ ეს გამოძიებები შეეხოს ყველა არალეგალურ ქმედებას და უმოქმედობას და ისინი უნდა განხორციელდეს სწრაფად, დამოუკიდებლად, ობიექტურად და სიღრმისეულად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ გამოძიებების შედეგები საჯაროდ უნდა გაცხადდეს და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დამრღვევები უნდა დაისაჯონ. Amnesty International-ი ასევე მოუწოდებს სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობას განახორციელოს მათი შეიარაღებული ძალების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების ფაქტების დამოუკიდებელი, ობიექტური და გამჭვირვალე გამოძიება.

რეკომენდაციები

Amnesty International-ი მოუწოდებს საქართველოს და რუსეთის მთავრობებს:

- უზრუნველყონ კონფლიქტის გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე მცხოვრებთა და დაბრუნების სურვილის მქონე იძულებით გადაადგილებულთა უსაფრთხოება, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, ადამიანთა ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად;

- უზრუნველყონ მათი სამხედრო ძალების მიერ კონფლიქტის განმავლობაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების სერიოზული დარღვევების ფაქტების, სამხედრო დანაშაულის ჩათვლით, სწრაფი, დამოუკიდებელი, სიღრმისეული და ობიექტური გამოძიება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აქვე იგულისხმება უმოქმედობით გამოწვეული დანაშაულიც, მაგალითად მკვლელობის, ცემის, მაროდიორობის და ხანძრის გაჩენის ხელის არ შეშლა მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე;

- შესაფერისი, დასაშვები სამხილის არსებობის დროს უზრუნველყოფილი იყოს ეროვნული და/ან საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაში ეჭვმიტანილთა დაცვა, რათა პროცესი შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო სამართლიანი სასამართლო პროცესის სტანდარტებთან;

- დაუყოვნებლივ შედგეს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადგილების რუკები, სადაც გამოყენებული იყო "კასეტური" ჭურვები, რათა მოხდეს "კასეტური" ჭურვების ნარჩენების გაუვნებელყოფა და ამ ტერიტორიების სამოქალაქო მოსახლეობისთვის უსაფრთხოდ გახდომა. ორივე მთავრობამ ასევე უნდა უზრუნველყოს საჯარო საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით მოსახლეობის გაფრთხილება აუფეთქებელი ჭურვების საშიშროების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს ასეთი ტერიტორიების ჩაკეტვა, ჭურვების გაუვნებელყოფის პროცესის დასრულებამდე;

- გამოაცხადონ მორატორიუმი "კასეტური" იარაღის გამოყენებაზე და მოახდინონ "კასეტური" იარაღის კონვენციის რატიფიცირება;

- დათანხმდნენ და სრულად ითანამშრომლონ კონფლიქტის დროს და მის შემდგომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტების საერთაშორისო გამოძიებასთან;

- დათანხმდნენ და სრულად ითანამშრომლონ მექანიზმთან, რომლის გამოყენებითაც დადგინდება ფორმა და უზრუნველყოფილი იქნება სრული რეპარაციები უკანონო ქმედებებისთვის და უმოქმედობისთვის, რესტიტუციის, კომპენსაციის, რეაბილიტაციის, დაკმაყოფილების და

გაუმეორებლობის გარანტიების ჩათვლით;

- უზუნველყონ მათი შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებების და უმოქმედობის შედეგად ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლთა სრული რეპარაცია;

- სრულად ითანამშრომლონ რეგიონში მომუშავე ადამიანის უფლებათა ყველა საერთაშორისო მონიტორთან.

ამასთან, Amnesty International-ი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულთა ინფორმირებულობა მათი უფლებების შესახებ დაბრუნებაზე, ან სხვაგან დასახლებაზე, ან ინტეგრაციაზე ადგილობრივ საზოგადოებასთან მათი სურვილის შემთხვევაში;

- უზრუნველყოს ქვეყნის შიგნით გადაადგილებულთა უფლების დაცვა, რათა მათ პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ მათი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში გადაწყვეტილებების მიღებაში;

- უზრუნველყოს ქვეყნის შიგნით გადაადგილებულთა ინფორმირებულობა მათი უფლების შესახებ, მოხდეს მათი ინტეგრაცია, ან მუდმივი ხელახლა დასახლება ქვეყნის სხვა რეგიონებში, ყოველი ინდივიდუალური პირის ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე.

დამატებით, Amnesty International-ი მოუწოდებს რუსეთის მთავრობას:

- სრულად ითანამშრომლოს საერთაშორისო მონიტორინგის ყველა ჯგუფთან, რათა რაც შეიძლება მალე შესაძლებელი გახდეს ყველა გადაადგილებული პირის სწრაფი დაბრუნება, ღირსეულ პირობებში;

- უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ყველა საერთაშორისო მონიტორის დაშვება კონფლიქტის ყველა რეგიონში;

- უზრუნველყოს კონფლიქტის ზონიდან რუსეთის ფედერაციაში გადაადგილებულ ლტოლვილთა უფლებების სრულად დაცვა;

- იმის გათვალისწინებით, რომ რუსული სამხედრო ძალები კვლავ აკონტროლებენ სამხრეთ ოსეთს, უზრუნველყოს შეიარაღებული ძალების ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად მოქმედება და ადამიანის უფლებების დაცვა.

Amnesty International-ი მოუწოდებს სამხრეთ ოსეთის

ადმინისტრაციას:

- მიიღოს ყველა კანონიერი ზომები, საჯარო განცხადებების და ძალოვანი სტრუქტურების გამოყენებით, ადამიანის უფლებების პატივისცემით და დაცვით, რათა აღიკვეთოს შემდგომი შეტევები, საკუთრების უკანონო მითვისების, განადგურების და მაროდიორობის ჩათვლით, ეთნიკური ქართველებზე სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის იმ ტერიტორიაზე, რომელიც კონფლიქტამდე "დე ფაქტო" პრო-ქართული ადმინისტრაციის ქვეშ იყო;

- გამოიძიოს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მილიციის და კერძო პირების მიერ ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტები;

- დაეთანხმოს და სრულად ითანამშრომლოს საერთაშორისო გამოძიებებთან კონფლიქტის განმავლობაში და მისი დასრულების შემდგომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით;

- დაეთანხმოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორების შესვლას სამხრეთ ოსეთში და სრულად ითანამშრომლოს მათთან;

- დათანხმდეს და სრულად ითანამშრომლოს მექანიზმთან, რომლის გამოყენებითაც დადგინდება ფორმა და უზრუნველყოფილი იქნება სრული რეპარაციები უკანონო ქმედებებისთვის და უმოქმედობისთვის, რესტიტუციის, კომპენსაციის, რეაბილიტაციის, დაკმაყოფილების და გაუმეორებლობის გარანტიების ჩათვლით;

- უზრუნველყოს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებების და უმოქმედობის შედეგების სრული რეპარაციები;

- უზუნველყოს სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება. საჯაროდ დაადასტუროს გადაადგილებულთა უფლება დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს;

- უზრუნველყოს ყველა მოქალაქის, დისკრიმინაციის გარეშე, თანაბარი დაშვება სარეაბილიტაციო დახმარებასთან, მატერიალურთან და ფინანსურთან.

Amnesty International-ი მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას:

- უზრუნველყოს საჭირო ექსპერტიზის, რესურსების და უფლების მქონე საერთაშორისო გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც გამოიძიებს ადამიანის

უფლებათა საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სავარაუდო დარღვევებს ყველა მონაწილე მხარის მიერ კონფლიქტის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ. გუნდმა უნდა გააკეთოს რეკომენდაციები დარღვევებისთვის დაუსჯელობასთან და მომავალში ასეთი დარღვევების თავიდან აცილების მხრივ.

- უზრუნველყოს მექანიზმის ჩამოყალიბება, რომლის გამოყენებითაც დადგინდება ფორმა და უზრუნველყოფილი იქნება სრული რეპარაციები უკანონო ქმედებებისთვის და უმოქმედობისთვის, რესტიტუციის, კომპენსაციის, რეაბილიტაციის, დაკმაყოფილების და გაუმეორებლობის გარანტიების ჩათვლით;

- აკრძალოს კერძო კომპანიების, კერძო პირების და სახელმწიფოების მიერ "კასეტური" იარაღის გამოყენება, შენახვა და ტრანსპორტირება;

- უზრუნველყოს სახელმწიფოების მიერ იურისდიქციის გამოყენება, საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო იურისდიქციის ჩათვლით, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაში ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ, კონფლიქტის განმავლობაში ჩადენილი ომის დანაშაულების ჩათვლით;

- უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა მონიტორების სრული შეყვანა სამხრეთ ოსეთში და საქართველოში.

---

[1] 1992 წელს, ქ. სოჭში, რუსეთსა და საქართველოს შორის მიღწეული ორმხრივი შეთანხმება სამხრეთ ოსეთში ცეცხლის შეწყვეტის პირობების შესახებ. სოჭის ხელშეკრულების თანახმად, მონიტორინგისთვის ჩამოყალიბდა შერეული საკონტროლო კომისია (JCC). JCC წარმოადგენდა ოთხმხრივ კომისიას, რომელიც დაკომპლექტებული იყო საქართველოს, რუსეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის, და აგრეთვე ეუთო-ს წარმომადგენლებით. კომისია მიზნად ისახავდა შეექმნა რუსეთის, სამხრეთ ოსეთის და საქართველოს წარმომადგენელთა გაერთიანებული სამშვიდობო ბატალიონები (თითოეულ ბატალიონში იქნებოდა მაქსიმუმ 500 კაცი). საქართველო დიდი ხნის განმავლობაში გამოთქვამდა უკმაყოფილებას JCC-ის ფორმატთან დაკავშირებით; 2004 წლიდან, სტრუქტურის გადაწყვეტილებები არ ხორციელდება არც ერთი მხარის მიერ. საქართველო ცდილობდა შეეცვალა მოლაპარაკებების ფორმატი, და აღნიშნულის ნაცვლად შემოეტანა ორმხრივი მოლაპარაკებების ფორმატი, რომელიც გაიმართებოდა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის, აღნიშნული ფორმატი უარყვეს სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა

[2] ინფორმაციისთვის იხ. ქვემოთ მოცემული ანგარიშები, რომლებიც გამოქვეყნდა საერთაშორისო კრიზის-ჯგუფის (International Crisis Group) მიერ:
Georgia's South Ossetia conflict: Make haste slowly, Europe Report No. 183, 7 June 2007;
Georgia: Avoiding War in South Ossetia, Europe Report No. 159, 26 November 2004.

[3] სხვა სახელმწიფოებმა, ვენესუელას მსგავსად, მოიწონეს რუსეთის გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების შესახებ, თუმცა თავი შეიკავეს ფორმალურად ეცნოთ მათი დამოუკიდებლობა.

[4] Georgia, *Russian Invasion of Georgia. Facts and Figures October 2 2008*, p.9; იხილეთ: http://georgiaupdate.gov.ge

[5] დიმიტრი სანაკოევი, რომელმაც 2006 წელს მოიგო საქართველოს კონტროლქვეშ მყოფი სამხრეთის ოსეთის ტერიტორიაზე ჩატარებული ალტერნატიული საპრეზიდენტო არჩევნები, თბილისის მხარდაჭერით მართავდა საქართველოს მიერ კონტროლირებად სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებს.

[6] Dmitri Solovyov, "Russia urges Georgia to halt clashes in regions", Reuters, 4 July 2008; *RFE/RL Newsline*, "Four Georgian soldiers being held in South Ossetia", 8 July 2008; *RFE/RL Newsline*, "Georgia says Russian jets violated airspace", 9 July 2008.

[7] JCC შედგება ქართული, რუსული, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებისგან. 2004 წლიდან ქართული მხარე ითხოვს აღნიშნული ფორმატის შეცვლას, რომელიც მისი აზრით არაობიექტურია საქართველოს ინტერესების მიმართ.

[8] "Countdown in the Caucasus: Seven days that brought Russia and Georgia to war", *Financial Times*, 26 August 2008.

[9] *RIA Novosti*, 4 აგვისტო.

[10] "Six dead in Georgia standoff", *Financial Times*, 4 August 2008.

[11] "Evacuees from South Ossetia arrive at Russian border", *ITAR-TASS*, 3 August 2008.

[12] Dmitry Avaliani, Sopho Bukia, Alan Tskhurbayev and Thomas de Waal, "How the Georgian war began: IWPR-trained reporters investigate the tragic sequence of events that triggered a war in South Ossetia", Institute for War and Peace Reporting, *Caucasus Reporting Service*, No. 456, 22 August 2008.

[13] *Financial Times*, "Countdown in the Caucasus".

[14] Luke Harding and Mitch Prothero, "Russia signs ceasefire deal but troops stay in Georgia", *The Observer*, 17 August 2008.

[15] "Death toll in South Ossetia reached 2,000", *Russia Today*, 10 August 2008, http://www.russiatoday.com/news/news/28732;
"Georgian troops burn South Ossetian Refugees alive", *Pravda.ru*, 10 August 2008, http://english.pravda.ru/hotspots/conflicts/10-08-2008/106050-georgia-0.
Human Rights Watch-ის მიერ აღნიშნული პირების გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდა 10 აგვისტოს გაკეთებულ განაცხადში.
Human Rights Watch, "Georgia/Russia: Update on Casualties and Displaced Civilians", http://hrw.org/english/docs/2008/08/10/georgi19581_txt.html

[16] Caucasian Knot, "Authorities of South Ossetia report about 1492 casualties of Georgia's attack", http://eng.kavkaz-uzel.ru/newstext/engnews/id/1227624.html

[17] Peter Wilson, "Death toll in South Ossetia a tenth of initial Russian claims", *The Australian*, 22 August 2008.
http://www.theaustralian.news.com.au/story/0,25197,24219963-2703,00.html

[18] ინტერვიუ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო კომისიის უფროსთან ალექსანდრე ბასტრიკინთან; *Sueddeutsche Zeitung*, 12 ოქტომბერი 2008 წ., http://www.sueddeutsche.de/politik/746/313652/text/

[19] Georgian government publishes latest data on casualties during Russian invasion", *კავკას-პრესი*, BBC-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 12 სექტემბერი 2008.

[20] ინფორმაცია Amnesty International-ს მიაწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2008 წლის 7 ოქტომბერს.

[21] Georgian government publishes latest data on casualties during Russian invasion", *კავკას-პრესი*, BBC-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 12 სექტემბერი 2008.
ინფორმაცია დაჭრილთა რაოდენობის შესახებ ემთხვევა ინფორმაციას, რომელიც Amnesty International-ს მიაწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2008 წლის 7 ოქტომბერს.

[22] Jean-Marie Henckaerts and Louise Doswald Beck, *Customary International Humanitarian Law*, ICRC, 2005.

[23] 8(2)(b)(i) მუხლი

[24] ჟენევის კონვენციების დამატებით ოქმებთან დაკავშირებით გაკეთებული წითელი ჯვრის ოფიციალური განაცხადი განმარტავს გამოთქმას: "ზუსტად განსაზღვრული სამხედრო უპირატესობა" და ადგენს, რომ "უკანონოა თავდასხმა, რომელიც გვთავაზობს მხოლოდ პოტენციურ ან დაუდგენელი სახის უპირატესობებს".

[25] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, მუხლი: 8(2)(b)(iv)

[26] ICRC, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჩვეულებითი ნორმები, ტომი I: სამართლებრივი ნორმები; ნორმა 156, გვ. 589. მუხლი: 8(2)(b)(i).

[27] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, მუხლი: 8(2)(a)(iv).

[28] გაეროს დოკუმენტი E/CN.4/1998/53/Add.2

[29] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/60/L.1 პარა 132.

[30] გაეროს დოკუმენტი E/CN.4/1998/53/დამ.2: სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ, 28-ე და 29-ე პრინციპები;

[31] ადამიანის უფლებათა კომისია, ძირითადი კომენტ. N. 31 [80] კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებზე დაკისრებული ძირითადი სამართლებრივი ვალდებულებების ხასიათი, 26 მაისი 2004, CCPR/C/21/განა.1/დამ.13, პარ. 11.

[32] ადამიანის უფლებათა კომისია, ძირითადი კომენტ. N. 31 [80] კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებზე დაკისრებული ძირითადი სამართლებრივი ვალდებულებების ხასიათი, 26 მაისი 2004, CCPR/C/21/განა.1/დამ.13, პარ. 10.

[33] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომისია, ძირითადი კომენტ. 7, იძულებითი განდევნა, და სათანადო საცხოვრებელი ადგილის უფლება (მე-16-ე სესია, 1997 წ.), გაეროს დოკ. E/1998/22, IV დანართი, 113 (1997), პარ. 4.

[34] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომისია, ძირითადი კომენტ. 7, იძულებითი განდევნა, და უფლება სათანადო საცხოვრებელ ადგილზე (მე-16-ე სესია, 1997 წ.), გაეროს დოკ. E/1998/22, IV დანართი, 113 (1997), პარ. 7.

[35] გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, სახელმწიფოების პასუხისმგებლობა საერთაშორისო დელიქტებზე, გაეროს დოკ.: A/Res/56/83 (28 იანვარი 2002 წ.), მე-3 პარაგრაფი.

[36] მაგალითისთვის იხ., ICCPR, მუხლი: 2(3), და არაბული ქარტია ადამიანის უფლებების შესახებ, მე-9 მუხლი.

[37] კანონების I ტომი (კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა / 2005 წ.).

[38] რესპონდენტების თხოვნის საფუძველზე, კონფიდენციალურობის მიზნით, მოცემულ ანგარიშში გარკვეულ ადგილებში გამოყენებულია ფსევდონიმები. ასეთი ადგილები მონიშნულია ბრჭყალებით. რესპონდენტების ნამდვილი სახელები მოცემულია ბრჭყალების გარეშე.

[39] ინფორმაცია Amnesty International-ს მიაწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, 2007 წლის 7 ოქტომბერს.

[40] სამეცნიერო განვითარების ამერიკული ასოციაციისა და ორგანიზაცია Amnesty International-ის მაღალი გარჩევადობის სატელიტური მასალა და კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში, 2008 წლის 9 ოქტომბერი.
http://shr.aaas.org/geotech/aaas_georgia_9oct2008.pdf

[41] *Attacks damaged or destroyed 70% of buildings - Tskhinvali mayor*, RIA-Novosti, 12 August 2008, http://en.rian.ru/world/20080812/115983262.html

[42] Georgia, *Russian Invasion of Georgia. Facts and Figures October 2 2008*, p.2; იხ http://georgiaupdate.gov.ge

[43] Human Rights Watch, "Georgia: Join Treaty Banning Cluster Munitions", 1 September 2008, http://www.hrw.org/english/docs/2008/09/01/georgi19722.htm

[44] ინფორმაცია Amnesty International-ს მიაწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, 2007 წლის 7 ოქტომბერს.

[45] ექსპერტთა შეხვედრის ანგარიში: " Humanitarian, Military, Technical and Legal Challenges of Cluster Munitions", Montreux, 18-20 April 2007, იხ.:
http://icrc.org/Web/Eng/siteeng0.nsf/htmlall/p0915/$File/ICRC_002_0915.PDF!Open

[46] Landmine Action: Ban the "M85" cluster bomb: Fact sheet, იხ:
http://www.landmineaction.org/resources/ActionPacks/m85_factsheet.pdf

[47] Human Rights Watch: Georgia: Russian Cluster Bombs Kill Civilians,
იხ: http://www.hrw.org/english/docs/2008/08/14/georgi19625.htm

[48] Pavel Felgenhauer, "Ossetian separatists are provoking a major Russian intervention", Jamestown Foundation, *Eurasia Daily Monitor*, Volume 5, No. 151,
http://www.jamestown.org/edm/article.php?article_id=2373294

[49] აღნიშნული დაზარალებული სოფლების ამსახველი სატელიტური მასალა იხ. UNOSAT, 'Village damage summary: Kekhvi to Tskhinvali, South Ossetia, Georgia,
http://unosat.web.cern.ch/unosat/freeproducts/Georgia/Russia_ConflictAug08/UNOSAT_GEO_Village_Damage_Summary_Tskhinvali_19aug08_Lowres.pdf

[50] Georgia, *Russian Invasion of Georgia. Facts and Figures October 2 2008*, p.9;
იხ. http://georgiaupdate.gov.ge

[51] American Association for the Advancement of Science and Amnesty International, *High-Resolution Satellite Imagery and the Conflict in South Ossetia*, p.19.

[52] მაგალითისთვის: "Yugoosetinskiy spetsnats i opolchentsy zachistili gruzinskoe selo", *Novye Izvestiya*, 13 აგვისტო, 2008 წ.;
"Georgian villagers flee amid claims of atrocities by armed militias arriving from South Ossetia", *The Guardian*, 15 August 2008;
Catherin Belton, "Georgian Refugees tell of Attacks and Looting", *Financial Times*, 18 August 2008.

[53] UNHCR, "UNHCR continues monitoring the villages North East of Gori, Emergency Operation in Georgia Update, 29 August 2008, http://www.unhcr.org/news/NEWS/48bba2ed4.html

[54] Georgia, *Russian Invasion of Georgia. Facts and Figures October 2 2008*, p.10;
იხ: http://georgiaupdate.gov.ge
7,894-იანი მოსახლეობა შედგებოდა დაახლოებით 7,194 ქართველისა და 700 ოსისგან.

[55] UNHCR, 'New Humanitarian tragedy unfolding in Gori', Emergency Operation in Georgia Update, 26 August 2008, http://www.unhcr.org/news/NEWS/48b431254.pdf

[56] UNHCR, 'Situation north of Gori is deteriorating', Emergency Operation in Georgia Update, 27 August 2008, http://www.unhcr.org/news/NEWS/48b55da74.pdf; Amnesty International-ის ინტერვიუ UNHCR-ის პერსონალთან გორში, 30 აგვისტო 2008 წ.

[57] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მუხლი 8 (2) (b) (xiii) f.

[58] ჟენევის მეოთხე კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად მაროდიორობა აკრძალულია საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში, ხოლო, II ოქმის 4 (2)(g) მუხლის თანახმად მაროდიორობა იკრძალება არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში. (33-ე მუხლი, ჟენევის მეოთხე კონვენცია) აგრეთვე მოქმედებს არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში (II ოქმი, 4 (2)(g) მუხლი).

[59] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 8 (2) (b) (xvi) მუხლი გათვალისწინებულია საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ხოლო 8 (2) (e) (v) მუხლი არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

[60] მოცემული ინფორმაცია Amnesty International-ს მიაწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2007 წლის 7 ოქტომბერს.

[61] ინფორმაცია Amnesty International-ს მიაწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2007 წლის 7 ოქტომბერს.

[62] UNHCR, "Revised figures push number of Georgia displaced up to 192,000," 12 September 2008, იხ: http://www.unhcr.org/georgia.html?page=news&id=48ca8d804

[63] UNHCR, "UNHCR concern as shelter capacity in Georgia town of Gori is exhausted", 2 September 2008, http://www.unhcr.org/georgia.html?page=news&id=48bd56044

[64] OCHA, Situation Report No. 11 on the Situation in Georgia 05 Sep 2008
http://www.reliefweb.int/rw/rwb.nsf/db900SID/KKAA-7J83FJ?OpenDocument

[65] Georgia, *Russian Invasion of Georgia. Facts and Figures October 2 2008*, p.11
იხ: http://georgiaupdate.gov.ge

[66] UNHCR, "Reports of lawlessness creating new forcible displacement in Georgia" 26 August 2008; UN OHCHR, "Georgia: UN Expert on Internally Displaced Persons says security is key to return," 4 October 2008.

[67] Georgia, "Russian Invasion of Georgia: Refugees and displaced persons," 8 October 2008, იხ: http://georgiaupdate.gov.ge

[68] UNHCR, "New arrivals and increased need for coordination", *Emergency Operation in Georgia*, 5 September 2008; http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/home/opendoc.pdf?tbl=NEWS&id=48c1463c4

[69] Georgia, *Russian Invasion of Georgia. Facts and Figures October 2 2008*, p.13;
იხ. http://georgiaupdate.gov.ge

[70] Walter Kälin, Representative of the Secretary-General on the Human Rights of Internally Displaced Persons, "Legal aspects of return of internally displaced persons and refugees to Abkhazia, Georgia", 29 November 2007.

[71] UNHCR, 'First UNHCR assessment mission to "buffer zone"', *Emergency Operation in Georgia*, 12 September 2008, http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/home/opendoc.pdf?tbl=NEWS&id=48cfafe44

[72] UNHCR, "Last Update on Emergency Operation in Georgia", *Emergency Operation in Georgia*, 19 September 2008, available at http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/home/opendoc.pdf?tbl=NEWS&id=48d3beb42f6

[73] "20,000 Georgians return to buffer zone – UNHCR", *Reuters*, 14 October 2008.

[74] UN OHCHR, "Georgia: UN Expert on Internally Displaced Persons says security is key to return," 4 October 2008.

[75] UNHCR, "New humanitarian tragedy"; Amnesty International-ის ინტერვიუ UNHCR-ის წარმომადგენლებთან, 29 აგვისტო 2008 წ.

[76] ICRC, "Georgia/Russian Federation: ICRC shifts focus to long-term recovery", 3 September 2008, http://www.icrc.org/web/eng/siteeng0.nsf/htmlall/georgia-update-030908

[77] UN OHCHR, "Georgia: UN Expert on Internally Displaced Persons says security is key to return," 4 October 2008.

[78] S/RES/1839

[79] ეუთოს მუდმივი საბჭოს გადაწყვეტილება № 861 საქართველოში ეუთოს მისიაში სამხედრო ოფიცრების რიცხვთან გაზრდასთან დაკავშირებით.

[80] *Human Rights in Areas Affected by the South Ossetia Conflict. Special Mission to Georgia and Russian Federation*, By Thomas Hammarberg, Council of Europe Commissioner for Human Rights

[81] PACE, *The consequences of the war between Georgia and Russia*, Resolution 1633 (2008), http://assembly.coe.int/Documents/AdoptedText/ta08/ERES1633.htm

[82] იგორ კომისაროვი, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო კომისიის უფროსის მოადგილე. ინფორმაცია მოწოდებულია *RIA Novosti-ის მიერ*, 14 აგვისტო 2008 წ.

[83] PACE, *The consequences of the war between Georgia and Russia*, Resolution 1633 (2008).

[84] მოცემული ინფორმაცია Amnesty International-ს მიაწოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა 2008 წლის 7 ოქტომბერს.

[85] გაეროში რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენლის სიტყვა PACE საპარლამენტო ასამბლეაზე, ინფორმაცია მოწოდებულია 2008 წლის 20 სექტემბერს *RIA Novosti*-ის მიერ.

[86] გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა საგარაუდოდ გააკეთა 2008 წლის 16 სექტემბერს სამხრეთ ოსეთში ყოფნისას: http://www.un.org/apps/sg/sgstats.asp?nid=3403

[87] Luke Baker, "South Ossetia floods court with Georgia writs", *Reuters India*, 6 October 2008, http://in.reuters.com/article/worldNews/idINIndia-35825220081006.

[88] რუსეთმა ხელი მოაწერა რომის წესდებას, რაც მას აკისრებს ვალდებულებას, თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისგან, რომელიც ეწინააღმდეგება რომის წესდების ამოცანებსა და მიზნებს.

[89] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა განაცხადა, რომ:

> "საქართველო წარმოადგენს რომის წესდების სახელმწიფო მხარეს. ჩვენს სტრუქტურაში, მოქმედი იურისდიქციის ფარგლებში, ყურადღებით განიხილება უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით შემოსული ყველა სახის ინფორმაცია, სამხედრო დანაშაული თუ დანაშეული კაცობრიობის წინაშე, რომელიც განხორციელდა სახელმწიფოების ტერიტორიაზე, მოქალაქეების ან სახელმწიფო მხარეთა მიერ, იმის განურჩევლად, უკანონო ქმედება ჩადენილია ინდივიდუალი პირის თუ ჯგუფის მიერ. ჩვენს მიერ აგრეთვე განიხილება ინფორმაცია მოქალაქეებზე უკანონო თავდასხმების შესახებ.

"სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ადასტურებს, რომ საქართველოში არსებულ სიტუაციას უკეთდება ანალიზი", ჰაგა, 20 აგვისტო 2008 წ., ICC-OTP-20080820-PR346 ENG.

მაქვს სურვილი დაგეხმაროთ

განურჩევლად იმისა, დიდი მნიშვნელობის კონფლიქტს ეხება ეს, თუ დედამიწის რომელიმე მივიწყებულ კუთხეს, **AMNESTY INTERNATIONAL**-ი იღვწის სამართლიანობისა და თავისუფლებისთვის და მსოფლიოში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს.

რა შეგიძლიათ თქვენ?

მთელს მსოფლიოში მოღვაწე აქტივისტებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანის უფლებების დამრღვევ სახიფათო ძალებთან ბრძოლა შესაძლებელია. გახდით ამ მოძრაობის წევრი. შეებრძოლეთ მათ, ვინც შიშსა და სიძულვილს ავრცელებს.

- შეუერთდით Amnesty International-ს, მსოფლიო მასშტაბის მოძრაობას, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევის აღსაკვეთად იღვწის. დაგვეხმარეთ ცვლილების მოხდენაში.
- დაეხმარეთ Amnesty International-ს თქვენი შემოწირულობით.

ერთად ჩვენს ხმას უკეთ გაიგონებენ.

☐ მსურს მივიღო მეტი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ გავწევრიანდე Amnesty International-ში.

სახელი, გვარი

მისამართი

ქვეყანა

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ მსურს Amnesty International-ს შემოვწირო თანხა (შემოწირულებები მიიღება UK£, US$ ან €-ს სახით)

თანხა

გადახდის ფორმა: Visa ☐ Mastercard ☐

ნომერი

ვადის გასვლის თარიღი

ხელმოწერა

www.amnesty.org

გთხოვთ, ეს ფორმა დაუბრუნოთ Amnesty International-ის ოფისს თქვენს ქვეყანაში. Amnesty International-ის ოფისები მსოფლიოში: www.amnesty.org/en/worldwide-sites

თუ თქვენს ქვეყანაში არ არის Amnesty International-ის ოფისი, გთხოვთ მოცემული ფორმა გამოგაგზავნოთ შემდეგ მისამართზე: **Amnesty International**, International Secretariat, Peter Benenson House, 1 Easton Street, London WC1X 0DW, United Kingdom

მშვიდობიანი მოსახლეობა ცეცხლის ხაზზე
ქართულ-რუსული კონფლიქტი

2008 წლის აგვისტოში, ხუთდღიანი ომის განმავლობაში, რომელიც მოხდა სამხრეთ ოსეთის, საქართველო, გაკონტროლებისთვის, დაიღუპა უფრო მეტი მშვიდობიანი მოსახლე, ვიდრე ჯარისკაცი. დაიბომბა სკოლები, საავადმყოფოები და სახლები. მოსახლეობა აცხადებს, რომ მათ ბომბავდნენ საკუთარი სოფლებიდან გაქცევის დროსაც. კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა თითქმის 200,000-ია და როგორც ჩანს, ათობით ათასი ადამიანი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვერ დაუბრუნდება საკუთარ სახლებს.

საომარი მოქმედებების დროს ქართულმა და რუსულმა სამხედრო ძალებმა არ გაითვალისწინეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები, რამაც გამოიწვია 350 სამოქალაქო პირის სიკვდილი და ათასობით ადამიანის ფიზიკური დაშავება. კონფლიქტის შემდეგ სამხრეთ ოსეთის მხარდამჭერი შეიარაღებული დაჯგუფებები აქტიურად ძარცვავდნენ და წვავდნენ ქართულ დასახლებებს, რომლებიც იმყოფებოდა რუსეთის სამხედრო კონტროლის ქვეშ.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია Amnesty International-ის მიერ კონფლიქტის ზონაში ჩატარებული ფაქტების მოძიების რამდენიმე მისიის განხორციელების შედეგად მიღებული ინფორმაცია. ანგარიშში წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზული დარღვევის დამადასტურებელი ფაქტები. Amnesty International-ის მოწოდებაა, ჩატარდეს ყველა მონაწილე მხარის მიერ კონფლიქტის მიმდინარეობის და მისი დასრულების შემდგომ ომის კანონების დარღვევის ფაქტების დეტალური გამოძიება. აღნიშნულ დარღვევებში, მათ შორის, სამხედრო დანაშაულში მხილებული დამნაშავეები, უნდა გასამართლდნენ და მათ ყველა მსხვერპლს უნდა აუნაზღაურდეს ზარალი.

Amnesty International
International Secretariat
Peter Benenson House
1 Easton Street
London WC1X 0DW
United Kingdom

www.amnesty.org

ინდექსი: EUR 04/005/2008
November 2008

AMNESTY
INTERNATIONAL